ავტორის სტილი დაცულია

კავკასიის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**ირაკლი შამათავა**

# მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში

დისერტაცია წარდგენილია
სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან გოთუა**
სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

საქართველო, თბილისი
2022

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ირაკლი შამათავას მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომს დასახელებით: *„მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში“* და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

24 სექტემბერი, 2022 წელი

ხელმძღვანელი: ლევან გოთუა

რეცენზენტ(ებ)ი: ქეთევან მესხიშვილი, თამარ ლაკერბაია

კავკასიის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

საბჭოში წარდგენის წელი: 2022

ავტორი: ირაკლი შამათავა

თემის დასახელება: „მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში“

საძიებელი აკადემიური ხარისხი: სამართლის დოქტორი

სხდომის ჩატარების თარიღი: 24 სექტემბერი, 2022 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშნული დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს.

---

**ავტორის ხელმოწერა**

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საავტორო და მომიჯნავე უფლებებს. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## ს ა რ ჩ ე ვ ი


შემოკლებანი.......................................................................................................7

Abbreviations.......................................................................................................8

შესავალი.......................................................................................................9

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი .......................................................................................................11
Abstract of the Dissertation.......................................................................................................14

თავი I. სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი, ევოლუცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია.......................................................................................................17
1.1. სესხის ხელშეკრულება რომის სამართლის, ძველქართული ისტორიული წყაროებისა და საბჭოთა სამართლის ნორმების მიხედვით.......................................................................................................17
1.2. სესხის ხელშეკრულების მოქმედი რედაქცია ქართულ კანონმდებლობაში .......................................................................................................27

თავი II. სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი).......................................................................................................44
2.1. სესხის ხელშეკრულების გერმანული მოდელი.......................................................................................................44
2.2. სესხის ხელშეკრულების ფრანგული მოდელი.......................................................................................................49
2.2.1. კვებეკის პრაქტიკა .......................................................................................................51
2.3. სესხის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის მაგალითზე დაყრდნობით.......................................................................................................53
2.4. სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები ჰოლანდიაში, შვედეთსა და იტალიაში.......................................................................................................55
2.5. საკრედიტო და სასესხო ხელშეკრულებები ჩეხეთისა და უნგრეთის სამოქალაქო კოდექსებში.......................................................................................................56

თავი III. სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.......................................................................................................64
3.1. სესხი – რეალური თუ კონსენსუალური?.......................................................................................................64
3.2. სესხის ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობის სტანდარტი და მტკიცების ტვირთი სამართალწარმოებისას .......................................................................................................65
3.3. სესხის ვალუტა, ანგარიშსწორების საკითხი, რესტრუქტურიზაცია და რეფინანსირება.......................................................................................................71
3.4. გადამხდელუნარიანობა, კრედიტუნარიანობა, ჭარბვალიანობა .......................................................................................................75
3.5. მოვალეთა რეესტრი, კრედიტინფო .......................................................................................................77
3.6. სესხი, სამომხმარებლო კრედიტი და საბანკო კრედიტი – მსგავსება და განსხვავება .......................................................................................................78
3.7. სესხის ხელშეკრულების გამიჯვნა სესხის შეპირების ხელშეკრულებისგან.......................................................................................................80
3.8. ლიზინგის სესხად განმარტების ძირითადი საფუძვლები.......................................................................................................81
3.9. სასესხო ფასიანი ქაღალდები – თამასუქი და ობლიგაცია .......................................................................................................83

თავი IV. სესხის ხელშეკრულების კლასიფიკაცია .......................................................................................................86
4.1. უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა.......................................................................................................86
4.2. ინდივიდუალური და ჯგუფური სესხი, საკრედიტო ხაზი .......................................................................................................86
4.3. მიზნობრივი და არამიზნობრივი სესხი.......................................................................................................87
4.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულება.......................................................................................................87
4.5. სამეწარმეო (საკორპორაციო) სესხი.......................................................................................................88
4.6. სამომხმარებლო სესხი.......................................................................................................89

4.7. იპოთეკური სესხი....89
4.8. სინდიკატური სესხი ....91
4.9. სატრანსპორტო (ავტო) სესხი ....94
4.10. აგრო სესხი ....95
4.11. სამოგზაურო (ტურისტული) სესხი ....95
4.12. სტუდენტური სესხი ....95
4.13. საცალო სესხი ....97

**თავი V. სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია** ....98
5.1. სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია, როგორც ეფექტური გადახდევინების და ვადამოსულ მოთხოვნათა გამარტივებული წესით აღსრულების მექანიზმი....98
5.2. სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია აღსრულების ეროვნულ ბიუროში (მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი) ....104
5.2.1. სესხის ხელშეკრულების გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლი ....106
5.2.2. „აღსრულების კოდექსის" პროექტი ....107
5.2.3. სასესხო ვალდებულებიდან წარმოშობილ საქმეებზე გადახდის ბრძანების გამოცემის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ....110
5.2.4. სასესხო ვალდებულებიდან წარმოშობილი პირგასამტეხლოს დარიცხვის/შეწყვეტის წინაპირობა გადაწყვეტილებათა აღსრულებისას....113
5.3. მხარეთა ორმხრივი ინტერესის დაცვისას ბალანსის შენარჩუნების პრობლემა და უფლებათა ადეკვატური რეალიზების უზრუნველყოფა ....116

**თავი VI. პროცენტის ცნების მიმოხილვა**....119
6.1. პროცენტის ტერმინოლოგიური განმარტება....119
6.2. კანონისმიერი (ნორმატიული) და სახელშეკრულებო პროცენტის განსაზღვრა ....119
6.3. მყარი (ფიქსირებული) და ცვალებადი (ინდექსირებული) საპროცენტო განაკვეთი ....120
6.4. მონეტარული პოლიტიკის და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გავლენა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე ....120
6.5. სესხისათვის გადახდილი პროცენტის ზიანად კვალიფიკაციის წინაპირობა....122
6.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 625-ე მუხლების ურთიერთმიმართება....122
6.7. პროცენტის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები ....124

**თავი VII. პირგასამტეხლოს მოწესრიგების ეკონომიკურ-სამართლებრივი ანალიზი სესხის ხელშეკრულებაში** ....127
7.1. პირგასამტეხლოს ინსტიტუტი უძველეს კოდიფიკაციებში (ხამურაბისა და ურ-ნამუს კანონები) ....127
7.1.2. პირგასამტეხლოს გერმანული და ფრანგული მოდელი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)....128
7.2. ვალდებულების დარღვევა, როგორც პირგასამტეხლოს გამოყენების მთავარი წინაპირობა ....132
7.3. პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება ....133
7.3.1. პირგასამტეხლოს პრევენციული და რესტიტუციული ფუნქცია....134
7.3.2. პირგასამტეხლოს სტანდარტული მოთხოვნები სამართალწარმოების პროცესში ....137
7.3.3. პირგასამტეხლო – ვალდებულების შესრულების გარანტია და პირგასამტეხლო – ზიანის/მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საშუალება....140

7.4. პირგასამტეხლოს წერილობითი ფორმასავალდებულოობა....................141
7.4.1. კანონისმიერი და სახელშეკრულებო პირგასამტეხლო....................143
7.4.1.1. ავტორისეული მოდელი (სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილი)....................147
7.4.2. პირგასამტეხლოს ცალკეული კლასიფიკაცია....................148
7.4.2.1. ჯარიმა-საურავი....................148
7.4.2.2. ჩასათვლელი პირგასამტეხლო....................151
7.4.2.3. ალტერნატიული და ექსკლუზიური პირგასამტეხლო....................154
7.5. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს განსაზღვრისას სასამართლოს დისკრეცია და კანონისმიერი პირგასამტეხლოს კრიტიკა....................154

**თავი VIII. მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები**....................159
8.1. ევროდირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შეთანხმებაზე და მისი იმპლემენტაციის პერსპექტივა ქართულ კანონმდებლობაში....................159
8.2. ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტები მომხმარებელთა უფლებების დაცვა-აღსრულებისას....................160

**დასკვნა**....................163

**ბიბლიოგრაფია**....................166
ქართულენოვანი ნორმატიული მასალა....................166
ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა....................168
სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები....................177
უცხოენოვანი ნორმატიული მასალა....................183
უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები....................184
ელექტრონული ბმულები....................191
უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები....................191

**დანართი „1“** – სტატისტიკა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან....................193
**დანართი „2“** – წერილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან....................194
**დანართი „3“** – სტატისტიკა თბილისის საქალაქო სასამართლოდან....................195
**დანართი „4“** – საინფორმაციო ბარათი საქართველოს ეროვნული ბანკიდან....................196

**დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ**....................197

**შემოკლებანი**

აკად. – აკადემიკოსი
დის. – დისერტაცია
ე.წ. – ეგრეთ წოდებული
თბ. – თბილისი
თსუ. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი/მ. – ინდივიდუალური მეწარმე
იხ. – იხილეთ
ლიტ-რა. – ლიტერატურა
მაგ. – მაგალითად
მთარგ. – მთარგმნელი
მისო. – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მუხ. – მუხლი
ნაწ. – ნაწილი
ორიგ. – ორიგინალი
პროფ. – პროფესორი
ჟურნ. – ჟურნალი
რედ. – რედაქტორი
ს.ს.ს.რ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი
საია. – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
სამეცნ. – სამეცნიერო
სებ. – საქართველოს ეროვნული ბანკი
სეუ. – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სსკ. – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სტუ. – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სუსგ. – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება
სწშკ. – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი
ტ. – ტომი
შეად. – შეადარეთ
შპს. – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჩვ.წ. – ჩვენი წელთაღრიცხვით
ციტირ. – ციტირებული
ძვ.წ. – ძველი წელთაღრიცხვა

## Abbreviations

AA. – Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part – ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
Art. – Article – მუხლი
Au-CC. – AU-Civil Code – ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი
BGB. – გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
BGH. – გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო
BGHZ. – გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება
CCQ. – Civil Code of Quebec –კვებეკის სამოქალაქო კოდექსი
CEPEJ. – European Commission for the Efficiency of Justice – ეფექტური მართლმსაჯულების ევროპული კომისია
Ch. – Chapter – თავი
CZ-CC. – ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსი
DCFR. – საერთო უფლებების წრის კანონპროექტი
ECPRD. – European Centre for Parliamentary Research and Documentation – საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრი
Ed. – Edition – გამოცემა
GIZ. – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GTUNI. – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
HU-CC. – უნგრეთის სამოქალაქო კოდექსი
Ibid. – In the same place – იქვე
IBSU. – International Black Sea University – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
NBE. – აღსრულების ეროვნული ბიურო
Para. – Paragraph – პარაგრაფი, აბზაცი
PCA. – „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის
Sect. – Section – განყოფილება, სექცია
STEM. – პრიორიტეტი საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სპეციალობები
TFEU. – Treaty on Funcioning of the European Union – ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება
UINL. – The International Union of Notaries – ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი
Vol. – Volume – თავი
ZPO. – Zivilprozessordnung, Code of Civil Procedure – გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
ГК РФ. – The Civil Code of the Russian Federation, Гражданский Кодекс Российской Федерации – რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი
Изд. – Издательство – გამომცემლობა
М. – Москва – მოსკოვი
Пер. – Перевод – თარგმანი
См. – Смотрено – იხილეთ
Ун-та. – Университета – უნივერსიტეტი
Фран. – Франции – საფრანგეთი

# შესავალი

სესხის ინსტიტუტის პრაქტიკული მნიშვნელობა და საჭიროება მზარდია, ამიტომაც კანონმდებლობამ დეტალურად უნდა მოაწესრიგოს სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია „სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულად ვალდებულებათა შესრულებასთან“,[1] შეუსრულებლობასთან.

სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია.[2] კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტისთვის აუცილებელია დემარკაცია უფლებებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის. სწორედ ამიტომ, სესხის ხელშეკრულების ნორმები უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან 625-ე მუხლში ხუთჯერ განხორციელდა ცვლილება, სასესხო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის ჰარმონიზება მაინც ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, შეიქმნა რთული არითმეტიკული ფორმულ(არ)ის მუხლი, რომელიც ენობრივი და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით აბსოლუტურად გაუმართავია.

ნორმის დახვეწის გზაზე, უპრიანია ქართულმა კანონმდებლობამ კვლავ გაიზიაროს გერმანული სამართლის გამოცდილება (სწორი ტერმინოლოგიური მისადაგებით, მთარგმნელობითი ხარვეზების გარეშე), რადგანაც სსკ ყველაზე დიდ მსგავსებას სწორედ BGB კოდექსთან ავლენს. გერმანული სამართლის რეცეფციის მიუხედავად, არის საკითხები, რომლებიც მისგან განსხვავებულად რეგულირდება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა 2008 წლის 23 აპრილს მიიღო სამომხმარებლო კრედიტის 2009/48EC დირექტივა,[3] რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობის დარეგულირებას, ბალანსის დაცვას, რათა არ მომხდარიყო შედარებით სუსტი მხარის – მომხმარებლის უფლებ(ებ)ის შელახვა. აღნიშნული დირექტივის ამოქმედების შემდეგ, თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში გადაისინჯა სესხის სახელშეკრულებო ნორმები, ხოლო 2014 წელს, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით,[4] მეტად მოხდა ევროპული კანონმდებლობის იმპლემენტაცია ქართულ სამართალში; შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებისა და მომხმარებელთა უფლებების მომწესრიგებელი ნორმები მნიშვნელოვნად მოდერნიზდა.

პროცენტის და კანონისმიერი პირგასამტეხლოს რეგულირება ერთი იმ პოზიტიურ ცვლილებათაგანია, რომლითაც ბაზარმა ნაწილობრივ მოახდინა უკონტროლო

[1] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 248-255.

[2] *ზოიძე* ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, *თბ.,* 2005, 285.

[3] Directive 2008/48/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on credit agreements for consumers and repealing Council Directive 87/102/EEC <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32008L0048>, [15.03.2022].

[4] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014, დროებითი გამოყენების რეჟიმი 01.09.2014, სრულად ძალაში შესვლის თარიღი 01.07.2016, ვებგვერდი 11/09/2014.

საპროცენტო განაკვეთისა და პირგასამტეხლოს ნორმირება, ე.წ. სტანდარტიზაცია და მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყანაში ჭარბვალიანობის სტატისტიკა.[5] თუმცა კრიტიკის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსმა საკმაოდ მაღალი წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (50%) დაადგინა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ნორმაშემოქმედმა უარი თქვა მკაცრ და ერთდროულად ხისტ პოლიტიკაზე, რადგან საბანკო-საფინანსო სექტორი უდიდეს ფინანსურ გავლენას ახდენს სამეწარმეო, შრომით თუ საინვესტიციო ბაზარზე.

სადისერტაციო ნაშრომში *„მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში“* აქტუალურ საკითხთა დამუშავება შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული და ეტიმოლოგიური მეთოდის გამოყენებით მოხდა. კვლევისას, მხარეთა ორმხრივი ინტერესების დასაცავად, შესწავლილ იქნა: რომის, საფრანგეთის, კვებეკის, იტალიის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ჰოლანდიის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა.

ნაშრომის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული დახმარება საერთო სასამართლოებმა, საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ და სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აღმოგვიჩინეს. მათი მხარდაჭერით ასეულობით გადაწყვეტილების, სასამართლო პრაქტიკისა თუ სანოტარო, სააღსრულებო სტატისტიკის დამუშავება გახდა შესაძლებელი.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა მწირია, შევისწავლეთ უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, დისერტაციები, მონოგრაფიები და სტატიები. ქართულენოვან წყაროებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფ. ლადო ჭანტურიას *„კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“* და ასევე ქართულად გამოცემული იან კროპჰოლერის *„გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“* (მთარგ. *ჭეჭელაშვილი ზ., დარჯანია თ.*), რომელშიც პირველად განიმარტა სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.

გერმანული მოდელის ქართულ რეალობასთან მისადაგებით, კანონმდებლობა სამომავლოდ უფრო აღმოფხვრის სესხის მომწესრიგებელ მუხლებში არსებულ ხარვეზებს, რათა მომხმარებელი და საფინანსო სექტორი თანაბარზომიერად იყოს დაცული.

რეფორმის გზაზე, აუცილებელია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემოწმების ერთიანი სტანდარტის დადგენა. მხოლოდ გადამხდელუნარიანობის დადასტურების შემდეგ უნდა გაიცეს სესხი. ეს პროცესი არ უნდა იყოს ფიქციური, რადგანაც პრაქტიკამ გამოავლინა რეგულაციისგან გადახვევის შემთხვევები. მაგ., როცა მომხმარებელი საჭიროებს იპოთეკურ სესხს, საბანკო რეგულაციის დასაცავად, საჯარო რეესტრში სხვა დამატებით ქონებას იფორმებს, რადგანაც კანონი კრძალავს ძირითადი (ერთადერთი) საცხოვრებელი ფართის იპოთეკით დატვირთვას. საბოლოოდ, სესხის დამტკიცების შემდეგ, ქონება უბრუნდება თავდაპირველ მესაკუთრეს.

---

[5] *ხამხაძე თ.,* ჭარბვალიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი და საჭირო სამართლებრივი რეგულაციები., ჟურნ. „ჩემი ადვოკატი“, თბ., №1, 2021.

## სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

**საკვანძო სიტყვები:** სესხი, სესხის ხელშეკრულება, პირგასამტეხლო, თანაბარზომიერი დაცვა, პროცენტი, კრედიტი, ჭარბვალიანობა, კრედიტუნარიანობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, აღსრულება, ნოტარიუსი, სასამართლო, სასამართლო პრაქტიკა.

### 1. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის ინოვაციურობა, სიახლე

საუკუნეების მანძილზე, ეკონომიკური პროცესების დინამიკიდან გამომდინარე, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო თუ ცალკეული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, მოქალაქეები განსაკუთრებულ ყურადღებას სესხის ინსტიტუტს უთმობენ, სწორედ ამიტომ, სესხის ხელშეკრულების პრაქტიკული მნიშვნელობა და საჭიროება ყველა დროში მზარდია, შესაბამისად, კანონმდებლობამ დეტალურად უნდა მოაწესრიგოს სამოქალაქო სამართლის დასახელებული ინსტიტუტი.

სესხის ხელშეკრულება სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირშია და ეკონომიკური პროცესების განვითარების პარალელურად, თანამედროვე პირობებში, უფრო და უფრო საჭირო ინსტრუმენტი ხდება. ამდენად, ნაშრომი ეხება სესხის ხელშეკრულების უახლეს საკანონმდებლო რეგულაციებს, მასში არსებულ ხარვეზებსა და იმ რეკომენდაციებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კანონის ჰარმონიზება-სრულყოფის თვალსაზრისით.

პრობლემას, რომელსაც დისერტაცია შეეხება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლისთანავე ვხვდებით. იმის მიუხედავად, რომ საკითხი აქტუალურია, სამართლებრივ სივრცეში მისით დაინტერესება არ იგრძნობა. მწირია სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილ პრობლემას განიხილავენ. მართალია სესხის ხელშეკრულების ნორმებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ, რიგი საკითხები მოუწესრიგებელი დარჩა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე ვლინდება კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებში, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება ქართულ რეალობაში დამკვიდრებული წარმოდგენებისგან.

დისერტაციაში შემდეგი კომპლექსური საკითხების ფოკუსირება ხდება: პროცენტის მოცულობის კანონისმიერი და სახელშეკრულებო განსაზღვრება, ნორმის მთარგმნელობითი საქმიანობისას დაშვებული უზუსტობა, სესხის ხელშეკრულების ფორმის დაცვის/დაუცველობის სამართლებრივი შედეგები, ასევე სესხის შეპირება და ფულადი სახსრების მოზიდვის შეზღუდვა, როგორც უახლესი საკანონმდებლო დანაწესი.

### 2. კვლევის მიზნები და ამოცანები

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს სესხის ხელშეკრულება, როგორც შიდა, ისე უცხო ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, მიმოიხილოს უახლესი საკანონმდებლო რეგულაციები, გამოკვეთოს კანონში არსებული ხარვეზები და უზუსტობანი, დაბოლოს,

შემოგვთავაზოს ის რეკომენდაციები, რომლებიც მხარეთა თანაზარზომიერი დაცვისთვის მნიშვნელოვანია და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფას ისახავს მიზნად.

**3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდოლოგია**

დისერტაცია 8 თავისგან, 61 პარაგრაფისგან და 4 დანართისგან შედგება, ახლავს დასკვნა, სასამართლო გადაწყვეტილებების სია და ბიბლიოგრაფია, რომელიც მთლიანობაში შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდ 197 გვერდს.

დისერტაციის მეთოდოლოგია ზოგადმეცნიერულ ბაზისს ეყრდნობა; ამასთან, სპეციალური კვლევითი მეთოდები, როგორიცაა ინდუქციურ-დედუქციური, დოგმატურ-დოქტრინული, ეტიმოლოგიური, სისტემური, ისტორიული, სტატისტიკური და ანალიტიკური მეთოდები, მრავლად გამოიყენება. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც ეფუძნება სასამართლო პრაქტიკას. მასში განხილულია როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერ-იურისტთა ნაშრომები, შიდა კანონმდებლობა, სტატიები, კომენტარები, მონოგრაფიები და საერთო სასამართლოს ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც საკითხის ფუნდამენტური კვლევისთვის სიახლის შემცველია.

**პირველი თავი** ეთმობა შესავალს, სესხის ხელშეკრულების ისტორიულს ექსკურსს, ევოლუციას და თანამედროვე ინტერპრეტაციას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულებამ საუკუნეების მანძილზე ინდივიდუალური ტრანსფორმაცია განიცადა. ის, რაც მისაღები აღმოჩნდა რომის სამართლისთვის, განსხვავებულად მოწესრიგდა ძველქართულ სამართალში, თვისობრივად საინტერესოდ ფორმულირდა საბჭოთა სოციალისტურ სამართალში თუ თანამედროვე სამოქალაქო კოდექსში, რაც იმის დასტურია, რომ სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ევოლუცია, საუკუნეების მანძილზე, ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით წარიმართა.

**მეორე თავში** აღწერილია სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში. საკითხის სიღრმისეული კვლევისთვის შედარებით-სამართლებრივი მეთოდით შესწავლილ იქნა საფრანგეთის, კვებეკის, იტალიის, ჰოლანდიის, რუსეთის, გერმანიის, უნგრეთის, ჩეხეთისა და სხვა ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა, ხოლო იქ არსებული სასესხო რეგულაციები ინდივიდუალურად იქნა შედარებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან.

**მესამე თავში** განხილულია სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობის სტანდარტი და სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილება. ეს თავი საინტერესოა, რადგან მასში ფოკუსირება ხდება პრობლემური საკითხების: კრედიტუნარიანობა, ჭარბვალიანობა, სესხის ვალუტის განსაზღვრება, რესტრუქტურიზაცია და რეფინანსირება. დისერტაციის ეს თავი მიმოიხილავს სასესხო ფასიან ქაღალდებს – თამასუქსა და ობლიგაციას, ლიზინგის სესხად განმარტების ძირითად საფუძვლებს, ასევე სესხის მსგავსებას და განსხვავებას ისეთ ინსტიტუტებთან, როგორიცაა: სამომხმარებლო კრედიტი და საბანკო კრედიტი, სესხის ხელშეკრულების გამიჯვნას სესხის შეპირებისგან.

**მეოთხე თავი** მიმოიხილავს სესხის კლასიფიკაციას, უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ მოთხოვნად; ჯგუფურ და ინდივიდუალურ, მიზნობრივ და არამიზნობრივ, მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებს, საკრედიტო ხაზს; აგრეთვე სამეწარმეო, სამომხმარებლო, იპოთეკურ, სინდიკატურ, სატრანსპორტო, სტუდენტურ, აგრო და საცალო სესხებს. თითოეული კლასიფიკაცია საინტერესოა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში და საჭიროებს პრაქტიკაში რეალიზებას.

**მეხუთე თავი** სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციის საკანონმდებლო ალტერნატივას ეძღვნება, რაც იმას გულისხმობს, რომ დისერტაციაში წარმოდგენილია სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციის ისეთი ეფექტური ინსტიტუტი, როგორიცაა ნოტარიუსი, ხოლო აღსრულების ეროვნულ ბიუროში სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციის მიმართ გამოთქმულია კრიტიკა. ეს თავი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც მასში აღწერილია მხარეთა ორმხრივი ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი, ასევე უფლებათა ადეკვატური რეალიზების უზრუნველყოფა და „აღსრულების კოდექსის" პროექტი, რომელიც შეიცავს ხარვეზებს.

**მეექვსე თავში** განხილულია პროცენტის (მყარი და ცვალებადი, კანონისმიერი და სახელშეკრულებო) ტერმინოლოგიური განმარტება, მონეტარული პოლიტიკისა და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გავლენა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე; ასევე ვადაგადაცილებისა და ხანდაზმულობის საფუძვლები, სესხისთვის გადახდილი პროცენტის ზიანად კვალიფიკაციის წინაპირობა და სსკ-ის 403-ე და 625-ე მუხლების ურთიერთმიმართება.

**მეშვიდე თავი** ეთმობა პირგასამტეხლოს მოწესრიგების ეკონომიკურ-სამართლებრივ ანალიზს; ამ თავშიც გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი და ეტიმოლოგიური მეთოდი. პირგასამტეხლოს რეგულირების გერმანულ-ფრანგული მოდელების გათვალისწინებით შემუშავდა ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები; განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ნაწილში. აღნიშნულ თავში განიხილება უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები და რთული მათემატიკური ფორმულის შემცველი მუხლი, რომელიც ენობრივად და საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებს.

**მერვე თავი** მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივ მექანიზმზეა. განსაკუთრებით აქტუალურია ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობა და ევროდირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შეთანხმებაზე. ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზების გზაზე, მნიშვნელოვანია ე.წ. „სუსტი მხარის" დაცვა, რათა არ მოხდეს კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება. სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს საერთო სასამართლოების განზოგადებულ პრაქტიკას უკავშირდება და შეიცავს 623-628[1] მუხლების ანალიზს, მათ შორის გადაწყვეტილებების დასაბუთების (სამართლებრივი შეფასების) კრიტიკას.

## 4. კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება

სადისერტაციო კვლევას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საკითხით დაინტერესებული პირების და საბანკო-საკრედიტო სექტორის წარმომადგენლებისთვის. კვლევის შუალედური თუ საბოლოო დასკვნის გაზიარება სესხის ინსტიტუტის ეფექტიან ფუნქციონირებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რაც მართლმსაჯულების სრულყოფისთვის განმსაზღვრელია.

## Abstract of the Dissertation

**Key Words**: loan, loan agreement, penalty, equivalent protection, interest, credit, surplus, creditworthiness, comparative-legal analysis, enforcement, notary, court, case law.

### 1. Relevance of the topic of the dissertation, research novelty and innovation

Proceeding from growing economic processes and with the purpose to regulate trade, household or various private legal relations, people have paid particular attention to the institution of loan through centuries and hence, practical importance of loan agreement has been also growing in all times; Therefore, it is the obligation of the legislation to provide detailed regulation of the aforesaid institution of civil law.

Loan agreement is closely linked with other legal institutions and along with the development of economic processes, in modern reality, this instrument is eventually becoming much more necessary. Hence, the present paper refers to the latest legislative regulations, gaps found in these regulations and the recommendations, which have huge importance for the perfection and harmonization of the law.

We have been facing the problem, which the dissertation is focused on, since the moment of the enforcement of the Civil Code of Georgia (hereinafter – CCG). Despite the relevance of the issue, no interest is felt towards this issu in legal space. There are few scientific papers that review the obstacle arising from loan relationship. Even though the norms of loan agreement have been significantly modified, a number of issues have been left unresolved.

The scientific novelty of the work is revealed in the conclusions of the research, which are radically different from the notions etablished in the Georgian reality.

The focus of the dissertation is made on the following complex issues: legal and contractual definition of the interest rate, inaccuaries in the translation of the norm, legal consequences of compliance/non-compliance with the form of a loan agreement, also, loan promise and the limitation of attraction of cash, as the latest legal ordain.

### 2. Goals and objectives of the research

The goal of the paper if to study the loan agreement on the basis of the local and international examples, to review latest legislative regulations, to outline gaps and inaccuracies of the law and finally, propose the recommendations that are significant for equivalent protection of parties and aimed at perfection of the applicable legislation.

### 3. Structure of the scientific work, methodology of the research

The dissertation consists of 8 chapters, 61 paragraphs and 4 attachments, the conclusion, the list of court judgements and the bibliography – 197 printed pages in total.

Both the general scientific (historical) and the special research methods have been applied as the methodologic basis of the research paper: inductive-deductive, dogmatic, doctrinal, etomologic, systemic, historic, statistical and analytical methods. Comparative-legal analysis based on the case law has been applied within the research process. The paper reviews the works of both Georgian and foreign schollar-lawyers, domestic legislation, articles, comments, monographs and also the decisions of common courts, which include novelties for fundamental research of the issue.

**Chapter 1** is the introduction, which presents a retrospection of the development of loan agreement through history, its evolution and contemporary interpretation. It is noteworthy that loan agreement has undergone random transformation through centuries. The aspects acceptable for Roman laws were differently regulated by the Soviet socialist law and qualitatively interestingly formulated in ancient Georgian or modern civil codes, proving that the evolution of the legal nature of the loan agreement has been based on individual needs for centuries.

**Chapter 2** describes the norms governing the loan agreement in continental Europe and common law countries. For more profound research, the legislations of France, Quebec, Italy, the Netherlands, Russia, Germany, Hungary, the Czech Republic and other European countries have been studied by means of the comparative-legal method, and the loan regulations applicable in these nations were individually compared with Georgian civil law.

**Chapter 3** reviews the legal nature of the loan agreement, the standard of formality of the agreement, and the distribution of the burden of proof in litigation. This chapter is particularly interesting as it focuses on problematic issues such as: creditworthiness, surplus, determining the currency of the loan, restructuring-refinancing.

This chapter of the dissertation reviews loan securities - promissory notes and bonds, the basics of definition of leasing as loan, as well as similarities and differences of loan with institutions such as consumer credit and bank credit, separation of loan agreement from loan promise.

**Chapter 4** reviews loan classification, secured and unsecured demand, group and individual, targeted and non-targeted, short-term and long-term loans, credit line; also, entrepreneurial, consumer, mortgage, syndicate, transport, student, agro, auto and retail loans. Each classification is interesting in a private legal relationship and needs to be further refined and harmonized.

**Chapter 5** is about the legislative alternative of the registration of a loan agreement; this means that the dissertation presents such an effective institution of loan agreement registration as a notary, while the National Bureau of Enforcement criticizes the registration of a loan agreement. This chapter is particularly noteworthy, because it describes the standard of equal protection of mutual interests of the parties, as well as the provision of adequate excercise of rights and the draft of the „Code of Enforcement", which contains shortcomings.

**Chapter 6** reviews the definition of the terminology of interest (solid and variable, legal and contractual), the impact of monetary policy and the forecast rate of inflation on the changes of interest rates; also the grounds for overdue payments and statute of limitations, the precondition for qualifying the interest paid on the loan to a detriment, and interrelationship between Articles 403 and 625 of the Criminal Code.

**Chapter 7** refers to the economic-legal analysis of the regulation of penalty; The comparative-legal and etymological method was also applied in this chapter. By considering the German-French models of penalty regulation, gaps in Georgian legislation and case law have been outlined and corresponding

recommendations have been developed; the court's varied approach in the part of disproportionately high penalty rate requires particular attention. This chapter discusses the latest legislative changes and Article of the complex mathematical form, which should be entirely reprocessed in terms of language and legislative technique.

**Chapter 8** deals with the private legal mechanism of protection of consumer rights. The importance of the Association Agreement and the European Directive on the Consumer Credit Agreement are particularly relevant in this context. On the way to harmonization of the European legislation, it is important to protect the "weak party" in order to prevent unequal use of force by the creditor. The dissertation is about the general practice of the common courts of Georgia. It contains the analysis of Articles 623-628[1], including the critique of the substantiation (legal evaluation) of judgements.

## 4. The scientific value of the research results and their potential practical significance

The dissertation research has theoretical and practical significance for those interested in the issue and the representatives of the banking-credit sector. Sharing the findings of the study will contribute to the effective functioning of the loan institution and lead to the establishment of a uniform case law, which is crucially important for the harmonization of justice.

# თავი I. სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი, ევოლუცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია

## 1.1. სესხის ხელშეკრულება რომის სამართლის, ძველქართული ისტორიული წყაროებისა და საბჭოთა სამართლის ნორმების მიხედვით

სესხის ხელშეკრულება სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, აქტიურად გამოიყენება (კერძოსამართლებრივ) სახელშეკრულებო, სატრანსპორტო, სამშენებლო თუ ბიზნეს სამართალში. სესხის ხელშეკრულება განსაკუთრებით აქტუალურია ფინანსური ტრანზაქცი(ებ)ის შესრულებისას,[6] ვინაიდან „ხელშეკრულება პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას, ინსტრუმენტს წარმოადგენს“.[7] უფრო მეტიც, „სესხის ხელშეკრულების მნიშვნელობა სცილდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებს. იგი მოიცავს ფინანსური ურთიერთობის წრეს, ბანკების, საინვესტიციო კომპანიების, სამრეწველო საწარმოებისა და თვით სახელმწიფოს მონაწილეობასაც. ყველა ამ ურთიერთობისათვის სესხის ხელშეკრულება ფუძემდებლურ ხელშეკრულებას წარმოადგენს“.[8]

სესხის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართალში კლასიკურ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება.[9] „სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას, თუმცა ის თავისი ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის სხვა ხელშეკრულებებისგან, ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა და სამისდღეშიო რჩენა“.[10] სესხის ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივი ცალმხრივი, რეალური ხელშეკრულებაა,[11] რომლითაც კრედიტორი გარკვეული დროით სარგებლობისთვის გადასცემს მოვალეს ნივთს ან ფულად თანხას. ხელშეკრულება

---

[6] *Gojani S.,* The Loan Agreement., European Academic Research, Vol., II, Issue 11/February 2015, 3.

[7] *Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H.,* Der Sozialstaat in Deutschland und Europa, *Peter M. Huber (Red.),* De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365. იხ. *ჯორბენაძე ს.,* ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბ., 2016, 42.

[8] *ჭანტურია ლ.,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 27-28.

[9] *შოთაძე თ.,* იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 84.

[10] *ძლიერიშვილი ზ.,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 345.

[11] იხ. *ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ.,* კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში., თბ., 2015, 109; *ჭანტურია ლ.,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 19.

შეიძლება იყოს როგორც მიზნობრივი, ასევე არამიზნობრივი,[12] ვადიანი და უვადო, სასყიდლიანი (პროცენტიანი) და უსასყიდლო (უპროცენტო).[13]

სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები ჯერ კიდევ რომის სამართლის წიაღში განვითარდა[14] და იმგვარ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლის დასადებადაც, გარდა მხარეთა შორის შეთანხმების საჭიროებისა, აუცილებელი იყო ნივთის რეალური გადაცემაც.[15]/[16] სესხის ხელშეკრულება შესასრულებლად სავალდებულო ხდებოდა მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ.[17] ამდენად, თანამედროვე სესხის ხელშეკრულების (Mutuum) გენეზისად მიჩნეულია რომის სამართალი.[18] იმის მიუხედავად, რომ სესხის ხელშეკრულების რიგი საკითხები მნიშვნელოვნად მოდიფიცირდა, ფაქტი ერთია: რომის სამართალი უძველესი დროიდან სესხის ხელშეკრულების ოთხ სახეობას განარჩევდა:[19]/[20]

I. **Mutuum, Mutui Datio, pecunia credita** (სესხის ხელშეკრულება, **loan for consumption**) – ცალმხრივად მავალდებულებელი ხასიათის გარიგებად მიიჩნეოდა, სადაც მოვალე საკუთრებაში იძენდა კრედიტორის კუთვნილ, გვარეობით ნივთს (Genus) და ვალდებული იყო ვადის გასვლისას დაებრუნებინა იმავე რაოდენობის შესაბამისი ნივთი.[21]/[22] ამ განმარტებიდან შესაძლებელია გამოვყოთ სესხის ხელშეკრულებისთვის

---

[12] *Donnely M.,* The Law of banks and credit institutions, 2000, 369.
[13] იხ. *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, თბ., 1999, 2. ასევე., *შენგელია რ.,* საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ., 2002, 21-22.
[14] იხ. *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)., სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის IV საერთაშორისო სამეც. კონფერენციის შრომების კრებული (II), თბ., 2020, 248.
[15] *Hilmi D.,* Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 9.
[16] იხ. *თუმანიშვილი გ.,* ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება., თბ., 2012, 8 (თუ ხელშეკრულება რეალურია, მაშინ მისი დადების მომენტია ქონების გადაცემის, ან სხვაგვარი მოქმედების შესრულების მომენტი).
[17] *Lorenzen G.E.,* Causa and Consideration In The Law of Contract, Yale Law Journal, 1919, 623; *Zimmermann R.,* The Law of Obligations, 1990, 188; *Хаксельберг Б.Л., Ровный Б.,* Консенсуальные и реалные договоры в гражданском праве, 2004.
[18] *Ignjatović M.,* Roman Muutum like a Basis of Modern Loan Contract., 2016, 373.
[19] ვრცლად იხ. *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართლის საფუძვლები., თბ., 2013, 216.
[20] *Hilmi D.,* Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 10.
[21] *Ramage C.J.,* Roman Law. Virginia Law Register, Vol., 7, no. 12, April 1922, 886.
[22] *Hilmi D.,* Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 7.

დამახასიათებელი ძირითადი ასპექტები. უპირველესად, „გარიგების ნამდვილობისთვის საჭირო იყო სახეზე ყოფილიყო გამსესხებლის საკუთრებაში არსებული გვარეობითი ნივთი, რომელსაც საკუთრებაში გადასცემდა მსესხებელს; თავის მხრივ, მსესხებელი ვალდებული ხდებოდა დაებრუნებინა არა იგივე ნივთი, რომელიც მიიღო, არამედ იგივე რაოდენობის, ტიპისა და ხარისხის ნივთი“.[23] აღნიშნული ხელშეკრულება ძირითადად გამოიყენებოდა მეზობლებსა და ნათესავებს შორის,[24]/[25] მეგობრული ურთიერთობის შესანარჩუნებლად.[26]

რომის სამართალი სესხის ხელშეკრულებას უსასყიდლოდ განიხილავდა, თუმცა მხარეებს ანიჭებდა შესაძლებლობას შეთანხმებულიყვნენ ხელშეკრულების არსებით პირობაზე – საპროცენტო სარგებელზე,[27]/[28] რომელიც წარმოადგენდა დამატებით აქცესორულ უფლებას,[29] – „საზღაურს კაპიტალით სარგებლობისათვის“.[30]/[31]/[32] საპროცენტო სარგებელი აუცილებლად გარკვეულ სკალაში ექცეოდა.[33] რომის სამართალი აწესებდა სარგებლის ზღვრულ ოდენობას (1-დან 8%-მდე)[34], რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ „საჯარო ხელისუფლება გამუდმებით ებრძოდა სამევახშეო საქმიანობას და

---

[23] *Zimmermann R.,* The Law of Obligations Roman Foundations of the Civilian Tradition, PAR T III, Ch., 6, The Roman Contract of Mutuum, 1990, 153.

[24] *Domingo R.,* The Roman Law of Contracts, 2017, 9, An Overview <https://ssrn.com/abstract=2942873>; *Bilalli, A. & Bahtiri, B.,* Roman Law, Prishtina, 2015, 447-448.

[25] *MacCormack G.,* Gift, Debt, Obligation and the Real Contracts, 1985, 31*; Zimmermann R.,* The Law of Obligations Roman Foundations of the Civilian Tradition, PAR T III, Ch., 6, The Roman Contract of Mutuum, 1990, 156.

[26] *Watson A.,* The Spirit of the Roman Law, supra note 263, at 130, 1995. ციტ. ორიგ., *Granado J.J.,* The Genius of Roman Law from a Law and Economics Perspective, 13 San Diego Int'l L.J, 2011, 343.

[27] *Wegmann Stockebrand Adolfo.,* Re Obligamur, Cum Res Ipsa Intercedit: On the So-Called Real Contract by Modestinus, Revista Chilena de Derecho, no 46(3) 2019, 669.

[28] პროცენტის და სარგებლის განსაზღვრებაზე ვრცლად იხ. სუსგ 2012 წლის 22 ოქტომბრის საქმე №ას-1701-1685-2011.

[29] აქცესორული ურთიერთობაა, რომელშიც ერთი უფლება ემსახურება მეორეს მიზნებს და რომელიც თავისი ბუნებით ყოველთვის იზიარებს სხვა უფლების სამართლებრივ ბედს. იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.,* სანივთო სამართალი., თბ., 2014, 19.*, ზარანდია თ.,* სანივთო სამართალი, II გამოცემა, თბ., 2019, 54-56.

[30] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სხვები.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 254.

[31] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2/880-16; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[32] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/5690-21; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[33] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულების უახლესი საკანონმდებლო რეგულაციები, ხარვეზები და რეკომენდაციები (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ევროპულ-ქართული კანონმდებლობის მიხედვით), სადოქტორო-სასემინარო ნაშრომი ხელმისაწვდომია კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თბ., 2018, 9.

[34] იხ. *მეტრეველი ვ.,* რომის სამართლის საფუძვლები., მერიდიანი., თბ., 2009, 74.

იღებდა მევახშეობის შემზღუდავ კანონებს".[35] უფრო მეტიც, „შუა საუკუნეების კომერციულ ცხოვრებაში დომინირებდა მევახშეობის აკრძალვის წესები".[36] პროცენტის მაქსიმალური ზღვარი ციცერონის (ძვ.წ. 106-43) დროს შეადგენდა 1%-ს, ხოლო იუსტინიანეს (526-565) ეპოქაში – 8%.[37] აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, „სუსტი მხარის" დაცვის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ რომის სამართალი ითვალისწინებდა სესხისათვის მაქსიმალური პროცენტის დადგენას მოვალის ინტერესების შეუსაბამო ხელყოფისაგან დასაცავად.[38] გამომდინარეობს რომ, კრედიტორის მხრიდან განსაზღვრულ არაგონივრულ საპროცენტო სარგებელს, რომის სამართალი, ზღვრული საკანონმდებლო სკალით უპირისპირდებოდა,[39] რითაც სესხის ხელშეკრულებაში მხარეთა უფლება-მოვალეობის თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტიზაციას ახდენდა.

ისტორიული პარალელი რომ გავავლოთ, შედარებისთვის, საქართველოს თანამედროვე სამოქალაქო კოდექსიც, 2017 წლიდან პროცენტის განსაზღვრის ანალოგიურ მოდელს გვთავაზობს, როდესაც სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით, 625-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელმა შეიტანა ცვლილებები და დამატებები, შედეგად, კი განისაზღვრა სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი,[40]/[41] რომელიც მოქმედი რედაქციით, არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს. თუმცა, 2017 წლამდეც, ისევე როგორც საბჭოურ პერიოდში, პროცენტის მარეგულირებელი ნორმა არსებობდა, რომელიც ფორმულირებული იყო ს.ს.ს.რ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 216-ე მუხლის რედაქციაში: – *როდესაც სარგებლიანი სესხით წლიურად გადაკვეთილია 6%-ზე მეტი, მსესხებელს უფლება აქვს ნასესხები ფულის დაბრუნებით ვადამდე განთავისუფლდეს*

---

[35] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართლის საფუძვლები., თბ., 2013, 14.

[36] *ლაკერბაია თ.,* ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი., დის., თბ., 2016, 21.

[37] *Hilmi D.,* Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 13-14; *Bilalli & Bahtiri.,* Roman Law. Prishtina, 2015, 453.

[38] იხ. სქოლიო „36".

[39] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)., სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის IV საერთაშორისო სამეც. კონფერენციის შრომების კრებული (II), თბ., 2020, 249.

[40] *მესხიშვილი ქ.,* სესხისა და მევახშეობის ურთიერთმიმართება., ჟურნ. „ჩემი ადვოკატი", № III, თბ., 2020.

[41] *ნიკვაშვილი თ.,* ინფორმაციის პარადიგმა მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალში – ქცევითი და შედარებითი ანალიზი., ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო"., თბ., №20/2021, 84.

*ვალდებულებისაგან, თუ რომ ვალის დაბრუნებას აცნობებს გამსესხებელს სამი თვით ადრე და წინასწარ გადაუხდის ერთი თვის სარგებელს.*[42]

**II. Loan for Use** (Commodatum) – სესხი ითვალისწინებდა კრედიტორის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის,[43] მოვალისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემას.[44]/[45] სხვა სესხებისგან განმასხვავებელი ფაქტორი, სწორედ გადაცემული საგნის ინდივიდუალური და მოუხმარი ბუნება იყო.[46] მოხმარებადი საგნის სესხად გადაცემაც დაიშვებოდა, თუმცა იმ შეზღუდვით, რომ არ მოხდებოდა დანიშნულებისამებრ გამოყენება. მსგავსი ურთიერთობის მაგალითს წარმოადგენდა ეგზოტიკური ხილის სესხება სუფრის მოსართავად და არა საკვებად. ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება გარიგების უსასყიდლო ხასიათი იყო,[47] რასაც განაპირობებდა ხელშეკრულების მხარეთა მეგობრული ურთიერთობა. მოქმედი სამართლის მიხედვით, Commodatum სესხი, თავისი არსით, თხოვების ხელშეკრულებას წარმოადგენს.[48]

**III. Deposit** (Depositum, დეპონენტის ინტერესების შესაბამისად, ნივთის შესანახად გადაცემა) – წარმოადგენდა უსასყიდლო, რეალურ ხელშეკრულებას, რომელიც უმთავრესად მეგობრობას (amicitia)[49] ეფუძნებოდა. სადეპოზიტო ხელშეკრულების საგანი შეუცვლადი ნივთები იყო,[50] რომელიც დაუზიანებლად უნდა დაებრუნებინა

---

[42] ს.ს.ს.რ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებით 1927 წლის აპრილის 1-მდე, ტფ., 1927, 40.
[43] *Emmerich V.*, in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl., München, 2016, §243, Rn. 9 (ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი მაშინ არის სახეზე, თუ ვალდებულების შესრულების საგანი მხარეთა შეთანხმების საფუძველზე კონკრეტულად არის განსაზღვრული და მოვალეს სხვა ნივთით ვალდებულების შესრულება არ შეუძლია).
[44] *Mandro A.*, Roman Law. Tirana, 2011, 358; *Hilmi D.*, Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 13-14; *Bilalli & Bahtiri.*, Roman Law. Prishtina, 2015, 10; *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, 218.
[45] *Domingo R..*, The Roman Law of Contracts. <https://ssrn.com/abstract=2942873>; <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2942873> 2017, 12. [25.03.2022].
[46] Ibid.
[47] *Hilmi D.*, Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 13-14; *Bilalli & Bahtiri.*, Roman Law. Prishtina, 2015, 13.
[48] *ჯღარკავა ზ.,* სესხის ხელშეკრულების იურიდიული ბუნება – შედარებით/სამართლებრივი ანალიზი ქართულ-ევროპული კანონმდებლობის მიხედვით (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში)., თბ., 2016, 19.
[49] *Brunt P.A.*, Amicitia In The Late Roman Republic., Proceedings of the Cambridge Philological Society, New Series, No. 11 (191), 1965, 1-20.
[50] *Ernt J.*, Deposit in the Roman law, 2021 <https://imperiumromanum.pl/en/curiosities/deposit-in-the-roman-law/> [25.03.2022].

მონათხოვრეს.[51] დეპონირებას ექვემდებარებოდა მხოლოდ მოძრავი ნივთები.[52] დეპოზიტარიუსი ვალდებული იყო, პირველივე მოთხოვნით, დეპონენტისათვის დაებრუნებინა შესანახად მიცემული ნივთი. **Periculum** (ნივთის განადგურების ან დაზიანების რისკი) დეპონენტს აწვა. „იმის მიუხედავად, გვარეობითი იყო თუ არა, **depositum**-ის ობიექტად ქცეული ნივთი, ის მაინც **species** განიხილებოდა და მისი დაღუპვა ან გაქრობა დეპოზიტარიუსს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა“.[53]

**IV. Pledge** (pignus, გირავნობის ხელშეკრულება) – ძველი რომაული სამართალი სპეციალურ სასესხო ურთიერთობას, საზღვაო/სახომალდო სესხს **(Foenus Nauticum)** ითვალისწინებდა.[54] მოთხოვნა საზღვაო სესხზე განსაკუთრებით აქტუალური იყო, იმის გათვალისწინებით, რომ საზღვაო ვაჭრობა, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, უმთავრეს შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა, ვაჭრობა კი მუდმივად საჭიროებდა ფულად რესურსს. საზღვაო სესხი სასყიდლიანი იყო და კრედიტორს მხოლოდ საზღვაო ექსპედიციის წარმატებით დასრულების შემდეგ წარმოეშობოდა უფლება სარჩელი შეეტანა და მოეთხოვა სესხი სარგებელთან ერთად.[55] აღნიშნული სესხის თანამედროვე ინტერპრეტაციაა **საქართველოს საზღვაო კოდექსის** 204-ე მუხლი, რომლის დისპოზიციით, ნებისმიერი გემი (მათ შორის – მშენებარეც), (ან მასზე უფლება) შეიძლება იპოთეკის მიღების გზით გემთმფლობელმა სესხით ან სხვა ფინანსური უზრუნველყოფით დააგიროს. მოგირავნე შესაძლოა როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნების ფიზიკური ან იურიდიული პირი იყოს.[56] საზღვაო კოდექსის 204-214-ე მუხლები გამომდინარეობს სსკ-დან და BGB-ს მე-7 ნაწილის §232-ის იდენტურია,[57] ვინაიდან მასში აღწერილია როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური ნორმები[58] და

---

[51] *Mandro A.*, Roman Law., Tirana, 2011, 359.

[52] *Hilmi D.*, Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 14 <https://dj.univ-danubius.ro/index.php/AUDJ/article/view/713/1431> [25.03.2022].

[53] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 2010, 219.

[54] *Vladetic S., Stankovic E.*, Fenus Nauticum – The Origin of Insurance, 2014, EUR. Ins. L. REV. 11 (2014)., 11-30.

[55] იხ. *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, 217.

[56] საქართველოს კანონი, საქართველოს საზღვაო კოდექსი; პარლამენტის უწყებანი, 25-26. 14/06/1997, მუხ. 204, 15/05/1997.

[57] იხ. *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., საია, 2014, 105; German Civil Code (BGB)., Division 7, Provision of security, Sect. 232 <https://www. gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0696> [25.03.2022].

[58] ვრცლად იხ. *ჭყონია მ.,* მატერიალური და პროცესუალური ნორმების კონფლიქტის ზოგიერთი საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დის., თბ., 2015.

სესხის ნორმებთან ერთად შეიცავს სამემკვიდრეო/გაკოტრების კანონმდებლობის ცალკეულ დებულებებსაც.

სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას აწესრიგებდა **1964 წლის საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსის** 391-ე მუხლი, რომლის მიხედვით, *მსგავსი კატეგორიის ხელშეკრულების შედგენისას, გამსესხებელი (ერთი მხარე) გადასცემს მსესხებელს (მეორე მხარეს) საკუთრებად ან ოპერატიული მართვისათვის ფულს ან გვარეობითი ნიშნებით განსაზღვრულ ნივთს, მსესხებელი კი კისრულობს დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე თანხა, ან იმავე გვარისა და თვისების იმდენივე ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო, თუ ხელშეკრულებაში ვადა არ არის დადგენილი, – გამსესხებლის მოთხოვნისთანავე.*[59] აღნიშნული დანაწესიდან თუ ვიმსჯელებთ, სესხის ხელშეკრულება ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებად მოიაზრებოდა,[60] რომლის მიხედვითაც მხოლოდ გამსესხებელს წარმოეშობოდა ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაებრუნებინა მიღებული თანხა ან გვარეობითი ნივთი, ხოლო მსესხებლის მხარეს საპასუხო ვალდებულება არ არსებობდა. ამასთან, მხარეთა შორის ხელშეკრულების დასადებად, მხოლოდ შეთანხმება საკმარისი არ იყო, თანხის ან ნივთის რეალურად გადაცემა სავალდებულო პირობას წარმოადგენდა. ამავე კოდექსის 392-ე მუხლი არეგულირებდა ხელშეკრულების დადების მომენტს (ნივთის გადაცემის მომენტიდან).[61] სესხის ხელშეკრულება, როგორც წესი, უსასყიდლო ხასიათს ატარებდა. აღნიშნული გამომდინარეობდა 391-ე მუხლიდან: *„უნდა მომხდარიყო იმავე რაოდენობის თანხის ან ნივთის დაბრუნება, რაც ხელშეკრულებით იქნა გადაცემული“.*[62] პროცენტის დაწესების უფლებამოსილების პაკეტს იურიდიული პირი – საკრედიტო დაწესებულება ფლობდა. საკითხის მომწესრიგებელი 393-ე მუხლით, სესხის ხელშეკრულებით პროცენტების გადახდევინება დაშვებულია მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ

[59] საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 391-ე მუხ. (1986 წლის მდგომარეობით).
[60] ***რეკომენდაცია:*** უფრო მართებულია კომენტატორულ ლიტერატურაში სესხის ხელშეკრულება განიმარტოს არა როგორც „ცალმხრივი“ ხელშეკრულება, არამედ როგორც „ცალმხრივად მავალდებულებელი“ ხელშეკრულება. ეს პირველ რიგში გამორიცხავს აღრევას, ცდომილებას „ცალმხრივ გარიგებებთან“, როგორიცაა პირობითად: ხელშეკრულების მოშლა, შეწყვეტა, ხელშეკრულებიდან გასვლა.
[61] საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 392-ე მუხ. (1986 წლის მდგომარეობით).
[62] იქვე, 391-ე მუხ.

შემთხვევებში, აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროებისა და ქალაქის ლომბარდების სასესხო ოპერაციების მიხედვით.[63] წინამდებარე რეგულაციის დარღვევით, სესხისთვის პროცენტის დაწესება მევახშეობად ითვლებოდა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებდა.[64]

სესხის ხელშეკრულება, უძველესი დროიდან დღემდე, მრავალგზის მოდიფიცირდა.[65] როგორც **ქართული საისტორიო წყაროების** მკვლევარი, აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის თხზულებათა მრავალტომეულში აღნიშნავს, „სესხი და ვალი სოციალური ცხოვრების ისეთ სფეროს ეხება, რომლის შესახებაც ცნობები ისტორიულ ძეგლებში, რასაკვირველია, არ შეიძლება რომ იყოს. ამ პრობლემის შესასწავლად საკანონმდებლო და მოქმედი სამართლის ძეგლებია საჭირო, უმთავრესად ვალის წიგნები. ერთის გარდა ამ ხანის ვალის წიგნი გადარჩენილი არ არის: ჯერჯერობით მაინც გამოქვეყნებული არ ყოფილა. ასეთ პირობებში მკვლევარს სესხსა და ვალზე ბევრი არაფრის თქმა არ შეუძლიან, რათგან ხელთ მას შეიძლება მხოლოდ ამის შესახებ ტერმინოლოგია და თითო-ოროლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შემთხვევით გადარჩენილი ცნობა ჰქონდეს“.[66] აკად. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, იმ ხანაში, როდესაც საღმრთო წერილი ქართულად ითარგმნებოდა, სიტყვა „სარგებელი“ ჯერ სესხისა და ვალის სამართალთან დაკავშირებული ცნების აღმნიშვნელი ტერმინი არ ყოფილა და იგი მხოლოდ ზედსართავი სახელის „სასარგებლოს“ შესატყვისი იყო. ერთ-ერთ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, აკად. ივანე ჯავახიშვილი განიხილავს საკითხს სარგებლის კანონიერ სიდიდესთან მიმართებით და იშველიებს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს, სადაც მეფე გიორგი ბრწყინვალეს დადგენილი აქვს სარგებლის წლიური ზღვარი (20%)[67] და კრძალავს ე.წ. ვახშის ვახშს. (%%).[68] გამსესხებლის მძიმე პირობებისა და სარგებლის სიდიდის მომასწავებელია აგრეთვე ვაჰანის მონასტრის წესდების მჭევრმეტყველი დებულება: სავანის წევრებს, ბერებს ეკრძალებოდათ „ვაჴშად

[63] საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 393-ე მუხლი (1986 წლის მდგომარეობით).
[64] იხ. *ჭუბაბრია თ.,* მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ – მტაცებლური დაკრედიტება და მისი სოციალური შედეგები., ანალიტიკური დოკუმენტი, თბ., 2020, 9.
[65] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)., სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის IV საერთაშორისო სამეც. კონფერენციის შრომების კრებული (II), თბ., 2020, 248.
[66] *ჯავახიშვილი ივ.,* თხზულებანი XII ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 321.
[67] იქვე, 329.
[68] *ათაბაგნი ბექა და აღბუღა* და მათი სამართალი., *ურბნელი ნ.,* (რედ.), ტფ., 1890, 52.

და აღნადგინებად გაცემაჲ საჴმართა მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრებაჲ“.[69] ამიტომ ცხადია, რომ საქართველოში, ძველადაც, სარგებლის კანონით ნებადართული უმაღლესი საზღაური დაწესდა. ***„მაგრამ როგორც ხშირად ხდებოდა და ხდება, ცხოვრება კანონზე გაცილებით უფრო ულმობელი იყო და კანონის გვერდის აქცევაც ალბათ ადვილად ხერხდებოდა“.***[70]

საინტერესოა ერთი კონკრეტული ვალის ხელშეკრულება (XIII საუკუნის შუა წლების მხედრულით), რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით აბსოლუტურად გამართულია, რადგან შეიცავს ვალის შესახებ ხელშეკრულების კანონიერ ფორმას.

*„ქ: სახელითა: ღ’თისათა: და თავსდებობითა სუეტისა: ცხოველისაითა: ესე დაწერილი: დაგიწერეთ: ჩენ (ჩუენ): ბურჯულთა: კავთულამა: და თევდორამა: და ჩენთა (ჩუენთა): შვილთა: ბასილამა და მშუიდამა: დაგუეჭირუა ჰავისა: ჟამისაგან: და ხარაჯობისაგან და ავიღეთ: თ’ქენ (თქუენ): მოძღურისაგან: დემეტრესაგან: ტუხუაისძისაგან:[71] სამოცი: თეთრი: დეკენბერსა: ათსა: და გამიჩინეთ: უცი (ოცი): კოკაი: ტკბილი:)[72] წელიწადსა: შიგა: მზაი: რომე უსიტყუელადა: ჴელთა: მოგაჴსენებდეთ: ვირემდისცაღა: ამა: თეთრსა: შენსა ჴელთა: მოგაჴსენებდეთ: ამისნი მოწამენი არიან: კარაისძე: ებაი: და წამალაისძე ი’აი“.*[73]

თავისი არსით, ეს ხელშეკრულება ფორმის დაცვით დადებულ გარიგებათა ნიმუშს განეკუთვნება, რამდენადაც, ვალის ხელშეკრულებაში მითითებულია მოვალისა და მსესხებლის ვინაობა; ვალის აღების მაიძულებელი გარემოება; ვალის აღების სუბიექტური ნებელობა, ანუ ნების ავტონომიურობა,[74] კონტრაჰენტის თავისუფლება;[75]

---

[69] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, 35. <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/60446/1/Istoriuli_Sabutebi_Shio-Mgvimis_Monastrisa.pdf> [25.03.2022].

[70] იხ. სქოლიო „67“.

[71] დიმიტრი მოძღვარი კ’ზის ნიკოლოზის დროს (1240-1280).

[72] ბროსსეს გამოკვლევით ერთი თეთრი უდრიდა ერთ შაურს. ცხადია, რომ ეს წარწერა ეკუთვნის იმ დროს, როდესაც მონგოლთა ხარკობამ მეტად შეაწუხა ქართველობა და ფული გააძვირა. (იხ. *ჟორდანია თ.,* ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტფ., 1897, 133).

[73] *ჟორდანია თ.,* ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896, 62.

[74] „ნების ავტონომია – თავისუფლების ელემენტზე“, იხ. ვრცლად წიგნში., *ქოჩაშვილი ქ.,* თავისუფლების შესახებ, მეტასამართლებრივი გააზრება, თბ., 2018, 9-10.

[75] იხ. *ჩაჩანიძე თ.,* სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბ., 2010, 22-36.

აღებული ვალის თვისება და რაოდენობა; ვალის აღების თარიღი; სარგებლის პერიოდულად გადახდის ვალდებულება, სესხისათვის გადასახდელი ყოველწლიური (ყოველთვიური) სარგებლის თვისება (ოდენობა) – ძირითადი თანხის სრულად გასტუმრებამდე; მოწმეთა დასწრება და მათი დამადასტურებელი ხელრთვა.[76] ზემოხსენებული წყარო და ვალის შესახებ საბუთი ქართული სამართლებრივი აზროვნების სიღრმეზე, იურიდიულ განათლებასა და კვალიფიკაციაზე მიგვანიშნებს.

საგულისხმოა, რომ „სესხი ქართულ სამართალშიც კაუზალურ გარიგებად განიხილებოდა. მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის მიმართ მხოლოდ მაშინ წარმოიშობოდა, თუ გვარეობითი ნიშნით განსაზღვრულ ნივთს ან მის ქონებრივ ეკვივალენტს ფაქტობრივად მას გადასცემდნენ“.[77/78]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი „ნაწილობრივ შეიცავს კერძოსამართლებრივ კარებსა და ცალკეულ მუხლებს. მაგ., გათვალისწინებულია: სესხის,[79] ნასყიდობის,[80] გაცვლის,[81] მიბარებისა და თხოვების[82] მოწესრიგება შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის აღმნიშვნელი სათაურით“.[83] „საყურადღებოა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ის ფრაგმენტი, რომლის თანახმად, კრედიტორი ვალდებული იყო, რომ რაც უფრო მეტი იქნებოდა ვალი, მით უფრო მეტი მოწმეები თუ მოფიცარები უნდა წამოეყენებინა თავისი ჭეშმარიტების დასადასტურებლად, რაც იმდროინდელი რეალობისთვის ნამდვილად პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუმცა იქვე საგულისხმოა, რომ კანონმდებელი მათი რაოდენობის შემცირების მომხრედ გამოდიოდა“.[84] აღნიშნული

[76] *ჯავახიშვილი ივ.,* თხზულებანი XII ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 329-330.
[77] ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, 512. ციტირ. ლიტ-რა: *ბიჭია მ.,* ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბ., 2013, 149.
[78] იხ. *ნადარეიშვილი გ.,* სესხის ხელშეკრულება ქართული სამართლის მიხედვით, „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, კრებული III, თბ., 1979, 90. („სესხი ფეოდალურ საქართველოშიც ცალმხრივი ხელშეკრულებაა, ვინაიდან მის ნიადაგზე აღმოცენებული ყველა ვალდებულება ეკისრება მოვალეს, ხოლო ყველა უფლება ეკუთვნის გამსესხებელს“).
[79] „კარი პირველი, ვალისა თუ როგორ აიღების“, ვახტანგ VI-ის სამართლის 116-ე და შემდგომი მუხ.
[80] „კარი ნასყიდობისა“, ვახტანგ VI-ის სამართლის 160-ე და შემდგომი მუხ.
[81] „გაცულილობისა“, ვახტანგ VI-ის სამართლის 167-ე მუხ.
[82] „მიბარებულისა რასაც ნივთისა, და გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს“, ვახტანგ VI-ის სამართლის 207-ე და შემდგომი მუხ.
[83] იხ. *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ., 2009, 16.
[84] *ბიჭია მ.,* ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი., თბ., 2013, 149-150.

ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს, რომ მოწმეთა რაოდენობა მტკიცებულების უზრუნველმყოფი ერთგვარი საშუალება იყო და რაც მეტი მოწმე არსებობდა, მით უფრო დადასტურებულად ითვლებოდა სასესხო ურთიერთობა.

## 1.2. სესხის ხელშეკრულების მოქმედი რედაქცია ქართულ კანონმდებლობაში

სესხის ხელშეკრულების მახასიათებელი თვისებაა გამსესხებელმა მსესხებელს საკუთრებაში გადასცეს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი, რის შედეგადაც, მსესხებელს წარმოეშობა იგივე სახის/ხარისხის და რაოდენობის ნივთის დაბრუნების ვალდებულება.[85] საერთო სასამართლოების განმარტებით, სამოქალაქო კოდექსი**"pacta sunt servanda-ს"** (ხელშეკრულების უზენაესობის) პრინციპს ეფუძნება,[86] რომლითაც, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება,[87] რაც უპირველესად ხელშეკრულებით განსაზღვრული შედეგის დადგომას გულისხმობს.[88] ცნებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სესხის ხელშეკრულებით ხდება ფულის ან გვაროვნული ნივთის[89] საკუთრებაში გადაცემა. გამიჯვნის პრინციპის არსებობის პირობებში[90] საკუთრების უფლების გადაცემისთვის აუცილებელია განმკარგავ (სანივთო) გარიგებას წინ უძღოდეს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება. 623-ე მუხლში ნახსენები სიტყვები „საკუთრებაში გადასცემს" გაურკვევლობას ბადებს. კოდექსის სისტემური

---

[85] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 623, 24/07/1997.
[86] *Bass N.,* Eleventh Hour Collapse: An Elements-Based Comparison of the German Doctrine of Culpa in Contrahendo and Australian Principles of Pre – Contractual Liability, 6 Macquarie J. Bus, L, 2009, 217. ციტირ. ლიტ-რა: *Markesinis Sir B., Unberath H. and Johnson A.,* The German Law of Contract: A Comparative Treatise, 2nd Ed., 2006, 263; იხ. დეტალურად., *მეშველიშვილი ს.,* "CULPA IN CONTRAHENDO"-ს დოქტრინა ქართულ რეალობაში., ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი"., თბ., №2 (62)-19, 157-183; *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბ., 2014, 13.
[87] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *შ. ჯანხოთელი;* თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ნ. მამულაშვილი;* ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/2441-13; გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[88] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ე. ტუკვაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[89] გვაროვნული ნივთის მთავარი ინდიკატორი მისი შეცვლის (ჩანაცვლების) უნარია. (*მესხიშვილი ქ.,* <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-382.pdf>, [23.03.2022], ბოლო დამუშავება: 25.08.2016, 3.
[90] *რუსიაშვილი გ.,* გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში., „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, თბ., №1/2019, 20-36.

აგებულებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების გადაცემა ხდება სანივთო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში, სადაც დარეგულირებულია ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებები, როგორ აღმოჩნდა საკუთრების უფლების განმკარგავი ნორმა? ან თუ კოდექსი სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით, საკუთრების უფლების გადაცემის განსხვავებულ წესს ადგენს[91] (მაგ., ერთიანობის პრინციპს, როდესაც საკუთრების გადასაცემად საკმარისია მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება), რატომ არსად ჩანს ზოგადი წესიდან გამონაკლისის საჭიროება?

სსკ-ის 53-ე მუხლის დეფინიციით, ხელშეკრულება არ შეიძლება არსებობდეს, თუკი არც გარეგნული გამოხატვიდან, არც სხვა გარემოებ(ებ)იდან არ შეიძლება ამ ხელშეკრულების შინაარსის დადგენა.[92] სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებული მოსაზრებით, ხელშეკრულება სწორედ მხარეთა თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგია.[93]/[94] იმისთვის, რომ სესხის ხელშეკრულება დაიდოს, აუცილებელია მხარეები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ, კანონით განსაზღვრული ფორმის გათვალისწინებით.[95] ამდენად, სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულების მხარეები, დაზუსტებული იყოს ხელშეკრულების საგანი და ვლინდებოდეს სესხის ხელშეკრულების დადების სურვილი.

თავად ის გარემოება, რომ მსესხებელი ვალდებულია არა იგივე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი დააბრუნოს, რაც მან სესხის სახით მიიღო, გამომდინარეობს იქიდან, რომ სესხის ხელშეკრულებით გვაროვნული ნივთის გადაცემა საკუთრების უფლებით ხდება, რაც ლოგიკურად მის მოხმარებასა და განკარგვასაც გულისხმობს.[96]

---

[91] საკუთრების უფლებასთან მიმართებით., ვრცლად იხ. *კარტოზია მ.,* საკუთრების უფლების კონსტიტუციური და სამოქალაქოსამართლებრივი ცვლილება., სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“., *კორკელია კ(რედ),* თბ., 2018, 125-144.

[92] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 53, 24/07/1997.

[93] იხ. *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 42.

[94] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №2/636-16; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[95] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 327, 24/07/1997.

[96] *შენგელია რ.,* თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, თბ., 1999, 29.

სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან, 625-ე მუხლში ხუთჯერ შევიდა ცვლილება, რომელთაგან ბოლო სამი 2017-2018 წლებში განხორციელდა. თავდაპირველი რედაქციით, მხარეთა მიერ გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი იძლეოდა პროცენტის კანონისმიერი კონტროლის შესაძლებლობას, რომელიც ნორმატიული ნების ფარგლებში აქცევდა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს და უზრუნველყოფდა შეუსაბამოდ მაღალი სარგებლის მიღების შემთხვევების აღკვეთას,[97] ამდენად, საპროცენტო განაკვეთი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ განსაზღვრულ მოცულობამდე. წინამდებარე საკანონმდებლო დანაწესის დარღვევით დადებული შეთანხმება მიიჩნეოდა ბათილად, მაგრამ არა სრულად, არამედ ნაწილობრივ, მხოლოდ პროცენტის ზღვრულ ოდენობამდე. ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებები ევროპული კანონმდებლობის ანალოგიაა. მაგ., ფინეთში, 2019 წელს განხორციელებული ცვლილებებით ეს ნიშნული 20%-ია, საკანონმდებლო ინიციატივით კი გარკვეული ტიპის სამომხმარებლო სესხებზე დროებითი განაკვეთის 10%-მდე დაწევას ითვალისწინებენ.[98] აღნიშნულ საკითხზე მყარი და ერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობდა. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ მხარეთა შეთანხმება სესხზე ყოველთვიური 10%-დან 7%-ის ნაწილში ბათილია, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების დადებისას მხარეების მიერ დადგენილი პროცენტი არ შეესაბამება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გონივრულ განაკვეთს.[99]

2007 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, წინა პლანზე გადმოიწია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპმა და დაწესებული შეზღუდვა მოიხსნა. ცვლილების შედეგად, გაუქმდა 384-ე მუხლი, რომელიც პროცენტიანი

---

[97] იხ. *შოთაძე თ.,* სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, თბ., 2012, 362.

[98] Waselius and Wist, New temporary restrictions on interest rates anddirect marketing of consumer loans. <https://www.ww.fi/news/2020/04/new-temporary-restrictions-on-interest-rates-and-direct-marketing-of-consumer-loans/> [25.03.2022]. ციტირ., *ნიკვაშვილი თ.,* ინფორმაციის პარადიგმა მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალში – ქცევითი და შედარებითი ანალიზი., ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“., თბ., №20/2021, 84-85.

[99] სუსგ 2006 წლის 30 მაისის საქმე №ას-1184-1428-05; სუსგ 2006 წლის 20 ივნისის საქმე №ას-1083-1321-05; სუსგ 2007 წლის 18 ივლისის საქმე №ას-797-1163-06; სუსგ 2011 წლის 18 ივნისის საქმე №ას-264-248-2011. ხელმისაწვდომია მათი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

ვალდებულების დროს აწესებდა წლიური პროცენტის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას სპეციალური ნორმატიული აქტით. ამ ნორმის ამოღებით გაუქმდა კანონისმიერი პროცენტის ინსტიტუტი.[100]

2013 წელს კანონმდებელმა ისევ დაარეგულირა სესხზე სარგებლის დარიცხვის საკითხი, თუმცა ცვლილება მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილ სასესხო ვალდებულებებს შეეხო.[101] იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი სარგებლიანია, მხარეებს ეკისრებათ საპროცენტო სარგებლის განსაზღვრის ვალდებულება. ხელშეკრულების თავისუფლება მხარეთა ავტონომიურობის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოვლინებაა.[102] ხელშეკრულების თავისუფლების უზრუნველყოფა თანამედროვე სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოვალეობას განეკუთვნება, თუმცა სახელმწიფოს უფლება აქვს ეს თავისუფლება სხვადასხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შეზღუდოს.[103] სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ *პროცენტის განსაზღვრა ნების ავტონომიის ერთგვარი გამოვლინებაა,[104] თუმცა მაინც არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს.[105] დაუშვებელია ხელშეკრულების მხარემ, ბოროტად ისარგებლოს მისი დომინანტური ან მეორე მხარის გაჭირვებული მდგომარეობით და დაადგინოს შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი. მხარეთა მიერ ვალდებულების თანაბარი, სამართლიანი გადანაწილება გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა.[106] გასათვალისწინებელია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპიც: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი“.[107]*

---

[100] *ძლიერიშვილი ზ.,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, 363.

[101] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში, სტუ-ს სამეცნ. ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), თბ., №3 (55) 2020, 92-93.

[102] *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 57.

[103] იქვე.

[104] იხ. *ჯორბენაძე ს.,* ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში., თბ., 2017, 285.

[105] აბსოლუტურია უფლება, რომელიც შეიძლება შეილახოს არა თუ კონკრეტული პირის, არამედ ყველა მესამე პირის მიერ. აბსოლუტური უფლების შესახებ იხ. *Иоффе О.,* Советское Гражданское Право, общая часть. Право собственности. Общее учение об обязательствах, Л., Изд. Ленинградского Ун-та, 1958, 75. ციტირ: *ბიჭია მ.,* პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, დის., თბ., 2012, 80.

[106] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის საქმე №2ბ/4259-14; გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[107] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 8(III), 24/07/1997.

„სამოქალაქო კოდექსი საკმარის თავისუფლებას ანიჭებს მოსამართლეებს კანონის განმარტების პროცესში. მათ უნდა ისარგებლონ ამ თავისუფლებით და ეცადონ, რომ ყოველი კანონი თუ მხარეთა ნება, კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის კუთხით, სოციალური და მორალური სტანდარტების გათვალისწინებით განმარტონ“.[108] ამ მხრივ, გერმანული სამართალი უფრო შორს მიდის და გარდა იმისა, რომ შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით გაცემულ სესხს ამორალურ გარიგებად მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ, BGB-ის 138-ე პარაგრაფის საფუძველზე ბათილია[109], მსგავს მოქმედებას მევახშეობად აფასებს, რომელიც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 291-ე პარაგრაფის მიხედვით დასჯადი ქმედებაა.[110] BGH-ს მე-3 სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში, აღნიშნულთან მიმართებით, სასამართლომ შემდეგი სახის განმარტება გააკეთა: *„თუ სახეზეა მევახშური ტიპის სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულების ობიექტური შემადგენლობა, ივარაუდება, რომ არსებობს BGB-ის §138-ის პირველი ნაწილით მოწესრიგებული სუბიექტური და პიროვნული წინაპირობები. კრედიტის გამცემი, ყველა შემთხვევაში, რჩება ვალდებულ სუბიექტად, წარმოადგინოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს ერთ-ერთი გარემოება: კრედიტის მიმღებს მისთვის ზედმეტად არახელსაყრელი ხელშეკრულება მხოლოდ თავისი სუსტი ეკონომიკური მდგომარეობის, სამართლებრივი ვითარების არცოდნის ან გარიგების დადების გამოუცდელობის გამო არ დაუდია, ან რომ კრედიტის გამცემმა ეს ვერ შეამჩნია ან არასწორად შეაფასა ის, ისე, რომ ეს დაუდევრობით არ მოსვლია“.*[111]

მიუხედავად იმისა, რომ პროცენტზე საკანონმდებლო შეზღუდვა 2007 წლის შემდეგ მოხსნილი იყო, წარმოშობილი ხარვეზი მთლიანად ამოავსო სასამართლომ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სესხის ხელშეკრულების შეუსაბამოდ მაღალ პროცენტზე (ნაწილობრივ ბათილობა) გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება,

---

[108] *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2007, 58.

[109] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §138, 35 (2019 წლის მდგომარეობით).

[110] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., საია, 2014, 65.

[111] გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს (BGH) მე-3 სამოქალაქო საქმეთა პალატის 1988 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება., GIZ., *ლეგაშვილი დ.,* (მთარგ.), თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია <http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-BVerfGE.pdf> [25.03.2022].

რომლის თანახმად, *გამსესხებლის მიერ, ბაზარზე, საკრედიტო დაწესებულებ(ებ)ის კრედიტებზე დადგენილ საშუალო საპროცენტო განაკვეთებზე (%) ბევრად მეტი ოდენობით პროცენტის განსაზღვრა ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისთვის დადგენილ ძირითად საკანონმდებლო პრინციპებს, საჯარო წესრიგს, შესაბამისად – ზნეობრივ სტანდარტს.*[112]

ანალოგიურად შეაფასა სასამართლომ ერთ-ერთი საქმე, რომელიც შეეხებოდა ფულადი ვალდებულების შესრულებას და ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციას. მსესხებელმა, 2017 წლის 4 მაისს, საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფისა და გირავნობის ხელშეკრულებით, გამსესხებლისგან ისესხა თანხა, თვეში 5%-იანი სარგებლის დარიცხვის პირობით, რაზეც სასამართლომ დასაბუთების ნაწილში მიუთითა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა უცილოდ ბათილ გარიგებას. სასამართლოს აზრით, *მხარეთა მიერ განსაზღვრულია ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის 5%, რაც წლიური საპროცენტო განაკვეთით მისი დარღვევის შემთხვევაში 60% შეადგენს, ეს კი საჯარო წესრიგთან, ზნეობრივ ნორმებთანაა შეუსაბამო,*[113] *ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში, რითაც სოციალური სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება. ამდენად,* სასამართლოს *მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით,* გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიაჩნია, წლიურ საპროცენტო განაკვეთად განისაზღვროს ძირითადი თანხის 24%.[114]/[115] აღნიშნული გადაწყვეტილებები იმ კუთხით არის საინტერესო, *რომ* ***გარდა შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვისა, „უკვე გადახდილი საპროცენტო სარგებლის შემცირებაც" მოახდინა სასამართლომ.*** შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების დანაწესის მიხედვით, *საპროცენტო სარგებლის გამოთვლა ხელმეორედ*

---

[112] სუსგ 2015 წლის 28 ივლისის საქმე №ას-663-629-2015; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[113] **შედარებისთვის:** უნგრეთში, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი იპოთეკური სესხებზე, დაახლოებით, 4.7%-ია. იხ. Hungary, EU 28 Country Reports, EMP Hypostat, 2018, 71, <http://www.ecbc.eu/uploads/attachements/27/65/Hungary.pdf>. [25.03.2022].

[114] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ე. ბიწაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[115] ანალოგიური დანაწესია ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსამართლე გონივრულ წლიურ საპროცენტო განაკვეთად მიიჩნევს 30.75% (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №1583-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

*უნდა მომხდარიყო ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის მომენტამდე არსებული პერიოდის მხედველობაში მიღებით.*[116] დღესდღეობით, სამოქალაქო კოდექსი არა მარტო იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხთან მიიჩნევს პროცენტის სავალდებულო მითითებას, არამედ განსაზღვრავს სესხის წლიურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 50%.

სსკ-ის ***626-ე მუხლი შეიცავს მთარგმნელობით ხარვეზსაც.*** აღნიშნულზე მართებულად აპელირებს პროფ. ზურაბ ჭეჭელაშვილი: „სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლში (III ნაწილი, II წინადადება) უხეში თარგმნითი ხასიათის შეცდომაა დაშვებული. ერთი შეხედვით შეცდომის შემჩნევა ძნელია, მაგრამ ყურადღებით დაკვირვების შემდეგ ყოველი ქართველი იურისტი შეამჩნევს ნორმის ჰიპოთეზის არაადეკვატურობას მთლიანად ნორმის შინაარსის მიმართ. ნორმის არსებული რედაქციის არსიდან გამომდინარეობს, რომ სესხის ხელშეკრულებაში, აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში (ვინაიდან მხარეები სესხის ხელშეკრულების ვადას განსაზღვრავენ წინასწარ) სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს სესხის კონკრეტული ვადის გასვლისას, მაგ., 6 თვის, 1, 2, 5 და მეტი წლის შემდეგ, რა ვადითაც დაიდო ხელშეკრულება.[117] ასეთი ფორმულირებით ზემოაღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება თუნდაც 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებას, რომელიც (სხვათა შორის, ასევე იმპერატიულად) პროცენტების გადახდის ვალდებულებას მსესხებელს აკისრებს პერიოდულად ყოველი წლის გასვლის შემდეგ. ნორმის სწორი თარგმანი ზემოაღნიშნულ ხარვეზს სპობს; კერძოდ, ნორმის ჰიპოთეზა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თუ სესხის ხელშეკრულებით გადახდის ვადა უფრო ადრე დადგება“, ანუ ნორმის ჰიპოთეზა აგრძელებს მუხლი მე-3 ნაწილის პირველი წინადადების აზრს: როგორც წესი, პროცენტი გადაიხდევინება ყოველი წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ თუ სესხის ხელშეკრულებით ვადა იწურება წლის გასვლამდე, მაშინ

---

[116] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №1583-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[117] *ჭეჭელაშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ტექსტუალური და თარგმნითი ხასიათის ხარვეზები., თბილისის ღია უნივერსიტეტი, ჟურნ. „წელიწდეული“, II გამოცემა, თბ., 2020, 79.

„ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას“ (Ist das Darlehen vorher fällig, dann sind Darlehen und Zinsen bei Fälligkeit zu entrichten)“.[118]

რაც შეეხება სესხის ხელშეკრულების საგანს, იგი შეიძლება იყოს ფული ან გვაროვნული ნივთი. რომის სამართლიდან მოყოლებული, სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისგან მიჯნავდა შეცვლად და შეუცვლად ნივთებს.[119] სესხის ხელშეკრულების საგანი შეუძლებელია იყოს ინდივიდუალური ნივთი.[120] უფრო მეტიც, სესხი შეიძლება დაიდოს მხოლოდ ფულთან ან გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებით. აღნიშნული განპირობებულია იმ მიზეზით, რომ მსესხებლის მიზანს წარმოადგენს ნივთის მოხმარება და ბუნებრივია, კანონმდებელი მოვალეს იმავე ნივთის უკან დაბრუნებას ვერ დაავალდებულებს. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში ზემოხსენებული პრობლემა სახეზე არ გვაქვს, რადგან ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთით ხდება, მოვალე ვალდებულია დააბრუნოს არა ზუსტად იგივე ნივთი, რაც მან ხელშეკრულებით მიიღო, არამედ მისი გვარის სხვა ნივთი, რომელსაც იგივე თვისებები ექნება, რაც მსესხებელს გარიგებით გადაეცა.

ხელშეკრულების დადებისას დეტალურად უნდა განისაზღვროს გვაროვნული ნივთის ხარისხი და ოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი დარეგულირდება სსკ-ის 380-ე მუხლით, *თუ ხელშეკრულებაში დაწვრილებით არ განისაზღვრა შესრულების ხარისხი, ასეთ შემთხვევაში, მოვალეა ყოველმხრივ ვალდებული საშუალო ხარისხის სამუშაო შეასრულოს (ამ ნორმაში, საყურადღებოა ჩანაწერი* ***„შეასრულოს სულ ცოტა“****), და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.*[121] მას შემდეგ, რაც მსესხებელს წარმოეშობა საკუთრების უფლება ნივთზე, მასზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკიც. შესაბამისად, ნივთის შემდგომი განადგურება ვერ იქნება ვალდებულებისგან განთავისუფლების საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების საგანი არ არის ინდივიდუალური, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.[122]

---

[118] *ჭეჭელაშვილი ზ.,* ევროკავშირის პროექტი: კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, თბ., 2016, 39-40.
[119] ვრცლად იხ. *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 147-148.
[120] იხ. სქოლიო „43“.
[121] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 380, 24/07/1997.
[122] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 382, 24/07/1997.

პრაქტიკაში სესხის უფრო გავრცელებულ ობიექტს ფული წარმოადგენს, „რომელიც გაცვლა-გამოცვლის უნივერსალური საშუალება“[123] და „გონებრივი რევოლუციის შედეგია“.[124] საბაზრო ეკონომიკაში, ფული[125] განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი,[126] რომელიც „ქონების გადაცვლის, შენახვისა და ტრანსპორტირების მარტივი და იაფი საშუალებაა“.[127] ეს განპირობებულია მისი უნიკალური თვისებებით,[128] რომელიც სყიდვაუნარიანობის[129] მაღალ ხარისხში ვლინდება. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, *ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი (რომლებიც ატარებენ სასყიდლიან ხასიათს) შესაძლოა ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ნებისმიერ ობიექტზე გაიცვალოს.*[130]

ფორმის დაცვის პარალელურად, აუცილებელია განვიხილოთ სესხის ხელშეკრულების მხარეები. ფულადი ვალდებულების დაკრედიტებისას,[131] ხელშეკრულების მხარედ შესაძლოა მოგვევლინოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.[132] კანონმდებელი არ მიუთითებს რაიმე ტიპის შეზღუდვაზე, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სესხის ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მხოლოდ გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელ წინაპირობათა დაცვა.

მართლწესრიგის მიერ ფიზიკური პირისათვის დაბადებით მინიჭებული უფლებაუნარიანობა შემოიფარგლება უფლებებისა და მოვალეობების ქონის „პასიური“

---

123 *ჰარარი ი.ნ., საპიენსი* – კაცობრიობის მოკლე ისტორია, თბ., 2020, 231.
124 იქვე, 229.
125 ვრცლად იხ. *Mishkin, F.S.*, The economics of money, banking and financial markets/Frederic S. Mishkin, Apostolos Serletis. 4th Canadian ed., Ch., 3 “What is Money”, 2011, 43-57.
126 *Grüneberg Ch.*, in Palandt O., BGB Komm., 78 Aufl., München, 2018, §245, Rn. 2.
127 *ჰარარი ი.ნ., საპიენსი* – კაცობრიობის მოკლე ისტორია, თბ., 2020, 232.
128 ვრცლად იხ. *შენგელია თ.*, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები., თავი XVI, ლექცია 7, ფულისა და საფინანსო სისტემის როლი ბიზნესის განვითარებაში, თბ., 2008, 501-529.
129 *Keynes J.M.*, Allgemeine Theorie der Beschäftigung, des Zinses und des Geldes, Aus dem Englischen neu übersetz von Nicola Liebert, Buch V, Kapitel 19, Berlin, 2017, 145.
130 სუსგ 2016 წლის 19 აპრილის საქმე №ას-135-131-2016; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
131 „ფულადი ვალდებულების აღება ყოველთვის ფასიანია, ამიტომ დასაფიქრებელი, რამდენად გვიღირს პროცენტისა და ზედმეტი ხარჯების გაღება ვალდებულების აღების სანაცვლოდ“, იხ. *Preston S.D., Prochaska-Cue K.*, Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska-Lincoln, 2007.
132 ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაზე ვრცლად იხ. მუტჰორსტი ო., დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით: ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი I, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, თბ., №9/2021, 1-46.

უნარით. ფიზიკური პირი საკუთარი ნებითა და (მო)ქმედებით, სრულად იძენს სამოქალაქო ქმედუნარიანობას სრულწლოვნებისთანავე,[133] ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით დაზუსტებულია, რომ სრულწლოვნებისთვის საჭიროა პირმა მიაღწიოს 18 წლის ასაკს.[134]

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოში მიიღეს „ბავშვის უფლებათა კოდექსი", რის შემდეგაც განსაკუთრებულ კონტროლქვეშ ის სასესხო ურთიერთობები მოექცა, რომელიც ბავშვის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას ან განკარგვას შეეხებოდა.[135]/[136] აღნიშნულ პერიოდში გახშირდა სამართლებრივი დავები ბავშვის საუკეთესო ინტერესის (**"The best interests of child"**)[137] დადგენის მიზნით და სასამართლომაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა, კერძოდ: ბავშვის ინტერესის წინააღმდეგ დადებულ გარიგებად მიიჩნია სასამართლომ მშობლების მხრიდან სესხის უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულება, რადგან სესხისთვის გამოყენებულ იქნა თავად არასრულწლოვნის ქონება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის კუთვნილი ქონების იპოთეკით დატვირთვა, მშობლის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 17 წლის არასრულწლოვნის ნების შესაბამისად. „რაც შეეხება ბავშვის ინტერესს, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის ბავშვის ნამდვილი ინტერესი, რადგან ბიზნესის დასაწყებად სესხის აღება, თუნდაც ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბავშვის ნამდვილ ეკონომიკურ ინტერესს არ შეესატყვისება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ სესხად აღებული თანხებით ბიზნესის წარმოება ვერ მოხერხდა. ბავშვის ქონების დაკარგვის საფრთხის არსებობა ბავშვის ინტერესებისთვის საზიანოა".[138]

---

[133] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 12(I), 24/07/1997.
[134] იქვე.
[135] საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 19(IV), ვებგვერდი 27/09/2019, 20/09/2019.
[136] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 183(II), 24/07/1997.
[137] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 06 ოქტომბრის საქმე №2ბ/3275-15; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1009-18; გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[138] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *მ. ჭედია;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

იურიდიულ პირს, კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ, წარმოეშობა უფლებაუნარიანობა, რაც გულისხმობს უფლებას განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც არ სჭირდება სპეციალური ნებართვა ან ლიცენზია.[139] მნიშვნელობა არ ენიჭება სადამფუძნებლო დოკუმენტში დეტალურად არის თუ არა საქმიანობა გათვალისწინებული. მოქმედი კანონმდებლობით, სამოქალაქო სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც პირდაპირ (თვისობრივად) არ უკავშირდება ადამიანს.[140] შესაბამისად, ნებისმიერ იურიდიულ პირს თავისუფლად შეუძლია შევიდეს სასესხო ურთიერთობებში და იყოს როგორც გამსესხებელი, ასევე მსესხებელი.

საინტერესოა ის საკითხი, რომ ეროვნული ბანკის რეგულაციას არ იცავდნენ ონლაინ საკრედიტო კომპანიები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით რეგისტრირებული სესხის გამცემი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის პორტფოლიო პირდაპირ უკავშირდებოდა სესხის გაცემას, რამდენადაც „სესხის ხელშეკრულებაც საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია“.[141] ასეთ კომპანიებს დაწესებული ჰქონდათ კაბალური საპროცენტო განაკვეთები, თუმცა ამის მიუხედავად, მათ საქმიანობაზე მონიტორინგს არც ერთი სახელმწიფო უწყება არ ახორციელებდა. საფრანგეთის და რუმინეთის კოდექსებისგან განსხვავებით, ასეთ პრობლემურ საკითხზე საქართველოში ფულადი ჯარიმები არ იყო გათვალისწინებული და არც გერმანიის მსგავსად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, უდავოდ საჭიროებდა სინთეზურ ნორმებს, რომელიც საფინანსო სერვისის საჭიროების მქონე მომხმარებელთა უფლებებს დაიცავდა და ბაზარზე კრედიტორის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს შესაბამისი სანქციით დაუპირისპირდებოდა.

---

[139] აღნიშნულ სამართალურთიერთობას აწესრიგებს საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 40, 18/07/2005, თავი II. „ლიცენზიის სახეები“, მუხ. 6, 24/06/2005.
[140] იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 165.
[141] *ტაკაშვილი ს.*, უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან., დის., თბ., 2018, 209.

აღნიშნული პრობლემური საკითხები მოწესრიგდა 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რითაც საფინანსო სექტორის სისტემატიზაცია და ერთიან სტანდარტში მოქცევა მოხერხდა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია მომხმარებელთა უფლებების თანაბარზომიერი დაცვის თვალსაზრისით.

ონლაინ სესხის კომპანიების მიმართ გატარებულმა მკაცრმა საფინანსო-ადმინისტრაციულმა პოლიტიკამ[142]/[143] და პროცენტზე დაწესებულმა რეგულაციებმა ინტერესი დაუკარგა ონლაინ საფინანსო კომპანიებს,[144] რომელთათვისაც 50%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, რადგან სულ მცირე წლიურად 100-დან 200%-მდე და უფრო მეტი მოცულობით ხდებოდა სესხების გაცემა.[145] ეს პოლიტიკა, ერთი მხრივ, აღარიბებდა მოსახლეობას და მეორე მხრივ, ხელს უწყობდა ქვეყანაში ჭარბვალიანობის სტატისტიკის ზრდას.

ევროპაშიც, არასაბანკო კომპანიებს უფლება არ აქვთ კრედიტზე დააწესონ ისეთი წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც აღემატება ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ საბაზო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გაზრდილია 39%-ით (საბაზრო საპროცენტო განაკვეთია 16.5%). სწრაფი ონლაინ-სესხების გამცემი ორგანიზაციების ზედამხედველობას, უნგრეთის შემთხვევაში ახორციელებს უნგრეთის ეროვნული ბანკი და აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან დაწესდა ახალი რეგულაციები.[146] თუ სესხის გამცემი ორგანიზაცია არ ასრულებს კანონით დადგენილ ნორმებს, მაშინ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საბჭო გასცემს ისეთ წესს, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს

---

[142] *გაბისონია ზ.,* უახლესი ცვლილებები ქართულ საბანკო კანონმდებლობაში და მისი გავლენა ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებზე, თბილისის ღია უნივერსიტეტი, ჟურნ. „წელიწდეული", II გამოცემა, თბ., 2020, 60.

[143] იხ. *დოღონაძე ი.,* მონეტარული პოლიტიკის გავლენა კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე, დის., თბ., 2016, 30. „ცენტრალური ბანკების მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად უარესდება მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობა და მცირდება შესაძლებლობები ახალი დაბანდებებისთვის".

[144] *ეროვნული ბანკიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე (11.04.2022),* 2018 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით მოქმედებდა 70 მისო და 15 კომერციული ბანკი, ხოლო 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით მოქმედია 38 მისო, 14 კომერციული ბანკი და 182 სესხის გამცემი სუბიექტი; ამასთან, თუ 2018 წლის 27 სექტემბრამდე 9 მისო-ს ჰქონდა „ონლაინ-სესხების" პორტფოლიო, ***დღეის მდგომარეობით ეროვნულ ბანკში რეგისტრირებულ არცერთ ორგანიზაციას არ აქვს ონლაინ სესხები (იხ. დანართი „4").***

[145] იხ. *ხამხაძე თ.,* ჭარბვალიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი და საჭირო სამართლებრივი რეგულაციები., ჟურნ. „ჩემი ადვოკატი", თბ., №1, 2021.

[146] *Nagy G.,* Hungary, Takarék Mortgage Bank, Plc, EU 28 Country Reports, EMP Hypostat, 2018.

ასეთმა ორგანიზაციამ, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ორგანიზაცია 9600 ევროთი ჯარიმდება.[147] რუმინეთში საკრედიტო პოლიტიკა ხორციელდება როგორც საბანკო, ისე არასაბანკო ორგანიზაციების მიერ, რომელთა საქმიანობას ზედამხედველობს რუმინეთის ეროვნული ბანკი.[148] თუკი ქართული კანონმდებლობაც ანალოგიურ ცვლილებებს განახორციელებს, ქვეყანაში საფინანსო სექტორის საქმიანობის პროცესი მეტად გამჭვირვალე გახდება.

2002 წლამდე, გერმანულ სამართალში, სანამ განხორციელდებოდა ვალდებულებით-სამართლებრივი რეფორმა, BGB-ის 610-ე მუხლი ითვალისწინებდა სესხის შეპირებას. მას შემდეგ, რაც სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები შეიცვალა და გარიგება მიიჩნიეს კონსენსუალურ და ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებად, სესხის შეპირება უსარგებლო გახდა და ნორმა ამოიღეს BGB-დან. პარადოქსულია, რომ ერთი მხრივ ვამბობთ, თითქოს სესხი რეალური ხელშეკრულებაა და შეუძლებელია პირი დავავალდებულოთ დადოს სესხის ხელშეკრულება და მეორე მხრივ, მსგავს შესაძლებლობას სსკ-ის 628-ე მუხლით კერძო სამართლის სუბიექტს ვაძლევთ. ცხადია, რომ სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებებია განსახორციელებელი, რომელთაგან ერთი აუცილებლად სესხის შეპირების ხელშეკრულების გაუქმებას უნდა შეეხოს.[149]

**სესხის შეპირების ნორმა** აპელირებს მხარის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებაზე, რა დროსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. ამ მიზნით, ნორმა ცალმხრივად იცავს დამპირებელს, რომელსაც აძლევს არჩევანის საშუალებას გასცეს სესხი რისკის მიუხედავად, ან არსებული ნორმის საფუძველზე უარი თქვას. სასურველია ნორმა შეიცავდეს აღწერას, თუ რა მიიჩნევა ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებად, რა შესაძლო მტკიცებულებით არის დადასტურება შესაძლებელი და მეორე მხარეს მიეცეს შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა, რითაც გამოირიცხება დაუსაბუთებელი უარის

---

[147] *სონღულაშვილი ს.,* სწრაფი ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება ევროპის ქვეყნებში., ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"., №1, 2017, 69.

[148] იქვე, 65.

[149] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში, სტუ-ს სამეცნ. ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება" (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), თბ., №4 (56) 2020, 59.

საფუძველზე სესხის გაუცემლობა და დაცული იქნება ბალანსი. ნორმის ჰარმონიზაცია[150] გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას და არა პრივილეგიის მინიჭებას კრედიტორის ან მოვალის სასარგებლოდ. ქონებრივ მდგომარეობაზე აპელირებს სსკ-ის 627-ე მუხლი, რომლის ძალით, *გამსესხებელი* უფლებამოსილია ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება მოითხოვოს, თუ უარესდება (ამ მუხლში მნიშვნელოვანი ჩანაწერია „არსებითად გაუარესება“) მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა, რითაც სესხის დაბრუნების საფრთხე მნიშვნელოვნად იზრდება. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი *უფლება იმ პირობებშიც არსებობს, თუ ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება ხელშეკრულების წინმსწრებია, ხოლო გამსესხებლისათვის თავად ეს ფაქტი მხოლოდ სახელშეკრულებო შეთანხმების შემდეგ ხდება ცნობილი.*[151] რეგულაცია გამსესხებლის დაცვაზეა ორიენტირებული. ყველა გაწეული რისკის მიუხედავად, ხელშეკრულების დადების შემდეგაც, კანონმდებელმა კრედიტორს უფლება მიანიჭა დაუყოვნებლივ მოითხოვოს სესხის უკან დაბრუნება. გამომდინარეობს, რომ მსგავს სადავო ურთიერთობაში, კოდექსში არ არსებობს დათქმა გამსესხებელმა რა თანხით დაიწყოს დავა, ძირითადი თანხით, თუ მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლითა და პირგასამტეხლოთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**კანონმდებლის ახალი რეგულაციაა სსკ-ის 624[1]-ე მუხლი**, რომლითაც შეიცვალა უზრუნველყოფილი სესხის/კრედიტის გაცემის წესი. *უძრავი ქონებით ან/და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებით*[152] *ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე წყლის, საჰაერო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხის/კრედიტის გაცემის შემთხვევაში სავალდებულოა გამსესხებელმა/კრედიტის გამცემმა*

[150] *Fox E.M.*, Harmonization of Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How? Vol., 60 Antitrust Law Journal, 1992, 594. ციტირ. ლიტ-რა: *სამხარაძე ი.*, სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო“, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2015, 315. („ჰარმონიზაცია, ფართო გაგებით, შეიძლება განიმარტოს როგორც პროცესი, რომელიც ისწრაფვის ორი ან მეტი განსხვავებული ელემენტის გაერთიანების ან მაქსიმალური დაახლოებისაკენ“).

[151] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 627, 24/07/1997.

[152] საქართველოს კანონი, „საგზაო მოძრაობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, ვებგვერდი 03/01/2014, მუხ. 53(I), 24/12/2013.

*მსესხებელს/კრედიტის მიმღებს ფულადი სახსრები გადასცეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.*[153] აღნიშნული ცვლილება ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ჭარბვალიანობის მართვისათვის. სავალდებულო უნაღდო ანგარიშსწორების გზა[154] საუკეთესო მექანიზმია ასეთი სარისკო სასესხო/საკრედიტო ურთიერთობების კონტროლისა და ზედამხედველობის საკითხში.[155]

**უახლესი რეგულაციაა სსკ-ის 628[1] მუხლი,** რომელიც აწესრიგებს ფულადი სახსრების მოზიდვის შემზღუდველ პოლიტიკას. ნორმა 2017 წლის 13 იანვარს ამოქმედდა, მოგვიანებით, 2018 წელს სახეცვლილი ფორმითა და შინაარსით ჩამოყალიბდა: მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს, 20-ზე მეტი ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან დაბრუნებადი ფულადი სახსრები მოიზიდოს მხოლოდ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, თუ მისო ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ი/მ), თითოეული ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ი/მ) მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები და ეს თანხა უნდა გადაიხადოს ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.[156] აღნიშნული ნორმა მნიშვნელოვნად ზღუდავს ბაზარზე არსებულ საფინანსო კომპანიებს, რომელთაც ერთი წლის ვადაში ავალდებულებს ლიმიტირებული თანხის გადახდევინებას, რაც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების კლასიკური ბოჭვის შემთხვევაა. „მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არცთუ მარტივი იქნება იმ ფაქტის დადგენა, თუ რამდენ ფიზიკურ პირს აქვს შესაბამისი ფულადი ვალდებულება გამსესხებლის მიმართ, ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ

---

[153] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 624, 24/07/1997.

[154] ფულად ვალდებულებათა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესრულებისას წარმოიშობა საანგარიშსწორებო სამართალურთიერთობები. ვინაიდან კრედიტორსა და მოვალეს შორის უნაღდო ანგარიშსწორება ბანკების მეშვეობით ხორციელდება, ეს ურთიერთობები ექვემდებარება განსაკუთრებულ საბანკო წესებს. (*ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 270.

[155] *ნანდოშვილი ე.,* ნოვაციები სასესხო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებაში, <https://www.gruni.edu.ge/other_content/index/810/1574860095> [28.03.2022].

[156] ვრცლად იხ. *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამათლის ქვეყ-ნებში, სტუ-ს სამეცნ. ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), თბ., №4 (56) 2020, 60-61.

დებულება შეიძლება ჰიპოთეზურად მსხვილ მევახშეებზეც გავავრცელოთ“.[157] „სესხის ლარიზაციიდან გამომდინარე,[158] შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებებმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე სერიოზული ზემოქმედება იქონია; ხელი შეუწყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გამსხვილებას და ასევე მცირე ზომის მსგავსი სასესხო-საკრედიტო დაწესებულებების ბაზრიდან განდევნას, რაც შესაძლებელია საბანკო-ეკონომიკური ლანდშაფტის თვალსაზრისით შეფასდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით მოვლენად. ამას კი ღრმა მეცნიერული გაანალიზება ჭირდება სამართლისა და ეკონომიკის მატერიათა ინტეგრირებული კვლევის გზით“.[159] ზემოაღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, უდავოა, რომ სუსტი მხარის ინტერესების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, რამაც ერთი მხრივ, უზრუნველყო ჭარბვალიანობის შემცირება ქვეყანაში, თუმცა მეორე მხრივ, დაკრედიტების პოლიტიკის სიმკაცრიდან გამომდინარე ბაზარზე ისეთი ხელშეკრულებების მზარდ სტატისტიკას შეუწყო ხელი, როგორიცაა „ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით“,[160] რომლის უკან, უმეტესწილად სამევახშეო სისტემაა.[161] სინამდვილეში, როგორც პროფ. თამარ ლაკერბაია აღნიშნავს, ეს პირიქით უნდა მომხდარიყო, რადგანაც „სუსტი მხარის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გაუმართლებელ უპირატესობაში არ აღმოჩნდეს მეწარმე-სუბიექტი (კრედიტორი), რომელიც შეუსაბამოდ მაღალი შემოსავლებისკენ ისწრაფვის, ამ დროს კი უსამართლო პირობებისგან დასაცავი ხდება „ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდ დადებული

---

157 *გოთუა ლ.,* სსკ-ის 867 მუხლის კომენტარი, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2020/06/Artikel-867.pdf> [26.03.2022], ბოლო დამუშავება: 30.01.2020.

158 მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თებერვალი, 2021, 9. („სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2021 წლის 1 თებერვლის მდომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 44.1% გაუტოლდა. ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. ამ პერიოდში, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 59.4%, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე 28.6% შეადგინა“.<https://www.mof.ge/images/File/2021-publikaciebi/05-03-2021/Outlook%20February%202021_GEO.pdf> [28.03.2022].

159 *გაბისონია ზ.,* უახლესი ცვლილებები ქართულ საბანკო კანონმდებლობაში და მისი გავლენა ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებზე, თბილისის ღია უნივერსიტეტი, ჟურნ. „წელიწდეული“, II გამოცემა, თბ., 2020, 61.

160 იხ. *ქურასბედიანი ს.,* ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით ხელშეკრულების თვალთმაქცური ბუნება (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში)., თბ., 2019, 31-40.

161 იხ. *ჭუბაბრია თ.,* მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ – მტაცებლური დაკრედიტება და მისი სოციალური შედეგები., ანალიტიკური დოკუმენტი, თბ., 2020, 15-16.

ხელშეკრულებები“.[162] ამდენად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „მევახშეები“ იყენებენ „გამოსყიდვის უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას“, რომელიც თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგებაა, იპოთეკური ხელშეკრულების იმიტაცია და მოვალის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პროცესი; შესაბამისად, მსგავს ხელშეკრულებებზე ეროვნული ბანკისგან მონიტორინგის დაწესებაა აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით ხელშეკრულება, როგორც თვალთმაქცური გარიგება, პრაქტიკაში გახშირებულია,[163]/[164] რაც საკანონმდებლო ხარვეზზე მიუთითებს. სწორედ ამიტომ, ნასყიდობის ფასის და უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრა გადაჭრის პრობლემას, ამისთვის კი, საკმარისი იქნება ქონების საექსპერტო/სააუდიტო შეფასება ან/და უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, ბაზარზე დადგენილი ფასის (მ²) კოეფიციენტთან მისადაგება. საბოლოოდ, გახშირებული დავებისგან განიტვირთება სასამართლო და სამევახშეო პოლიტიკისგან დაცული იქნება მოქალაქეთა საკუთრების უფლება.[165] თუმცა, ისიც საგულისხმოა, რომ „კანონმდებლობაში შესწორებებისა და დამატებების შეტანის თვითმიზნად ქცეულმა ტენდენციამ, შეარყია სამართლებრივი სტაბილურობის საფუძვლები და დაარღვია მხარეთა ინტერესების ბალანსი“.[166]

---

[162] *ლაკერბაია თ.,* ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, დის., თბ., 2016, 182.

[163] იხ. სქოლიო „158“, 56-57.

[164] იხ. *ჭუბაბრია თ.,* მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ – მტაცებლური დაკრედიტება და მისი სოციალური შედეგები., ანალიტიკური დოკუმენტი, თბ., 2020, 9, 15.

[165] საკუთრების უფლების შესახებ ვრცლად იხ. *ზარანდია თ.,* საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით)., თბ., 2012, 297-313.

[166] *მესხიშვილი ნ.,* ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან., დის., თბ., 2018, 173.

# თავი II. სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

## 2.1. სესხის ხელშეკრულების გერმანული მოდელი

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 1900 წელს შევიდა ძალაში და მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე 2002 წლამდე იმოქმედა, ვიდრე არ ჩატარდა ვალდებულებითი სამართლის რეფორმა, რომელმაც ძირეულად შეცვალა რიგი საკითხები.[167] გერმანული სამართალი, ისევე როგორც თანამედროვე სამართლის სისტემები, კონსენსუალიზმის პრინციპზეა დამყარებული[168] და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გამართულ, სტრუქტურირებულ კანონად, რომელიც პასუხობს თანამედროვე სამართლებრივ გამოწვევებს. 1992 წელს შექმნილმა სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისიამ სწორედ ამ მიზეზით, ქართული კოდექსის წყაროდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოიაზრა.[169]

სესხის ინსტიტუტმა გერმანიის კანონმდებლობაში არსებითი ცვლილება განიცადა, რომელსაც საფუძვლად დაედო სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც გერმანიაში მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება. „ის ფაქტი, რომ მოვალე BGB კოდექსით მომხმარებლის სტატუსს ატარებს, სხვა ფაზაში წარმოგვიდგენს სასესხო-სამართლებრივ ურთიერთობებს“.[170] რეფორმამდე სესხის ხელშეკრულების ცნებას §607-ე ეხებოდა: *„მათ ვინც მიიღეს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი, ვალდებულნი არიან გამსესხებელს დაუბრუნონ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი“.*[171]

BGB ქართული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, ერთმანეთისგან მიჯნავს ფულის და ნივთის სესხის ხელშეკრულებას. BGB კოდექსით, მსესხებელი ვალდებულია ვადამოსულობისას დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა და პროცენტი.[172] ნორმის

---

[167] *Zimmermann R.*, The new German law of obligation, historical and comparative perspectives, 2005, 46.
[168] *Markesinis Sir B., Unberath H., Johnston A.*, The German Law of Contract, 2006, 81; *კროპჰოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., საია, 2014, 365.
[169] *კროპჰოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., საია, 2014, 12.
[170] იხ. *შოთაძე თ.*, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 88.
[171] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §607 (2019 წლის მდგომარეობით).
[172] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §488, 123 (2019 წლის მდგომარეობით).

შემადგენლობა, უფლება-მოვალეობების გადანაწილება ინტერპრეტაციის საშუალებას აღარ იძლევა. სესხის ხელშეკრულება არის კონსენსუალური ხელშეკრულება.[173] ამდენად უარყოფილია რეალური ხელშეკრულების თეორია და „გადალახულია ის მოსაზრება, რომელიც სესხის ხელშეკრულების დადებას უკავშირდება.[174] მოქმედი რედაქციით, გამსესხებელი ვალდებულია გადასცეს საკუთრების უფლება ფულზე, ხოლო მსესხებელს კი წარმოეშობა ვალდებულება დათქმულ დროს დააბრუნოს მიღებული თანხა.[175] ამ განმარტების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სესხი კლასიკურ ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებად მიიჩნევა, სადაც ორივე მხარე კრედიტორიც არის და მოვალეც.[176] BGB-ის §607-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „*ნივთის სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადასცეს შეთანხმებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი“.*[177] მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს სესხის საზღაური და სესხის გადახდის ვადის დადგომისას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.[178] წინამდებარე განმარტების შედეგად, ნათლად ჩანს, როგორც გამსესხებლის – ასევე მსესხებლის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მომენტიდან. BGB განასხვავებს ფულის სესხის ხელშეკრულებას, იგივე სესხის ხელშეკრულებას, რომელიც ყველაზე გავრცელებული ტიპური ფორმაა (§488-505),[179] მაშინ როცა სსკ არ მიჯნავს ფულის და გვაროვნული ნივთების სასესხო ურთიერთობებს დამოუკიდებელ სახელშეკრულებო კონსტრუქციებად.

ქართული სამოქალაქო კოდექსი, გერმანულისგან განსხვავებით, 623-628 მუხლებში ორივეს ეხება. ამასთან, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, BGB-ის ამჟამინდელი რედაქციით, ცალ-ცალკეა ფულის სესხის ხელშეკრულება (488-490

---

[173] *Forster C.,* Schuldrecht Besonderer Teil, 2012, 237; *Brox H., Walker W.-D.,* Besonderes Schuldrecht., 2013, 229.
[174] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), საია, თბ., 2014, 365.
[175] *Markesinis Sir B., Unberath H., Johnston A.,* The German Law of Contract, 2006, 151.
[176] *Maultzsch O.,* Vertagliche Schuldverhaltnisse, 2013, 95.
[177] გვაროვნულ ნივთებს განეკუთვნებიან ის საგნები, რომლებიც ხასიათდებიან ზოგადი ნიშნებით, როგორიცაა: ნივთის ბუნებრივი, ტექნიკური ან ეკონომიკური თვისება., ვრცლად იხ. *Emmerich V.,* in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl., München, 2016, §243, Rn. 6.
[178] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §607, 183 (2019 წლის მდგომარეობით).
[179] *Windel Peter A.,* The New Contract Type of Treatment Contracts in German Code of Civil Law, 2014, 16.

მუხ.), სამომხმარებლო კრედიტი (491-505 მუხ.) და ნივთის სესხის ხელშეკრულება (§607-609 მუხ).[180] კოდექსი სრულყოფილად აწესრიგებს ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებს, კერძოდ: გამსესხებლის ძირითადი ვალდებულება არის სესხის თანხის გადახდა; გამსესხებელმა, მსესხებელს გადაცემულ ფულზე არა მხოლოდ მფლობელობა, არამედ საკუთრებაც უნდა გადასცეს; მსესხებელს უნდა შეეძლოს გადაცემული ფულის დახარჯვა (განკარგვა); მსესხებელი არ არის ვალდებული, გამსესხებელს დაუბრუნოს გადაცემული კონკრეტული კუპიურები და მონეტები, არამედ მან გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა,[181] ანუ გასესხებულ თანხაში იგულისხმება მისი ოდენობა და არა განსაზღვრული ფულადი ნიშნები.[182]

გერმანული სამართალი ორიენტირებულია არა მხოლოდ ერთი მხარის (კრედიტორის) დაცვაზე, არამედ გვთავაზობს მომხმარებლის დამცავ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: ფორმის დაცვისა და ინფორმაციის გაცემის მავალდებულებელი იმპერატიული ნორმები (§512, §491ა, §492, §493, §494); ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებები/დებულებები (§495); მომხმარებლის მიერ შესაგებლის წარდგენის უფლების გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობა, თამასუქისა და ჩეკის აკრძალვა (§496); გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტის დათვლის ხელსაყრელი წესი (§497); ასევე გერმანიის საპროცესო კოდექსის §688-ის მე-2 ნაწილი, რომლითაც გამოირიცხება დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესით წარმოება მომხმარებლის მიმართ.[183]

BGB-ის §688 განიხილავს იმგვარ მოთხოვნებს, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული ოდენობის თანხის ევროში დაკისრებას; მსგავს შემთხვევებში, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, მიიღება გადახდის ბრძანება.[184] BGB-ის §246, თავისი არსით,

---

[180] *Weidenkaff,* in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Vorbemerkungen §488, Rn. 1. აგრეთვე., *ზამბახიძე თ.,* სესხის ხელშეკრულების კომენტარები., ბოლო დამუშავება: 26.10.2016., <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/11/Artikel-623.pdf> [20.01.2022].

[181] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., საია, 2014, 367.

[182] *Weidenkaff.,* in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Vorbemerkungen vor §488, Rn. 3.

[183] იხ. *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., საია, 2014, 369-370.

[184] The central prerequisite for a judicial order for default action is, first of all, that the filing of an application is aimed at enforcing a claim for payment of a certain sum of money in euros (§688 (1) ZPO). In the case of a claim for payment of a monetary debt in a foreign currency, conversion into euros is possible (BGH, judgement of 5.5.1988, Az. VII ZR 119/87). იხ. <https://se-legal.de/procedure-of-a-judicial-order-for-default-actions-in-germany/?lang=en> [19.03.2022].

საყურადღებოა, რადგან ადგენს კანონისმიერ საპროცენტო განაკვეთს.[185] თუ ვალს კანონის ან გარიგების მიხედვით უნდა დაერიცხოს პროცენტი, მაშინ საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4%-ს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.[186] მსგავსი მარეგულირებელი ნორმა პირდაპირ გვთავაზობს წლიური საპროცენტო განაკვეთის გონივრულ სკალას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ბაზარზე დომინირებული კრედიტორის მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ხარჯზე. ის, რაც ზღვრულ დანაწესს ცდება, BGB-ში ამორალურ გარიგებად მიიჩნევა.[187] BGB-ის 138-ე მუხლით, *ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელობით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს, ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ, მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც აშკარად არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებისას.*

მევახშეობა, სისხლის სამართლის კოდექსის §291-ის თანახმად, რომელიც ფაქტობრივი შემადგენლობით შეესაბამება §138-ის მე-2 ნაწილს, დასჯადია სისხლის სამართლის წესით, ხოლო მევახშური გარიგება, §134-ის თანახმად, ბათილია. ეს ნორმა მსგავსია 2012 წლის 25 მაისის მდგომარეობით ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლისა: – *„ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.“* ამდენად, ზემოაღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითად დებულებებთან, სადაც აღნიშნულია, რომ *„მხარეს შეუძლია საცილოდ გახადოს ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის იგი დამოკიდებული იყო მეორე მხარეზე ან ენდობოდა მას, იმყოფებოდა ეკონომიკურად გაჭირვებაში ან განიცდიდა უკიდურეს ხელმოკლეობას, იყო საქმეში ჩაუხედავი და წინდაუხედავი, არ გააჩნდა საქმიანი ურთიერთობის წარმოების უნარი ან*

---

185 Statutory interest rate, See BGB, §312-313, Sect. 246; "If interest is payable on a debt by law or under a legal transaction, the rate of interest is four per cent per year, unless otherwise provided". <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html> [19.03.2022].

186 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §246, 55 (2019 წლის მდგომარეობით).

187 იხ. *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), საია, თბ., 2014, 65.

*გამოცდილება“,*[188] სანაცვლოდ, მეორე მხარემ, მიიღო გაუმართლებელი ან შეუსაბამოდ დიდი სარგებელი.[189]

BGB-ის §288 ასევე იცნობს ისეთ ნორმას, როგორიცაა ვადის გადაცილების პროცენტები, რა დროსაც, ვადის გადაცილების პროცენტი საბაზისო განაკვეთს დამატებულ წლიურ 5%-ს შეადგენს. კოდექსის §247 განმარტავს ბაზისურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც 3,62 პროცენტია.[190] BGB მთლიანად გამორიცხავს პროცენტის პროცენტის დასაშვებობას და ბათილად მიიჩნევს ისეთ შეთანხმებას, რომლითაც გადასახდელ პროცენტებს კიდევ უნდა დაერიცხოს პროცენტები,[191] ხოლო §272-ის დეფინიციით, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვადამდე უზრუნველყოფს უპროცენტო ვალის გასტუმრებას, მაშინ მას შუალედური პროცენტ(ებ)ის გამოქვითვის უფლება არ აქვს.[192]

შედარებისთვის, ქართული სამოქალაქო კოდექსი, არაერთი ცვლილებების მიუხედავად, BGB-სგან განსხვავებით, სასესხო ურთიერთობის მომწესრიგებელ რამდენიმე ნორმას შეიცავს. ისინი გაწერილია 623-628[1] მუხლებში და გერმანული სამართლის ანალოგს მცირედით უახლოვდება.[193] ქართული სამართალი არ აწესრიგებს ისეთ ურთიერთობებს, როგორიცაა: მეწარმესა და მომხმარებელს შორის ფინანსური დახმარების/განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებ(ებ)ი, ამასთან არ წარმოგვიდგენს მომხმარებლის დაცვის სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ფორმის დაცვის სავალდებულოობისას არსებულ სტანდარტებს, ფორმის დაუცველობის სამართლებრივ შედეგებს, იურიდიული ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობებზე, მსესხებლის მიერ ვადის გადაცილებაზე, სესხის სრული მოცულობით დაბრუნებაზე, ეტაპობრივად გადასახდელი სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში, მსესხებლისა და გამსესხებლის

---

[188] იხ. ქართული კერძო სამართლის კრებული, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები., *ჭეჭელაშვილი ზ (მთარგ.),* მუხ. 4, წიგნი I, თბ., 2004, 109, 242.
[189] იქვე.
[190] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §247, 55 (2019 წლის მდგომარეობით).
[191] იქვე, §248, 55.
[192] იქვე, §272, 60
[193] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში, სტუ-ს სამეცნ. ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), თბ., №3 (55) 2020, 97.

ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებაზე, ხარჯების შემცირებაზე, კრედიტუნარიანობის შემოწმებაზე,[194] ხელშეკრულების პირობების შეცვლის დაუშვებლობაზე და სხვა.

ყოველივე ზემოთქმული, ქართული კანონმდებლობით, შესაძლოა ხელშეკრულებით იყოს მოწესრიგებული და მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმება არსებობდეს, თუმცა სადავო ურთიერთობისას, საკითხის კვლევა კოდექსის სხვადასხვა მუხლებზე დაყრდნობით ხდება და არა ვთქვათ იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც სესხის ხელშეკრულებაში შეიძლებოდა ასახულიყო. მსგავსი ნორმების წარმოუდგენლობა ან არასრულად წარმოდგენა სსკ-ში იწვევს მომხმარებლის უფლების დარღვევას და მოვალის თავდაცვისუნარიანობის სამართლებრივი გზა მოუწესრიგებელი რჩება; საკითხის დარეგულირება ისევ სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზეა შესაძლებელი.

ამდენად, თუკი კოდექსის მიზანი არის საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, აუცილებელია პრობლემური საკითხების საკანონმდებლო დონეზე კომპლექსური მოწესრიგება, რათა ხელშეკრულების მხარეებს არ მიეცეთ თვითნებური განმარტების შესაძლებლობა. რაც უფრო მოწესრიგებული და სრულყოფილია კანონი, ნაკლები საშუალება აქვს მხარეს ამა თუ იმ ნორმას მისთვის სასარგებლო ინტერპრეტაცია მისცეს.

## 2.2. სესხის ხელშეკრულების ფრანგული მოდელი

ფრანგული მოდელი იზიარებს საკუთრების გადაცემის კონსენსუალურ პრინციპს.[195]/[196] გერმანული სამართლისგან განსხვავებით, საფრანგეთში საჭიროა მხოლოდ ხელშეკრულების დადება და საკუთრებაც გადაცემულად ითვლება. ამის გათვალისწინებით, საინტერესოა, ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია მისი ძალაში შესვლის მიხედვით. არსებობს კონსენსუალური, სავალდებულო ფორმის ხელშეკრულებები, რასაც უნივერსალური ხასიათი აქვს და, აგრეთვე რეალური ხელშეკრულებები. ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისები, რომლებიც

---

[194] მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე ვრცლად იხ. *კოვზანაძე ი., კოტრიკაძე გ.*, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა., თბ., 2014, 376.

[195] *Sacco R.*, Legal Formants: A Dynamic Approach To Comparative Law, American Journal of Comparative Law, 1991, 230.

[196] *Sojeva D.*, Similarities and Differences Between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law AUDJ, Vol., 14, No. 2/2018, 25; *Cranston R.*, Principles of banking law. 2nd Ed., Oxford New York,  2002, 133.

კონსენსუალიზმის შეზღუდვად განიხილება.[197] რეალური ხელშეკრულების დროს საჭიროა არა მხოლოდ შეთანხმება, არამედ ნივთის ფაქტობრივი გადაცემაც.[198] „ასეთი ტიპის ხელშეკრულებაში მხოლოდ მოვალეა დატვირთული ვალდებულებებით, რომელსაც ხელშეკრულების ან კანონის ძალით თანხის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება.[199] ამგვარად, „ვისაც არაფერი მიუღია, დაბრუნების ვალდებულებაც არ გააჩნია".[200] გამომდინარეობს, რომ „სესხის ხელშეკრულებაში თანხის დაბრუნების კაუზა[201] არის მისი გადაცემა,[202] შესაბამისად, თანხის გადაცემამდე ხელშეკრულება არ იდება, რადგან სახეზე არ არის კაუზა. თავისთავად ცხადია, რომ რესტიტუციის ვალდებულება არ არსებობს, თუკი თანხის გადაცემა არ განხორციელებულა".[203]

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1874-ე მუხლის თანახმად, ორი სახის სესხის ხელშეკრულება არსებობს: **Loan For Use** (Commodate) და **Loan For Consumption** (Loan).[204] Commodate თანამედროვე გაგებით, ტიპური თხოვების ხელშეკრულებაა, რომლითაც გამნათხოვრებელი ნივთის მესაკუთრედ რჩება, ხოლო მონათხოვრე ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ვალდებულია უზრუნველყოს ნივთის დაბრუნება. ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1892-ე მუხლი ისეთ სასესხო ურთიერთობას აწესრიგებს, როდესაც მსესხებლისთვის ნივთის საკუთრებაში გადაცემა ხდება.[205] ცნება ფორმულირებულია იმგვარად, რომ ნივთი უკვე გადაცემულია მსესხებლისთვის, რითაც ხაზგასმულია ხელშეკრულების რეალური ხასიათი და ცალმხრივად მავალდებულებელი ბუნება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 311-1, 311-2, 311-3 თავებში სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი

---

[197] *Fages B.,* Droit des obligations, 2007, 28.
[198] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/22036-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[199] იხ. *შოთაძე თ.,* იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 86.
[200] *Montanier Jean-Claude.*, Le contrat, 4e Ed., 2005, 103.
[201] *Cvetkova I.,* The Abolition of the Concept of "Causa" in French Civil Law., Bialystok Legal Studies Białostockie Studia Prawnicze, 2021 Vol., 26 nr 5 (Special Issue), 91-102.
[202] Ibid; "At the same time, for real contracts, causa meant the provision of the other party (transfer of money in the loan agreement, etc.), in the consensual agreement – the counter obligation of the other party, in the pact – the circumstances with which the law connected the possibility of legal protection of the current pact".
[203] *დანელია ე.,* გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე., ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოცემა 2008, 50.
[204] *The French Civil Code.,* Art. 1874 (As in force on 23 June 2016) <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [28.03.2022].
[205] *The French Civil Code.,* Art. 1892 (As in force on 23 June 2016) <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [28.03.2022].

ნორმებია წარმოდგენილი და იმთავითვე განსხვავდება ზემოხსენებული სამართლებრივი სკოლებისაგან.[206] კოდექსი განმარტავს კრედიტორისა და დებიტორის დეფინიციებს, შემდეგ წარმოგვიდგენს სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულებისა და გარიგებების საპროცენტო სკალას, რაც შეადგენს 1%-ს, ასევე სამ თვეზე მეტი ვადით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2%-ია, ხოლო ის, ვინც მიზნად ისახავს პროფესიული საქმიანობის დაფინანსებას, ისინი ექცევიან 3%-იან სკალაში, 4%-იან განაკვეთში ხვდება საკრედიტო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემასთან, სალიზინგო ოპერაციებთან, საბანკო აქციების ან სააბონენტო აქციების შეძენასთან, ქონების მშენებლობასთან, სარემონტო სამუშაოებთან და ექსპლუატაციის ხარჯებთან.[207] საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი იცნობს ეფექტური და წლიური საპროცენტო განაკვეთის ტერმინებს. პროცენტის დაანგარიშებისას, მომხმარებელს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია, რა სახის პროდუქტს, საკომისიოს მოიცავს სესხი და რამდენია შუამავლის/სასესხო მაკლერის ან/და იურიდიული მომსახურების საფასური.[208] ზემოაღნიშნული ნორმების უგულებელყოფისთვის, სესხის გამცემი ჯარიმდება 4500 ევროთი.[209]

### 2.2.1. კვებეკის პრაქტიკა

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი რომანულ-სამართლებრივი ოჯახის შემადგენელი ნაწილია და გერმანული ოჯახისგან დამოუკიდებლად გვევლინება. კოდექსის მე-12 თავი სესხის ხელშეკრულების ბუნებასა და სახეებს მიმოიხილავს.[210] CCQ-ის 2327-ე მუხლის დეფინიციით, მარტივი სესხის შემთხვევაში, მსესხებელი ხდება სესხით გადაცემული ნივთის მესაკუთრე და მას ეკისრება ამ ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი მისთვის ნივთის გადაცემის მომენტიდან. კოდექსი განასხვავებს მარტივ სესხსა და თხოვებას.[211]

---

[206] Ibid; Art. 311-1, 311-2, 311-3.
[207] Ibid; Art. 311-5.
[208] Ibid; Art. 313-1.
[209] <https://www.legifrance.gouv.fr/content/download/1960/13727/version/3/file/Code_29.pdf>, 13 [28.03.2022].
[210] იხ. კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2312-2332, (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), *ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგ., რედ),* თბ., 2017, 449-451.
[211] კვებეკის კომერციულ სესხებზე ვრცლად იხ. *Hulse B.D., Friedberg J.S., Prior J.H.,* Commercial Lending Law A Jurisdiction-By-Jurisdiction Guide To U.S. And Canadian law., 2nd edit., Chapt. IV. “Interest and Usury; Promissory Notes”, 2016, 2618.

თხოვება ყოველთვის უსასყიდლო ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომლითაც გამნათხოვრებელი, გადასცემს სხვა პირს, მონათხოვრეს, ნივთს სარგებლობაში ამ უკანასკნელის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მისთვის დაბრუნების ვალდებულების პირობით, მაშინ როცა მარტივი სესხი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც გამსესხებელი ფულის განსაზღვრულ ოდენობას ან სხვა მოხმარებად ნივთს გადასცემს მსესხებელს, რომელიც, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე ოდენობის თანხა, იგივე სახისა და ხარისხის ნივთი. თუმცა ეს არ უნდა განიმარტოს ისე, რომ CCQ არ იცნობს სასყიდლიან სესხს. იმავე კოდექსით, ივარაუდება, რომ მარტივი სესხი არის უსასყიდლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ან ის წარმოადგენს ფულის სესხს, რა შემთხვევაშიც ივარაუდება, რომ ის არის სასყიდლიანი.[212]

CCQ ეხება პროცენტის ნაწილსაც: სესხის თანხას ერიცხება პროცენტი მსესხებლისათვის თანხის გადაცემის დღიდან, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვა შედეგად იწვევს პროცენტის თანხის დაფარვასაც.[213] CCQ სასამართლოს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, 2332-ე მუხლის ძალმოსილებით მოახდინოს ხელშეკრულებების გაბათილება,[214] დაადგინოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემცირება ან ვალდებულებათა შესრულების პირობების გადახედვა ერთ-ერთი მხარის ზარალიანობის გათვალისწინებით, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს მოახდინოს სახელშეკრულებო შეთანხმებათა კანონიერების შეფასება.

კვებეკის სასამართლოს მსგავსად, საინტერესოა ქართული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც იყენებს კანონით მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას და შეუსაბამოდ მაღალ პროცენტთან დაკავშირებით მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს. ქართული სამოსამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებით მიზანშეწონილად

---

[212] კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2315, (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), *ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგ., რედ),* თბ., 2017, 449.

[213] იქვე, 2330-2331 მუხ. 2017, 451.

[214] ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლებზე და ზიანთან მიმართებით იხ. *Hulse B.D., Friedberg J.S., Prior J.H.,* Commercial Lending Law A Jurisdiction-By-Jurisdiction Guide To U.S. And Canadian law., 2nd edit., Chapt. IV. “Interest and Usury; Promissory Notes”, 2016, 2580.

მიიჩნევს, მხარეს პროცენტის სახით დაეკისროს სებ-ის, კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებული წლიური საბაზრო-საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად იურიდიული პირებისათვის დადგენილი ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი (14.5%).[215]

## 2.3. სესხის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის მაგალითზე დაყრდნობით

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებებს. ზემოხსენებული კლასიფიკაცია პირდაპირ არ განიმარტება კოდექსში, მაგრამ გამომდინარეობს ხელშეკრულებაზე შეთანხმების შესახებ წესებიდან.[216] კოდექსის 433(I) მუხლით, კონტრაქტი იმ მომენტიდან მიიჩნევა შეთანხმებულად, როდესაც პირი, რომელსაც შესთავაზეს ოფერტი, განახორციელებს აქცეპტს.[217]

ГК РФ კოდექსის 807-ე მუხლის დეფინიციით, გამსესხებელი გადასცემს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს მსესხებელს,[218]/[219] რომლის ვალდებულება ისეთივეა, როგორც სხვა კოდიფიკაციების შემთხვევაში.[220] ამავე მუხლში არის დათქმა, რომ ხელშეკრულება დადებულია მხოლოდ ფულის ან გვაროვნული ნივთის გადაცემის შემდეგ,[221] რაც 433-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოვლინებაა. ГК РФ კოდექსი სესხის ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობას აღიარებს და მსგავს კონტრაქტებთან მიმართებით, 808-ე მუხლში მიუთითებს, რომ წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულოა, თუ

---

215 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის საქმე №2ბ/4259-14; გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
216 *Orlov V.*, Introduction to Business Law in Russia, 2011, 151.
217 The Civil Code of The Russian Federation., Ch., 28, “The Conclusion of the Contract”, Art., 433 (I) <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru083en.pdf> [28.03.2022].
218 The Civil Code of The Russian Federation., Ch., 42, “Loans and Credits”., Art., 807 (I) <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru083en.pdf> [28.03.2022].
219 *Аналитическая справка*., Договоры займа и кредитные договоры. Регулирование и судебная практика в Российской Федерации, 2018, 16. <https://iclrc.ru/files/events/34/Справка_офиц_РФ.pdf> [28.03.2022]. (“Однако абзацем вторым п. 1 ст. 807 ГК установлено, что, если займодавцем является гражданин, договор считается заключенным с момента передачи суммы займа или другого предмета договора займа заемщику или указанному им лицу”).
220 *Khabirov A.I.*, Loan agreement: Urgent questions of legal regulation, 3(2) Kazan U. L. Rev. 2018, 80.
221 იხ. სქოლიო „216“, 807 (II).

სახელშეკრულებო თანხა 10,000 რუბლს აღემატება.[222]/[223] უცხოური ვალუტისა და ვალუტის ღირებულებები შეიძლება იყოს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სასესხო ხელშეკრულების საგანი ამ კოდექსის 140-ე, 141-ე და 317-ე მუხლების წესების დაცვით. ГК РФ კოდექსის 809-ე მუხლით,[224] თუ სესხის ხელშეკრულებიდან ან კანონისმიერი დათქმიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, გამსესხებელი უფლებაუნარიანია მიიღოს მსესხებლისგან პროცენტი სესხის თანხაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით. პროცენტის ოდენობის შესახებ შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი განისაზღვრება საბანკო პროცენტის განაკვეთით, გამსესხებლის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მიხედვით. „თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პროცენტის წინსწრებით გადახდა, სესხის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში, პროცენტი პროპორციული მოცულობით შემცირდება“.[225] იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის თანხის დაბრუნების ვადა არ არის განსაზღვრული, მსგავს შემთხვევაში, კრედიტორული მოთხოვნის საფუძველზე თანხის დაბრუნების ვადად დადგენილია 30 დღე.[226] კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასესხო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ობლიგაციების გამოშვებითა და გაყიდვით. ობლიგაციად აღიარებულია ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს ობლიგაციის ან სხვა ქონების ნომინალური ღირებულება. ეკვივალენტი იმ პირისგან, რომელმაც გამოუშვა ობლიგაცია მის მიერ განსაზღვრულ ვადაში. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემულ სესხებს, რა დროსაც გამოიყენება სახელმწიფო სესხის ხელშეკრულების წესები.[227]

---

[222] Аналитическая справка., Договоры займа и кредитные договоры. Регулирование и судебная практика в Российской Федерации, 2018, 19.

[223] იხ. *Байбак В.В., Иванов О.М., Карапетов А.Г., Любимова М.А., Махалин И.Н.,* Заем, Кредит, Факторинг, Вклад и Сет., постатейный комментарийк статьям, 807-860.15. Гражданского кодекса Российской Федерации., 2019, 574.

[224] Обзор Судебной Практикиверховного Суда Российской Федерации № 1 (2019) Президиум Верховного Судароссийской Федерации., 9 <http://www.supcourt.ru/documents/practice/27769/> [18.03.2022].

[225] იხ. *Байбак В.В., Иванов О.М., Карапетов А.Г., Любимова М.А., Махалин И.Н.,* Заем, Кредит, Факторинг, Вклад и Сет., постатейный комментарийк статьям, 807-860.15. Гражданского кодекса Российской Федерации., 2019, 302-373.

[226] The Civil Code of The Russian Federation., Ch., 42, “Loans and Credits”., Art., 810 (I) <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru083en.pdf> [28.03.2022].

[227] Ibid; Art., 817.

სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები ГК РФ კოდექსის 42-ე თავშია თავმოყრილი და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2018 წლის 1 ივნისს განხორციელდა.[228] ცვლილება, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, განპირობებული იყო მოკლევადიან სესხებზე არაგონივრული საპროცენტო განაკვეთის დაწესებით, რა დროსაც სესხის მთლიანი ღირებულების მაქსიმალური მაჩვენებლები აღემატება გონივრულად დასაშვებ დონეს.[229] ცვლილებები განაპირობა „სუსტი მხარის" დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებამ. ზემოაღნიშნული ტერმინი გამოიყენება უფლებებისა და მოვალეობების განაწილების დასახასიათებლად და მიუთითებს ასიმეტრიის მნიშვნელობაზე. მართალია „განსახილველი ტერმინი არ არის ნახსენები არც ГК РФ კოდექსში და არც სხვა რეგულაციებში, თუმცა, „სუსტი მხარის" გამოყენებას აქვს ოფიციალური სამართლებრივი და დოქტრინული გამართლება".[230]

## 2.4. სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები ჰოლანდიაში, შვედეთსა და იტალიაში

თანამედროვე, ახალი კოდიფიკაციის მაგალითია **ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი,** რომელშიც ცვლილებები 1992 წელს შევიდა. კოდექსისთვის უცხო არ არის რეალური კონტრაქტები, რომელთა დასადებად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება არ არის საკმარისი. გარდა კონსენსუსისა, საჭიროა ქონების რეალური მიწოდება.[231] ხელშეკრულების რეალურად აღიარება სირთულეებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად კრიტიკა უფრო და უფრო იმატებს.

თხოვება – Loan For Use, რეალური ხელშეკრულების კლასიკური მაგალითია და დღეს-დღეობითაც ინარჩუნებს იური-დიულ ბუნებას. „წიგნი 7A", სადაც მოცემულია სესხის ხელშეკრულების ინსტიტუტი, დღემდე არ ჩამოყალიბებულა საბოლოო სახით და მასში ცვლილება მომავალშიც იგეგმება. კოდექსის ძველი რედაქციის 1791-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულება არის კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც

---

[228] *Khabirov A.I.,* Loan agreement: Urgent questions of legal regulation, 3(2) Kazan U. L. Rev. 2018, 76.
[229] Ibid; Art. 75; *Khabirov A.I.,* On the value of historical development for formation of modern institute of loan., Civil law. 2017 (3), 38.
[230] *Kobchikova E.V., Cheparina O.A.,* On the question of legal nature of contracts on target training and target reception., Law and education, 2015(2), 4-10.
[231] *Busch D., Hondius E., Kooten H., Schelhass H.,* The Principles of European Contract Law and Dutch Law, 2002, 77.

გამსესხებელი გარკვეული რაოდენობის გვაროვნულ ნივთს გადასცემს მსესხებელს, იმ პირობადებული შეთანხმებით, რომ იგივე რაოდენობის, სახისა და ხარისხის ნივთი დაბრუნდება.[232] **იტალიის სამოქალაქო კოდექსი,** ჰოლანდიის კოდექსის იდენტურია,[233] სადაც სესხის ხელშეკრულების გასაფორმებლად, ნივთის რეალური გადაცემა აუცილებელი პირობაა. **შვედეთში** საპროცენტო განაკვეთები ყველაზე დაბალ ნიშნულზეა დაყვანილი.[234] ქვეყანაში აპრობირებულია ორი განსხვავებული ტიპის სესხი: პერსონალური სესხები, რომლებიც ასევე ცნობილია, როგორც სამომხმარებლო სესხები, სესხები ხელფასის დღისთვის.[235] იპოთეკური სესხები შვედეთში სასესხო პორტფოლიოს მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენს,[236] თუმცა ამის პარალელურად, მოთხოვნადია არაუზრუნველყოფილი სესხიც, რომელიც მსესხებელს შეუძლია გამოიყენოს საქონლის ან მომსახურების შესაძენად და საცხოვრებლად, მაგ., ანაბრის ან რემონტისთვის.[237]

## 2.5. საკრედიტო და სასესხო ხელშეკრულებები ჩეხეთისა და უნგრეთის სამოქალაქო კოდექსებში

უნგრეთის და ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსებში სესხის ხელშეკრულების წესები განსხვავებულია, რაც სტრუქტურულ ფორმაშივეა შესამჩნევი. მაშინ, როცა უნგრეთში, კანონმდებელმა სესხის მოთხოვნები დაარეგულირა საკრედიტო კონტრაქტების შესახებ დებულებების შემდეგ, ჩეხმა კანონმდებელმა, ავსტრიელის მსგავსად, ეს პირიქით გააკეთა.[238] სესხის ხელშეკრულებების ტიპური შემთხვევები, **ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით** ეხება ურთიერთშემცვლელ ფასიან ქაღალდებს და უსასყიდლოა,[239]

---

[232] ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1791; (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით). <http://www.dutchcivillaw.com/legislation/dcctitle7a7a1313.htm#title7a14> [11.02.2022].

[233] იტალიის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1813, (2020 წლის 16 ივლისის მდგომარეობით) <http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/ita197336.pdf> [11.02.2022].

[234] იხ. FINANSINSPEKTIONEN., Swedish Consumption Loans, 13 June 2019 <https://www.fi.se/contentassets/3900398fb47e41d6a6a5d9af378a1f36/konsumtionslan-2019-eng.pdf> [14.03.2022]; The Mortgage Market in Sweden., Report, October 2021 <https://www.swedishbankers.se/media/5084/1407-sbf-rapport-bolaanemarknad-2021_en02.pdf> [14.03.2022].

[235] Loans in Sweden, Posted August 26, 2019 <https://www.totallystockholm.se/loans-in-sweden/> [14.03.2022].

[236] Ibid.

[237] The Mortgage Market in Sweden., Report, October 2021, 3 <https://www.swedishbankers.se/media/5084/1407-sbf-rapport-bolaanemarknad-2021_en02.pdf> [14.03.2022].

[238] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 173-182.

[239] *Civil Code of Czech Republic,* 89/2012 Sb. Act (As in force on of 3 February 2012)., Loan for consumption, Division 6, Sect. 2390, 283-284. <http://obcanskyzakonik.justice.cz/images/pdf/Civil-Code.pdf> [11.02.2022].

ხოლო **უნგრეთის სამოქალაქო კოდექსის** თანახმად, ფულადი უსასყიდლო სესხი[240] და სასესხო ხელშეკრულება ცვალებად საქონელზე რეგულირდება მხოლოდ როგორც სპეციალური სახეობები. ორივე ქვეყანაში წესები გამოიყენება როგორც ფასიან ქაღალდებზე, ასევე სასაქონლო სესხებზე, რომლებიც გამიზნულია საფონდო ბირჟაზე გამოსაყენებლად.[241]/[242] უნგრეთის წესები ცხადყოფს, რომ ისინი ასევე ვრცელდება საქონლის კრედიტზე,[243] დაქირავება-განვადებით შესყიდვაზე და ყველა იმ უსასყიდლო ხელშეკრულებაზე, რომელიც ითვალისწინებს საავანსო მომსახურების გაწევას. HU-CC უშვებს შეპირებული სესხის გაცემაზე უარის თქმის უფლებას, თანახმად §6:384-ისა. კანონმდებელი ითვალისწინებს გამსესხებლის უფლებას ხელშეკრულების შეწყვეტაზე.[244] კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გარდა, გამსესხებელს, დაგვიანებული ანგარიშსწორების შემთხვევაში, ასევე შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტი.[245] წესების კორექტირებისთვის და მათი დეტალიზებისათვის ორივე კოდიფიკაცია იმსახურებს მოწონებას, თუმცა, კრიტიკის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არც უნგრეთის და არც ჩეხეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.[246]

2002 წელს, ვალდებულებების შესახებ გერმანიის კანონის რეფორმისას, კანონმდებელმა მოახდინა 1997 წლიდან შემუშავებული პრეცედენტული სამართლის კლასიფიცირება, რომელიც მსესხებელს აძლევდა საგანგებო უფლებას, შეეწყვიტა ხელშეკრულება, თუ მას საამისოდ გააჩნდა კანონიერი ინტერესი. მაგ., განქორწინების შემთხვევაში ან საცხოვრებელ ადგილის შეცვლისას, მსესხებელს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა იპოთეკით

[240] *Civil Code of Hungary,* Act V of 2013, (As in force on 1 July 2021), Ch., LIII, Loan contract, Sect. 6:383, 279 <https://uj.njt.hu/translation/J2013T0005P_20210701_FIN.PDF> [11.02.2022].
[241] Ibid; Act V of 2013, (As in force on 1 July 2021), Sect. 6:389, Application of the rules on loan contracts as appropriate) 6:389, §1, 280 <https://uj.njt.hu/translation/J2013T0005P_20210701_FIN.PDF> [11.02.2022].
[242] *Civil Code of Czech Republic,* 89/2012 Sb. Act (As in force on of 3 February 2012)., Loan for consumption, Division 6, Sect. 2390, 283-284. <http://obcanskyzakonik.justice.cz/images/pdf/Civil-Code.pdf> [11.02.2022].
[243] *Civil Code of Hungary,* Act V of 2013, (As in force on 1 July 2021), Sect. 6:389, Application of the rules on loan contracts as appropriate) 6:389, 280 <https://uj.njt.hu/translation/J2013T0005P_20210701_FIN.PDF> [11.02.2022].
[244] *Civil Code of Hungary,* Act V of 2013, (As in force on 1 July 2021), Sect. 6:386, §2, Unilateral termination of the loan contract, 279 <https://uj.njt.hu/translation/J2013T0005P_20210701_FIN.PDF> [11.02.2022].
[245] Ibid; Act V of 2013, (As in force on 1 July 2021), Sect. 6:387, §1, Unilateral termination of the loan contract, 279 <https://uj.njt.hu/translation/J2013T0005P_20210701_FIN.PDF> [11.02.2022].
[246] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 179.

უზრუნველყოფილი ფიქსირებული განაკვეთის სესხი“,[247] მაგრამ მას უნდა გადაეხადა ე.წ ვადამდელი დაფარვის ჯარიმა (Vorfälligkeitsentschädigung).[248] წინსწრებით გადახდა მხარეებს შორის წარმოადგენდა ზიანის კომპენსაციას.[249] ამ ნორმით, გერმანელი კანონმდებელი მიზნად ისახავდა ხელშეკრულების შიდა სამართლიანობის განმტკიცებას, **pacta sunt servanda**-ს[250] ლიბერალიზებით, მხარეთა შორის თანასწორობის აღდგენის პრინციპით. **ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი** ასევე ცნობს ორივე მხარის სპეციალურ უფლებას სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტაზე, თუ მისი ვადა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო არაგონივრულია.[251] ***გერმანელმა კანონმდებელმა*** მსესხებელი აღჭურვა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებით, იმისდა მიხედვით, ხელშეკრულება ითვალისწინებს ფიქსირებულ თუ ცვლად საპროცენტო განაკვეთს.[252] ამ წესებით, გერმანელი კანონმდებლის განზრახვა იყო გაენეიტრალებინა ბანკების „ზოგადი პირობები“, რომლებიც ითვალისწინებდა პროცენტის მიკუთვნებას.

არც უნგრეთის და არც ჩეხეთის საკრედიტო კანონი არ იყო შთაგონებული საკრედიტო მართვის ამ რეცეპტებით.[253] ვალდებულებითი სამართლის ზოგადი წესები იძლევა ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეცვლის შესაძლებლობას; თუმცა, მხარეთა ვაჭრობის უნარის გათვალისწინებით, ეს ხშირად არარეალური იქნება. უხეშად არაპროპორციული

---

[247] *Klaus Peter Berger in Franz Jurgen Sacker, Roland Rixecker.,* Mfinchener Kommentar, 5th edn, CH Beck 2010, München., Obligation law, special part to 5 490 para. 2 et seq, 827; *Grundmann S.,* Loan and credit law after the reform of the obligation law., 2001, BKR 66-72, 70.

[248] ვრცლად იხ. Vorfälligkeitsentschädigungen: Überprüfung und Bewertung der Angemessenheit und Rechtmäßigkeit von Entschädigungszahlungen von Verbrauchern bei vorzeitig gekündigten Immobilienkrediten <https://www.vzbv.de/sites/default/files/downloads/Vorfaelligkeitsentschaedigungen_Untersuchung_vzbv_2014.pdf> [11.02.2022].

[249] The legislator willfully adhered to any method of settlement. In practice there are several methods to be avoided. იხ. *Klaus Peter Berger in Franz Jurgen Sacker, Roland Rixecker.,* Mfinchener Kommentar, 5th edn, CH Beck 2010, München., Obligation law, N31, 838.

[250] *Surhone L.M., Timpledon M.T., Marseken S,.F.,* Pacta Sunt Servanda: Brocard, Civil Law, Contract, Clause, Law, Good Faith, Peremptory Norm, Clausula Rebus Sic Stantibus, Betascript Publishers, 2010; *Houtte H.V.,* Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda: Gaillard (ed.), Transnational Rules in International Commercial Arbitration, ICC Publ. Nr. 480, 4, Paris, 1993, *Zimmermann R.,* The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 576-581; *Sharp M. P.,* Pacta Sunt Servanda, Columbia Law Review, Vol. 41, 1941, ციტირ. ლიტ-რა: *ჩიტაშვილი ნ.,* ვალდებულების შესრულების გართულების მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები და სასამართლოს ლეგიტიმური ინტერვენციის ფარგლები კერძო ავტონომიაში., „სამართლის ჟურნალი“ №2, თბ., 2021, 67.

[251] *Baek P.L,* The General Civil Code of Austria, The Parker School of Foreign and Comparative Law., Columbia University in the City of New York., 1972, 191-193; XXI Chap. §987.

[252] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §489, 2019, 129.

[253] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 180.

შეთანხმების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ განაახლონ ხელშეკრულება (გადახრა **clausula rebus sic stantibus doctrine**-დან).[254]/[255] თუ ეს მოლაპარაკებები ვერ მოხერხდა, სასამართლოს შეუძლია დახმარება.[256] კრედიტორის კომპენსაციის უფლება განსაზღვრულია §2399 პუნქტში.[257] მსესხებელმა უნდა გადაიხადოს პროცენტი მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვამდე, მაგრამ სხვა რა პრეტენზიები შეიძლება წარმოადგინოს გამსესხებელმა სესხის წინსწრებით დაფარვისთვის, გაურკვეველია. როგორც ჩეხი, ისე უნგრელი კანონმდებლის განზრახვა იყო, რომ სამოქალაქო კოდექსს მაქსიმალურად მოეცვა ყველა სფერო სამოქალაქო ურთიერთობიდან (მაგ., საოჯახო სამართალი ორივე კოდექსის ნაწილია). რაც შეეხება სამომხმარებლო კრედიტის დირექტივის იმპლემენტაციას, ამ ორ ქვეყანაში, როგორც წევრი ქვეყნების უმეტესობაში, ამოქმედდა ცალკეული აქტები. საკითხი სხვაგვარად დგას გერმანიასა[258] და ნიდერლანდებში,[259] სადაც დირექტივები სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებათა სამართლის მოდერნიზების კონტექსტში გაითვალისწინეს.

რაც შეეხება საკრედიტო და სასესხო ხელშეკრულებების ახალ სტანდარტს, ორივე კანონმდებელს არსებული დებულებებიდან მათი სოციალისტური მემკვიდრეობის ბოლო კვალის წაშლა სურდა; ზოგიერთი სახის ხელშეკრულება, როგორიცაა საბანკო კრედიტი, გაქრა კოდექსებიდან. საკრედიტო სამართლის მარეგულირებელი დებულებების რაოდენობა გაიზარდა ორივეგან, თუმცა ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსის ზრდა გამოიწვია სავაჭრო კოდექსის ძველი ნორმების ახალ სამოქალაქო კოდექსში

---

[254] *Tallon D.,* Damages, Exemption Clauses, and Penalties, 40 Am.J.Comp.L. 1992, supra note 11, §3.1, at 592; Winn Jane K., Dalhuisen on International Commercial, Financial and Trade Law J. H. Dalhuisen., Vol. 50, No. 2 (Spring, 2002), 184-185; *Enderlein F., Maskow D.,* International sales law: United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods: Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods: Commentary., Supra note 19, §6.3, 1992, 324-25.

[255] *Flambouras D.P.,* The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis., Pace International Law Review, Vol., 13, Issue, 2 Fall, Art., 2, 2001, 261-293.

[256] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 180.

[257] *Civil Code of Czech Republic,* 89/2012 Sb. Act (As in force on of 3 February 2012)., Division 7, Credit, Sect. 2395, 284. <http://obcanskyzakonik.justice.cz/images/pdf/Civil-Code.pdf> [11.02.2022].

[258] The German legislator implemented the Consumer Credit Directive in 2002 at the obligation law reform under 5491 et seq. CC. იხ. *Billow P.,* Consumer credit law in the CC (Verbraucherkreditrechitm BGB) [2002], (n 4) 1145.

[259] The Dutch legislator has implemented the EU Consumer Credit Directive 2008/48/EU as a new ch., 7.2A DCC “Credit Contracts for Consumers” into the NL-CC in May 2011.

გადატანამ. ხელახალი კოდიფიკაციით, კანონმდებელმა 2014 წლის 1 იანვრიდან დაასრულა დუალიზმი ჩეხეთის სამოქალაქო სამართალში და სავაჭრო ხელშეკრულებებისთვისაც სამოქალაქო კოდექსი მთავარ დოკუმენტად აქცია.[260]

დაკრედიტების წესები უნგრეთსა და ჩეხეთში, სტრუქტურულად, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის მსგავსია, რადგან ახალი სამოქალაქო კოდექსის კოდიფიკაციას (გერმანია, ჰოლანდია, კვებეკი) არ აქვს საკრედიტო ხელშეკრულების განმარტება. ამ ხელშეკრულებების სტრუქტურული კავშირები თვალსაჩინოა HU-CC-ში. საკრედიტო ხელშეკრულებები ასრულებს წინასახელშეკრულებო ფუნქციას. ასეთი სიცხადე აკლია ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსს და, გასაკვირია, რომ ავსტრიის გენერალურმა სამოქალაქო კოდექსმა სტრუქტურულად შეაბრუნა ურთიერთკავშირი საკრედიტო და სასესხო ხელშეკრულებებს შორის. Au-CC §988-ის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებებს „ფულის შესახებ საკრედიტო ხელშეკრულებებს“ უწოდებენ.[261]

დემარკაცია სასესხო და საკრედიტო კონტრაქტებს შორის სავსეა სირთულეებით. ზოგიერთი ბანკის იურისტი ამტკიცებს, რომ ამ ტიპის კონტრაქტებს შორის განსხვავება ხელოვნური და უცხოა სისტემისთვის,[262] იმიტომ, რომ სესხის ხელშეკრულება პრაქტიკულად არ განიხილება, რეალურ კონტრაქტად.

**სასესხო და საკრედიტო ხელშეკრულებების განმარტებები და ტერმინოლოგია** გვხვდება მომხმარებელთა საკრედიტო დირექტივის[263] მუხლი 3(II) „გ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, „საკრედიტო ხელშეკრულება“ ნიშნავს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც კრედიტორი იძლევა სამომხმარებლო კრედიტს ან იძლევა დაპირებას სამომხმარებლო კრედიტის გაცემის შესახებ, გადავადებული გადახდის, სესხის ან სხვა მსგავსი ფინანსური ხელშეწყობის სახით. აქ გამორიცხულია „შეთანხმებები განგრძობად საფუძველზე მომსახურების ან იმავე ტიპის საქონლის მიწოდებაზე. მომხმარებელი

[260] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 174.
[261] Jonathan F., The Austrian Takeover Act as a Contemporary Legal Transplant., September 4, 2015.
[262] *Liska P., Elek S.,* Banking contracts in the New Civil Code of the Czech Republic., 2014, 5 Jogtudomanyi Kozlony, manuscript 12.
[263] *Directive N2008/48/EC* of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on credit agreements for consumers and repealing Council Directive OJ 87/102/EEC, OJ L133/66-92.

იხდის ასეთ მომსახურებას ან საქონლის საფასურს მათი განვადებით უზრუნველყოფით“.[264] დირექტივის ეს განსაზღვრება სულაც არ წარმოადგენს კონტრაქტის კონკრეტულ სახეს ვალდებულებათა კანონის ფარგლებში, არამედ უფრო პრაგმატულად ემსახურება ხელშეკრულების სპეციფიკურ გამოხატულებას, რომლის მიზანია მომხმარებლისთვის რაიმე სახის ფინანსური დახმარება ან დახმარების დაპირება.[265] დირექტივის მეორე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დებულებები გამოიყენება მხოლოდ იმ საკრედიტო ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც განსახილველადაა შემოთავაზებული. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გადავადებით, მაგრამ გარკვეული სააგენტოს ხელშეკრულებები ან სალიზინგო კონტრაქტები,[266] ასევე შეიძლება ჩაითვალოს საკრედიტო შეთანხმებებად, თუ დაკმაყოფილებულია დირექტივის დებულებები. მაშასადამე, ევროპული პერსპექტივიდან საკრედიტო ხელშეკრულება ზოგადი ტერმინია, რომლის ქვეტერმინებია: „სესხი“, „გადავადება“ ან „სხვა ფინანსური დახმარება“.

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 7:57 მუხლის “C” პუნქტში,[267] დირექტივის განმარტება შესწორებების გარეშეა ადაპტირებული. გერმანიის გადაწყვეტა §491 პუნქტში უგულებელყოფს საკრედიტო ხელშეკრულების კონცეფციას და სანაცვლოდ, ფართო გაგებით იყენებს სიტყვა „სესხს“, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ფარგლები მცირდება.[268] საკრედიტო ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით ჩეხეთის კანონის ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით გვახსენებს 1991 წლის „კომერციული საბანკო კრედიტის შესახებ“ სავაჭრო კანონის §407-ს.[269] როდესაც მოხდა ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსის ხელახალი კოდიფიკაცია, სავაჭრო კოდექსი გაუქმდა და საკრედიტო ურთიერთობის მომწესრიგებელი წესი გადატანილ იქნა ახალ კოდექსში. ეს წესები არ ითვალისწინებს

---

[264] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 175.
[265] Ibid.
[266] *Norbert Reich in Norbert Reich, Hans-Wolfgang Micklitz.,* European Consumer Law., 4th edn, Nomos 2003, Baden-Baden), 739.
[267] *Dutch Civil Code,* Book 7, Particular agreements, Title 7.2 A., Credit Contracts for Consumers, Sect. 7.2A.1, General provisions., <http://www.dutchcivillaw.com/civilcodebook077.htm> [11.02.2022].
[268] This would led to lack of implementation BT-Dr 14/6040, S 252; *Billow P.,* Consumer credit law in the CC (Verbraucherkreditrechitm BGB) [2002], (n 4) 1146.
[269] *Civil Code of Czech Republic,* 89/2012 Sb. Act (As in force on of 3 February 2012)., Division 7, Credit, Sect. 2400, 285. <http://obcanskyzakonik.justice.cz/images/pdf/Civil-Code.pdf> [11.02.2022].

უსასყიდლო ხელშეკრულებას, არ განიხილავს კრედიტორის განსაკუთრებულ უფლებებზე ხელშეკრულების შეწყვეტას, არც უზრუნველყოფის ღირებულების დაკარგვის პრობლემას ეხება. თუ კრედიტი გამოყენებულია არამიზნობრივად, კოდექსი კრედიტორს გარანტირებულად უფლებამოსილს ხდის დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან.[270]

HU-CC დეტალურად არეგულირებს საკრედიტო ხელშეკრულებას, რადგან 1959 წლის ძველი სამოქალაქო კოდექსი შეიცავდა მხოლოდ ერთ პუნქტს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შესახებ.[271] რეფორმამდე, ჩეხეთში მხოლოდ ფინანსურ ინსტიტუტს შეეძლო კრედიტის გაცემა. ძველი ხელშეკრულების ტიპი სტრუქტურულად ასრულებდა დირექტივის კრედიტის კონცეფციის ფუნქციას. ახალმა კოდიფიკაციამ გააზანგრძლივა წარმოდგენილი სახელშეკრულებო კონსტრუქციები და პოტენციურ კრედიტორთა წრე, შესაბამისად, აღარ არის საჭიროება, რომ კრედიტორი იყოს ბანკი ან სხვა ფინანსური დაწესებულება. HU-CC 6:382-ის ახალი განმარტებით, საკრედიტო ხელშეკრულებები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: (1) საკრედიტო ხელშეკრულებით კრედიტორი იღებს ვალდებულებას გასცეს კრედიტი კონკრეტული შეზღუდვებით და დადოს სესხის, თავდებობის, გარანტიის ხელშეკრულება ან განახორციელოს სხვა სასესხო ოპერაციები დათქმულ საკრედიტო ლიმიტამდე, ხოლო დებიტორი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საფასური. სესხის ხელშეკრულებების განმარტებები მოცემული არაა საერთო უფლებების წრის კანონპროექტში.[272] DCFR, რომელიც მომზადდა ევროპის სამოქალაქო კოდექსის კვლევის ჯგუფის მიერ, იყო მცდელობა, რომ IV წიგნში, “F” ნაწილში სესხის ხელშეკრულება განმარტებულიყო. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის სხვა ბოლოდროინდელ საერთაშორისო კოდიფიკაციებს, ისინი თითქმის ყოველთვის

[270] *Civil Code of Czech Republic,* 89/2012 Sb. Act (As in force on of 3 February 2012)., Division 7, Credit, Sect. 2400, 285. <http://obcanskyzakonik.justice.cz/images/pdf/Civil-Code.pdf> [11.02.2022].
[271] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 176.
[272] *Christian von Bar, Eric Clive, Schulte-Nolke H* (Ed.), prepared by the Study Group on European Civil Code and the Research group on EC Europe Private Law (Acquis Group), Principles, Definitions and Model rules of European Private Law Draft Common Frame of reference (DCFR) (Outline Ed., Sellier 2009, Munich).

განასხვავებენ მარტივ,[273] სამომხმარებლო, ფულად და საგნობრივ სესხებს.[274] კვებეკის სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც, ეს სესხები არ არის უსასყიდლო.[275] გერმანულ სამართალში ორივე სახეობის სესხი უსასყიდლოა. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სესხის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით იდება, რაც შეეხება პროცენტს, ხელშეკრულებაში სავალდებულო არ არის მისი მითითება.

უნგრეთის ახალი რეგულაციით, საკრედიტო ხელშეკრულება ცალკეული ტიპის ხელშეკრულებაა, რომელსაც წინარე ხელშეკრულებასთან აქვს მსგავსება.[276] ახალი წესები დეტალურად არეგულირებს მოვალის უფლებებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და ითვალისწინებს მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსს,[277] განსხვავებით ჩეხეთისგან, რომელიც კრედიტის ფართო განმარტებას გვერდს უვლის.[278]

სესხის ხელშეკრულებაში მხარეთა თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტის შესასწავლად უცხოეთის პრაქტიკაზე მოხდა ფოკუსირება, რამდენადაც სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში, შედარებით-სამართლებრივი გზითა და ისტორიული მეთოდის მეშვეობით, საკითხის სიღრმისეული კვლევა ყველაზე კარგად არის შესაძლებელი.

---

[273] კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2327, (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), *ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგ., რედ),* თბ., 2017, 450.

[274] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, კარი 3. §488 და კარი 7. §60 (2019 წლის მდგომარეობით).

[275] კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2314, (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), *ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგ., რედ),* თბ., 2017, 449.

[276] *Sik-Simon R.,* New regulated credit and loan agreements in the new Czech and Hungarian Civil Codes. ELTE Law Journal, 2014(2), 177.

[277] იხ. *დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ.,* კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2016, 103. („ინტერესთა ბალანსის დადგენისას მნიშვნელოვანია პროპორციულობის ტესტის ჩატარება, რომელიც თავის თავში მოიცავს შესაბამისობის, აუცილებლობის და თანაზომიერების კრიტერიუმების შეფასებას ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში", ციტირ. ლიტ-რა: *ბათიაშვილი ი.,* საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ეროვნული კანონმდებლობის და ევროპული კონვენციის კონტინუუმში, „სამართლის ჟურნალი" №2, თბ., 2021, 30.

[278] იხ. სქოლიო „272".

# თავი III. სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

## 3.1. სესხი – რეალური თუ კონსენსუალური?

სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია მივიჩნიოთ ცალმხრივ, რეალური ხასიათის,[279] უნილატერალურ[280] ხელშეკრულებად, ვინაიდან, მისი მონაწილეებიდან, მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედებების შესრულებას (სესხად მიღებული ფულის ან გვაროვნული ნივთის უკან დაბრუნება), მეორე მხარეს კი შესაბამისი უფლება გააჩნია (გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლისაგან მოითხოვოს ნასესხების დაბრუნება).

სესხის ხელშეკრულება განეკუთვნება რეალურ, ფორმათავისუფალ[281] გარიგებათა რიცხვს,[282]/[283] ვინაიდან, სესხის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს.[284] მხოლოდ შეთანხმება სესხის თაობაზე არ ითვლება ხელშეკრულების დადებად; შეთანხმებასთან ერთად აუცილებელია ხელშეკრულების საგნის გადაცემაც, ვინაიდან სესხის ხელშეკრულება ვერ იქნება დადებული, თუ საამისოდ არ არის გამოვლენილი გამსესხებლის შესაბამისი ნება და მოქმედება.[285] ზემოთმოყვანილი დახასიათების მთავარი საფუძველი, იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული შეხედულებებია,

---

[279] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ე. ბიწაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2/12453-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[280] უნილატერალურ და ბილატერალურ ხელშეკრულების სახეებზე იხ: *Barry N.,* The French law and contract, 2. Ed, Oxford, Clarendon Press, 1992, 38-39. ასევე DCFR, Full Ed., Vol., *I, SELLIER,* 2008, 2461. ციტირ. ლიტ-რა: *შოთაძე თ.,* იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 86.

[281] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/2067-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2/21078-20; გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[282] *Romanc A.,* Izvori rimskog prava/Sources of Roman Law, 1989, 294. ციტირ. ლიტ-რა: *Hilmi D.,* Real Contracts in Roman Law and Their Development in Positive Law with Special Emphasis on Loan Contracts (Mutuum), 2021, 13.

[283] იხ. *შენგელია რ., კახაძე მ., ჩიკვაშვილი შ., ჩიტოშვილი თ., ხეცურიანი ჯ., სხვები.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IV წიგნი, I ტ. თბ., 2001, 227.

[284] *Sojeva D.,* Similarities and Differences Between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law AUDJ, Vol., 14, No. 2/2018, 27-28.

[285] *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV., თბ., 2002, 228.

სადაც სესხი ცალმხრივად მავალდებულებელი და რეალური ხელშეკრულებაა, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების პარალელურად, სესხის ბუნება სწრაფად იცვლება.[286] ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იმისა, რომ სესხი რეალური ხელშეკრულებაა, სწორედ ის მოსაზრებაა, რომლითაც პირს ვერ დაავალდებულებ გაასესხოს გვაროვნული ნივთი ან ფული. გარდა იმისა, რომ აღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია, კონტრარგუმენტად თავისუფლად შეგვიძლია მხარეთა კერძო ავტონომია მოვიყვანოთ,[287] რომელიც კერძო სამართლის სუბიექტებს აძლევს სრულ თავისუფლებას თვითონ გადაწყვიტონ, როგორც ხელშეკრულების დადების საკითხი, ისე შინაარსი. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ თითოეული ადამიანი დამოუკიდებლად განაგებს თავის „სამართლებრივ სივრცეს", რომელშიც შეღწევის უფლება დაუშვებელია, თუ საამისოდ სპეციალური თანხმობა არ იარსებებს.[288]

### 3.2. სესხის ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობის სტანდარტი და მტკიცების ტვირთი სამართალწარმოებისას

მხარეთა შეთანხმების ლეგიტიმურობა მისი გამოხატვის ფორმაზეა დამოკიდებული, რამდენადაც, ხშირ შემთხვევაში, „ფორმა შინაარსის დაფარვის ინსტრუმენტია".[289] ცნობილია, რომ ფორმა ან მხარეთა შეთანხმებით დგინდება თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, ან კანონით იმპერატიულად არის დადგენილი.[290] მხარეები სახელშეკრულებო შეთანხმებით, ან მის გარეშე, ნაგულისხმევად ანაწილებენ რისკებს და განსაზღვრავენ სახელშეკრულებო პირობებს.[291] წერილობითი ფორმა ემსახურება სამართლებრივ უსაფრთხოებას და მხარეთა ინტერესებს ორმხრივად იცავს.

---

[286] "The nature of credit is also rapidly changing as new and innovative products and technologies are introduced by new and existing providers alike"; See., *Schultz, D. P., & Schultz, S. E.,* Theories of personality. Cengage Learning. PWC (2020). Financial Services Technology 2020 and Beyond: Embracing disruption, 2016.

[287] იხ. *ჯორბენაძე ს.,* ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბ., 2016, 44.

[288] *Sacco R.,* Formation of Contracts, 2003, 195.

[289] *ზოიძე ბ., ბურდული ი.,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები., თეორია, პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები., თბ., 2018, 70.

[290] *ჩიტოშვილი თ.,* ვალის არსებობის აღიარება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი" №1, თბ., 2017, 98.

[291] *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბ., 2015, 256-257.

ხელშეკრულების წერილობით დადება რამდენიმე მიზანს ემსახურება, ესენია: *„მტკიცების, გაფრთხილების, გამიჯვნისა და საინფორმაციო მიზანი; თითოეული მიზანი საბოლოო ჯამში ემსახურება ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებების დაცვას“.*[292] მტკიცების ტვირთის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე,[293] წერილობითი ხელშეკრულების დადება ყველაზე აპრობირებულია.[294] მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დავას არ იწვევს ის არსებითი პირობები, რაზეც თანხმდებიან მხარეები.[295] საკასაციო პალატის მოსაზრებით, *სესხის წერილობითი ხელშეკრულება დადებულად უნდა მივიჩნიოთ, თუ ამ ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა შეთანხმება სესხის საგანზე და მსესხებლისთვის მის გადაცემაზე. მართალია, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, სესხის პროცენტზე და ვადაზე, თუმცა ხელშეკრულებაში მათი მიუთითებლობა გავლენას ვერ მოახდენს სესხის ნამდვილობაზე. ასეთ დროს მიიჩნევა, რომ სესხი დადებულია უვადოდ და სასყიდლის გარეშე.*[296]

ფორმის დაცვის სავალდებულოობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაღდი ანგარიშსწორების დროს, სადაც მხარეთა ინტერესები ნაკლებად არის დაცული წერილობითი ფორმის გარეშე.[297] რაც შეეხება სესხის ხელშეკრულების ფორმას, ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია გარიგება დაიდოს კანონით დადგენილი ფორმით. სსკ-ის 624-ე მუხლი სრულ თავისუფლებას ანიჭებს მხარეებს და მიუთითებს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ხელშეკრულების დადების

---

[292] *ფაჩუაშვილი ნ.*, ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულებები, მათი ბათილობის, შეწყვეტის, მათზე უარის თქმის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები., დის., თბ., 2019, 35.
[293] მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი სუბიექტური კონცეპციის დროს ერთობ მნიშვნელოვანია იმის გამოსარკვევად, ხელშეკრულების მიმღებ მხარეს რამდენად ხელეწიფებოდა განმცხადებლის ნამდვილი ნების ამოცნობა. (იხ. *ზოიძე ბ., ბურდული ი.*, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები., თეორია, პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები., თბ., 2018, 48). მტკიცების ტვირთის განაწილებაზე ვრცლად იხ. *ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ.*, პროფესია – ადვოკატი., GIZ, თბ., 2018, 121-122.
[294] *Grziwotz in Schnitzler.*, Familienrecht, Münchener Anwalts Handbuch, 3. Auflage, Verlag C.H. Beck, München, §28, 2010, Rn. 21, ციტირ. ლიტ-რა: *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბ., 2016, 111.
[295] იხ. *ჩიტოშვილი თ.*, ვალის არსებობის აღიარება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2017, 98.
[296] სუსგ 2016 წლის 27 მაისის საქმე №ას-938-888-2015. ციტირ. *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019)., GIZ., თბ., 2019, 109.
[297] იხ. *ჩიტოშვილი თ.*, ვალის არსებობის აღიარება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2017, 99.

შესაძლებლობაზე, „განსხვავებით პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 1143-ე მუხლისა, რომელიც კერძო პირებს შორის სესხის შემთხვევაში, თუ სესხის თანხა 2000 ევროზე ნაკლებია, ფორმის დაცვა არ არის სავალდებულო. 2000-დან 20000 ევრომდე სესხის შემთხვევაში წერილობითი ფორმა სავალდებულოა, ხოლო 20000 ევროზე ზემოთ ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს ნოტარიულად. მსგავს დათქმას შეიცავს პოლონეთის სამოქალაქო კოდექსიც, განსხვავება მხოლოდ თანხაშია და ის 125 ევროს შეადგენს“.[298]

ფორმა არ არის თვითმიზანი, არამედ სხვადასხვა მიზნის მიღწევის საშუალებაა.[299] შესაბამისად, თუ მიზანი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმის გარეშეც მიღწეულია, ეს გარიგების დადების დამაბრკოლებელ გარემოებად არ უნდა მივიჩნიოთ. სსკ-ის 328-ე მუხლით, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ, „...რაც მიუთითებს იმაზე, რომ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლაც ამავე ფორმით უნდა მოხდეს, იმის მიუხედავად, რომ პროცენტთან დაკავშირებით ხელშეკრულების წერილობითი ფორმა საკანონმდებლო მოთხოვნა არ არის“.[300] ამდენად, კანონმდებელმა ხელშეკრულების ნამდვილობა სხვა გარემოებებთან ერთად დაუკავშირა კანონმდებლობით გათვალისწინებული ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დაცვას. ფორმის დაცვას იმდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ გარდა 328-ე მუხლის განაწესისა, სსკ პირდაპირ შეიცავს ნორმას ფორმის დაუცველობის შედეგებზე, კერძოდ, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. ანალოგიურია გათვალისწინებული სსკ-ის 68-ე მუხლში – გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლია თვითონ განსაზღვრონ

---

[298] *შოთაძე თ.*, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 77.
[299] *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 285.
[300] *ზარანდია თ.*, გარიგების ფორმის პრობლემა ქართულ სამართალში, ჟურნ. „განათლება“, თბ., №1, 2009, 106.

იგი.[301]/[302] კანონმდებელი მხარეებს ფორმის განსაზღვრისას სრულ თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა სასამართლო პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, *წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება პრივილეგირებულია, რაც იმაში ვლინდება, რომ გამსესხებლის მტკიცების ტვირთი გაადვილებულია.*[303] სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით (რომელსაც უზენაესი სასამართლოც დაეთანხმა), *სასესხო ვალდებულების წარმოშობის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს მოვალისთვის თანხის გადაცემის ფაქტზე. ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს თანხის გადაცემის და შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს ზეპირი სახის მტკიცებულებებით – მოწმის ჩვენებით, მხარეთა ახსნა-განმარტებით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა, სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.*[304] *ამიტომაც, კანონმდებელი სესხის წერილობით ფორმას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.*[305] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლით დადგენილ ფორმის მიზანს საფუძვლად უდევს გამაფრთხილებელი ფუნქცია.[306] როგორც სააპელაციო პალატა ერთ-ერთ საქმეზე *განმარტავს, სსკ-ის 623-624-ე მუხლების მიზანია სესხის მონაწილეთა უფლებების დაცვა. მართალია სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, ფორმის არჩევა მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო*

---

[301] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2/9686-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[302] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 59, 68, 328, 24/07/1997.

[303] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის საქმე №2ბ/2628-16; გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[304] სუსგ 2015 წლის 22 ივლისის საქმე №ას-127-119-2015. ციტირ. ლიტ-რა: *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019)., GIZ., თბ., 2019, 112.

[305] სუსგ 2015 წლის 03 აპრილის საქმე №ას-109-102-2015; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[306] იხ. *ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II გამოცემა, თბ., 2004, 232. ციტირ. ლიტ-რა: *ამირანაშვილი გ.*, გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, დის., თბ., 2018, 107.

*გავლენას ახდენს. პალატის განმარტებით, სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასადგენად კანონმდებელი მოსარჩელის მტკიცების ტვირთს გარკვეულწილად ამძიერებს. სესხის გაცემის მტკიცების ტვირთი აწევს გამსესხებელს, რომელმაც, გარდა თავისი განმარტებისა, სხვა მტკიცებულებებით დამაჯერებლად უნდა დაადასტუროს სესხის ხელშეკრულების დადება,*[307] *რადგანაც „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს" – "Affirmanti Non Neganti Incumbit Probatio".*[308]/[309] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, *სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილება სპეციალურია, კერძოდ, კრედიტორმა უნდა ამტკიცოს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა და მოვალისათვის თანხის გადაცემა, ხოლო მოვალემ ვალდებულების შესრულება.*[310]/[311]

სსკ-ის 327-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.[312] იმავე მუხლის მიხედვით, წინარე ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ მოეთხოვება სავალდებულო ფორმა, თუ ძირითადი ხელშეკრულება მიუთითებს ამაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარეები თავისუფლები არიან სესხის ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის მომენტში.

---

[307] სუსგ 2017 წლის 16 ივნისის საქმე №ას-415-388-2017; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[308] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/15133-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/27565-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[309] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2/21078-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[310] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/3096-18; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[311] „მოსარჩელეს ეკისრება მის მიერ მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნათა დასაბუთებულად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გაქარწყლების მოვალეობა" (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1721-20-8; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

[312] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 327(III), 24/07/1997.

სსკ-ის 623-ე მუხლის და 327-ე მუხლის მესამე ნაწილის სისტემური ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სესხის შეპირების ხელშეკრულებაც ფორმასავალდებულო გარიგებად არ მიიჩნევა. სსკ-ის 628-ე მუხლის მიხედვით კი სესხის შეპირების ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს. თავისი არსით, სსკ-ის 628-ე მუხლი ამავე კოდექსის 327-ე მუხლის მესამე ნაწილის კონკრეტული/სპეციალური გამოვლინებაა. ანუ სახეზეა იერარქიულად ერთ დონეზე მდგარ ნორმებს შორის კოლიზია.[313] ამ შემთხვევაში გამოიყენება სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ ამ ტიპის პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა სპეციალურ ნორმას (სსკ-ის 628-ე მუხლი) უნდა მივანიჭოთ, შესაბამისად წერილობითი ფორმის გარეშე დადებული სესხის შეპირების ხელშეკრულება ფორმადაუცველობის გამო ბათილია.[314] შუალედური შეფასებით შეიძლება აღინიშნოს, რომ მხარეთა უფლებების თანაბარზომიერი დაცვის მიზნით, სესხის ხელშეკრულება აუცილებელია წერილობით გაფორმდეს.

***სესხის ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებაში კანონმდებელი განამტკიცებს ფორმის თავისუფლების პრინციპს,*** რაც იმას ნიშნავს, რომ სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.[315] პრაქტიკაში საკმაოდ ბევრია შემთხვევა, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით. ამ შემთხვევებში სასამართლო საქმის წარმოებისას რთულია ხელშეკრულების არსებობა-არარსებობის დადგენა. იმისათვის, რომ დაცული იყოს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობანი, კანონმდებელი განსაზღვრავს და ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მისი ნამდვილობა არ

---

[313] „კოლიზიურ სამართალში ამ სახის შემთხვევების დარეგულირებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუსტი მხარისათვის ხელსაყრელი სამართლის გამოყენებამდე მისვლა და ცუდად ინფორმირებული ან საერთოდ ინფორმაციის არქმონე ხელშეკრულების მხარის დაცვა ხელშეკრულების ძლიერი მხარისაგან მოსალოდნელი მანიპულაციებისგან". იხ., *ასათიანი თ.,* სუსტი მხარის ინტერესების არასაკმარისი (?) დაცვის ზოგიერთი ასპექტი ქართული საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით მომხმარებლისა და დასაქმებულის მაგალითზე., „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, თბ., №1/2020, 43.

[314] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 2(II), 327(III), 623, 628, 24/07/1997.

[315] *შამათავა ი.,* სესხის ხელშეკრულება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში, სტუ-ს სამეცნ. ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება" (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), თბ., №4 (56) 2020, 55.

შეიძლება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით დადგინდეს.[316]/[317] თუ სამოქალაქო კოდექსში ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა არ იარსებებდა, შესაძლებელი იქნებოდა, მრავალი არაკეთილსინდისიერი პირის მიერ ზეპირი ხელშეკრულების არსებობის იმიტირება, სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოყვანილი იქნებოდა რამდენიმე პირი, რომელიც სესხის ხელშეკრულების არსებობას „დაადასტურებდა", იმ დროს, როდესაც ასეთი ხელშეკრულება საერთოდ არ დადებულა. ზუსტად ასეთი სიტუაციების აღმოფხვრისათვის არსებობს დათქმა, რომ ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.[318] იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მისი არსებობის დასადგენად აუცილებელია მაგ., ე.წ. სავალო ხელწერილის არსებობა ან სხვა დოკუმენტი, რომლის ძალითაც შესაძლებელია დადგინდეს მსესხებლის მხრიდან გამსესხებლის მიმართ ვალდებულების არსებობა, აღიარება, ვალდებულების შესრულების გადავადება.

### 3.3. სესხის ვალუტა, ანგარიშსწორების საკითხი, რესტრუქტურიზაცია და რეფინანსირება

თუ სესხის ხელშეკრულებას ფულადი ვალდებულებების ჭრილში განვიხილავთ, სასესხო ურთიერთობებში გასათვალისწინებელია ეროვნული ვალუტის საკითხიც.[319] სსკ-ის 383-ე მუხლის მიხედვით, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში.[320] ანგარიშსწორების ერთადერთ კანონიერ საშუალებას საქართველოში ლარი[321]

---

316 მსგავს შემთხვევაში, თანხის გადახდის დამადასტურებელი მდგომარეობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/1360-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).
317 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 06 მარტის საქმე №2ბ/3521-13; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
318 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 624, 24/07/1997.
319 „საერთაშორისო სავაჭრო და საბანკო პრაქტიკაში ვალუტა ზოგჯერ განიხილება არა გადახდის საშუალებად, არამედ როგორც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომლის შეძენაც შეიძლება". იხ. *ძლიერიშვილი ზ.,* „ნომინალიზაციის პრინციპის" მნიშვნელობა ფულადი ვალდებულების შესრულებისას., „სამართლის ჟურნალი" №1, თბ., 2020, 19.
320 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 383, 24/07/1997.
321 ეროვნული ვალუტის სახელთან დაკავშირებით მოიაზრებოდა სხვადასხვა სახელი: „მანეთი", „ქართული მანეთი", „მარჩილი", „ქართი", „რვალი" და „ლარი", ხურდა ფულის სახელწოდებად კი განიხილებოდა სახელწოდებები: „ეგრი", „კოლხა", „თეთრა", „კერმა" და „თეთრი". ქართული ფულის გამოშვების სამთავრობო კომისიის 1992 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ქართულ ეროვნულ ვალუტას დაერქვა - „ლარი", მოგვიანებით კი, დადგინდა ხურდა ფულის სახელწოდებაც - „თეთრი". სიტყვა „ლარი" ძველი

წარმოადგენს,[322] გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა[323] ან/და უბაჟო ვაჭრობის პუნქტებისა.[324] ვალუტის დადგენა არ ატარებს იმპერატიულ ხასიათს და კანონმდებელი ალტერნატივას გვთავაზობს. მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ ვალუტა, თუ ის პირდაპირ არ არის კანონმდებლობით აკრძალული (მაგ., სსკ-ის 625⁷-ე მუხლის შემთხვევა). სესხის ვალუტაა ის ფულადი ერთეული, რომელშიც გამოიხატება სესხის თანხა, ხოლო გადახდის ვალუტაა ის ფულადი ერთეული, რომელიც ითვლება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების საშუალებად. მაშასადამე, „სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტა, ხოლო გადახდა უნდა მოხდეს შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში (ლარში)“.[325]

მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება უცხოურ ვალუტაში დაადგინონ, თუ კანონით ნებადართულია, რაც ნიშნავს, რომ აკრძალული არ არის. ვალუტა ამა თუ იმ სახელმწიფოს ფულადი ერთეულია,[326]/[327] რაც ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების გადახდა აუცილებლად ნომინალური ეროვნული ან უცხოური ვალუტის პრინციპით ხორციელდება.[328] „უცხოური ვალუტით ანგარიშსწორებისას უცხოური ვალუტა იქნება ვალის ვალუტა, ხოლო ლარი იქნება გადახდის ვალუტა“.[329] როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად ვალდებულებებში, ფული ასრულებს

---

ქართული სიტყვაა და ნიშნავს სიმდიდრეს, განძს. ხოლო „თეთრი“ შუა საუკუნეებში გამოყენებული ქართული სამონეტო ტერმინია. <https://nbg.gov.ge/georgian-money/history> [19.03.2022].

322 იხ. *ძლიერიშვილი ზ.,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 346., აგრეთვე., საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 29, 12/10/2009, მუხ. 34, 24/09/2009.

323 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის სახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. ის წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ნაწილს განსაზღვრული საზღვრებითა და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით. <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsControlArea?cat=2&tab=1> [13.03.2022].

324 საქართველოს კანონი, საქართველოს საბაჟო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, ვებგვერდი 04/07/2019, მუხ. 29, 28/06/2019.

325 *ძლიერიშვილი ზ.,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 347.

326 *Lando O., H. Beale H.* (Ed.), Principles of European Contract Law, Parts I-II, Kluwer Law International, The Hague, 2000, 374.

327 *Grüneberg Ch.,* in Palandt O., BGB Komm., 78 Aufl., München, 2018, §244, Rn 3; Smidt-Kessel M., in: Prüting H., Wegen G., Weinreich G., BGB Komm., 14. Aufl., Luchterhand Verlag, Köln, 2019, §244, 369.

328 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013)., GIZ., თბ., 2014., 134.

329 *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 330.

გადახდის საშუალების ფუნქციას. „ფული ორ უნივერსალურ პრინციპს ეფუძნება: ა) უნივერსალურ კონვერტირებადობას: ფულით, თითქოს ალქიმიკოსი იყოთ, მიწას – ერთგულებად, მართლმსაჯულებას ჯანმრთელობად, ძალადობას კი ცოდნად გადააქცევთ. ბ) უნივერსალურ ნდობას: ფულის შუამავლობით ნებისმიერი ორი ადამიანი ნებისმიერ პროექტზე მუშაობისას თანამშრომლობას ახერხებს“.[330] თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ „ფულს უფრო ბნელი მხარეც აქვს. მართალია, ფული უცნობ ადამიანებს შორის ნდობის ხიდს აშენებს, მაგრამ ეს ნდობა ადამიანებზე, საზოგადოებაზე ან წმინდა ფასეულობებზე კი არა, თავად ფულზე და იმ უპიროვნო სისტემებზეა დამყარებული, რომლებიც ფულს ზურგს უმაგრებს... ფული საზოგადოების, რელიგიისა და სახელმწიფოს კაშხლებს თანდათან ანგრევს და მსოფლიოს ერთ დიდ, უსულგულო ბაზრად გადაქცევა ემუქრება“.[331]

2017 წლის 15 იანვრიდან, მას შემდეგ რაც სსკ-ის 625-ე მუხლის ცვლილებები და დამატებები ძალაში შევიდა, სწორედ შემზღუდველი ნორმები დაწესდა. კანონის თავდაპირველი რედაქციით, ფიზიკურ პირზე 100 000 ლარამდე სესხი გაიცემოდა მხოლოდ და მხოლოდ ლარში (თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ გამომდინარეობდა). ამასთან, ლარში გაცემულ სესხად არ მიიჩნეოდა უცხოურ ვალუტაზე მიბმული/ინდექსირებული სესხი“.[332]/[333] აღნიშნული ნორმა, სულ მალე დაკორექტირდა, ვინაიდან მსგავსი შეზღუდვა არასახარბიელო აღმოჩნდა საბანკო სექტორისათვის, შედეგად, ლიმიტი 200 000 ლარამდე გაიზარდა. დღევანდელი რეგულაციით, გამომდინარეობს, რომ საკანონმდებლო ცვლილება ერთი მხრივ კრძალავს ფიზიკურ პირზე ორასი ათას ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემას, მეორე მხრივ, ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, მხარეს ანიჭებს უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემის ალტერნატიულ შესაძლებლობას. აღნიშნული რეგულაციიდან თავის არიდების

---

[330] *ჰარარი ი.ნ., საპიენსი* – კაცობრიობის მოკლე ისტორია, თბ., 2020, 240.
[331] იქვე, 241.
[332] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; პარლამენტის უწყებანი, 625, 24/07/1997.
[333] საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული; (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №194/04 ბრძანება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე“, 01/09/2018, ვებგვერდი 29/08/2018).

პრაქტიკული სახელმძღვანელო მექანიზმი იმავე კოდექსმა განსაზღვრა, რითაც ისარგებლა საბანკო სექტორმა და კლიენტებისთვის თანხის იმ ლიმიტის შეთავაზება დაიწყო, რომელიც რეგულაციის პარამეტრთან თავსებადია, ხოლო სესხის გაცემიდან რამდენიმე დღეში (მომდევნო კალენდარული დღიდან ან შემდეგ) ბანკები წინსწრებით იბრუნებენ ნამეტ თანხას, რისთვისაც არ აქვთ საკომისიო გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ, პირობა მისაღებია მსესხებლისთვისაც.

ამ თავის მიზნებისთვის, საინტერესოა რესტრუქტურიზაციისა და რეფინანსირების ტერმინოლოგიური განმარტება. ***რესტრუქტურიზაცია*** ვალის როგორც ძირი თანხის, ისე პროცენტის დაფარვასაც გულისხმობს. საქართველოში რესტრუქტურიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა კლიენტის მხრიდან ყველა ვალდებულების ერთ ვალდებულებად გარდაქმნა, რომლის მთავარი მიზანი ნაკლები ყოველთვიური გადასახადის დაწესებაა, ეს კი სასესხო ვალდებულების გრძელვადიანად გარდაქმნაში, ე.წ. სესხის განწილვადებით მიიღწევა.[334] რესტრუქტურიზაციის ზოგადი მიზანია სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარება, ვალის პატიება, მესამე პირისათვის მოთხოვნის გადაკისრება, დისკონტით დათმობა.[335] რაც შეეხება ***რეფინანსირებას***, ასეთი სესხი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკებისათვის ფულადი რესურსის მიწოდებას დადგენილი უზრუნველყოფით. რეფინანსირების სესხი,[336] როგორც მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ეროვნულმა ბანკმა 2008 წელს შემოიღო. ინსტრუმენტის მოკლევადიანი ბუნება უზრუნველყოფს, რომ ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ საჭირო მოცულობით მიაწოდოს ლიკვიდურობა[337] ფინანსურ სექტორს.

---

[334] რესტრუქტურიზაციის შესახებ იხ. ვრცლად., „საზოგადოება და ბანკები“, Society and Banks <http://sab.ge/sites/default/files/restruqturizacia.pdf> [13.03.2022]

[335] საქართველოს კანონი, „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, მუხ. 6, 09/03/2004, 13/02/2004.

[336] *Brady P.J., Canner G.B., Maki D.M.,* The Effects of Recent Mortgage Refinancing, Federal Reserve Bullet, in July 2000, 441-450 <https://www.federalreserve.gov/pubs/bulletin/2000/0700lead.pdf> [19.03.2022].

[337] საქართველოს ეროვნული ბანკი, ლიკვიდობის სტანდარტების განყოფილება იხ. <https://nbg.gov.ge/page/ლიკვიდობის-სტანდარტები> [20.03.2022], *„ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად“.*

### 3.4. გადამხდელუნარიანობა, კრედიტუნარიანობა, ჭარბვალიანობა

**გადამხდელუნარიანობა** – ესაა იურიდიული ან ფიზიკური პირის უნარი და მზადყოფნა, დროულად და სრული მოცულობით დაფაროს ნაკისრი ვალდებულებები, როგორც ძირითადი თანხის, ისე მასზე დარიცხული პროცენტის ნაწილში. გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზი უნდა მოიცავდეს იმ პირთა წრის მაქსიმალურად ობიექტურად შეფასებას და გათვალისწინებას, ვისთან ერთადაც მსესხებელი/თანამსესხებელი იზიარებს შემოსავლებს ან/და ვალდებულებებს. იმისათვის, რომ მსესხებელი ფიზიკური პირის შემოსავალი ჩაითვალოს გაანალიზებულად და დადასტურებულად, ბანკში წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია (სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან და სხვა მსგავსი სანდოობის მქონე დოკუმენტაცია). დოკუმენტთა ეს ჩამონათვალი, ბრძანების ამოქმედების დღიდან, გახდა ერთგვარი სახელმძღვანელო სესხის/კრედიტის გამცემი ორგანიზაციებისთვის, საბანკო სექტორისთვის. საკანონმდებლო ცვლილები კი იმ ფაქტმა განაპირობა, რომ „სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, სამომხმარებლო სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შესწავლის გარეშე გაიცემოდა“,[338] რაც მნიშვნელოვნად ხელყოფდა მომხმარებლის უფლებებს. აღსანიშნავია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების N2008/48/EC დირექტივა),[339] რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველოს 2019 წლის სექტემბრამდე უნდა დაენერგა.[340]

**კრედიტუნარიანობა**[341] – ბევრად ვიწრო ცნებაა, ვიდრე გადამხდელუნარიანობა. მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ერთიანი, უნიფიცირებული წესი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. ზოგიერთი კომპანია, მისო, თუ ბანკი, მას რაოდენობრივი მაჩვენებლებით, რენტაბელობის, ლიკვიდობის დონითა და კაპიტალის სტრუქტურით

---

[338] <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3344> [05.02.2022].

[339] *ქაშიბაძე ნ.,* ევროკავშირის N2008/48/EC დირექტივის იმპლემენტაციისას წარმოშობილი პრობლემატიკა., სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები, თბ., 2021, 24-34.

[340] <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3333> [05.02.2022].

[341] ტერმინოლოგიური განმარტებისთვის იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=19196> [20.03.2022].

ზომავს, ზოგიც – ხარისხობრივი მაჩვენებლებით. კრედიტუნარიანობის საკითხის განხილვისას, აუცილებელია ვახსენოთ ნორმატიული აქტი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №281/04 „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. „უკანასკნელ წლებში ქვეყანაში წარმოშობილმა ჭარბვალიანობის პრობლემამ ეროვნულ ბანკს უბიძგა დაეწესებინა ისეთი რეგულაციები, რომლებიც გასაცემი კრედიტის ოდენობას ფიზიკური პირის რეალურ შემოსავალს დაუკავშირებდა და მას არაპროპორციულად მაღალი თანხის მიღების შესაძლებლობას შეუზღუდავდა. ამ ნორმატიული აქტის მოქმედება არ ვრცელდება ყველა სახის კრედიტზე, რომელსაც ფიზიკური პირი იღებს, მაგალითად, მოძრავი ქონებით ან ფინანსური ინსტრუმენტებით (მათ შორის ფასიანი ქაღალდებით) უზრუნველყოფილ სესხებზე“.[342]

**ჭარბვალიანობა,** ანუ კრედიტის „ჭარბწარმოება“ თანამედროვე საკრედიტო სისტემის სახასიათო შტრიხია. მისი შედეგები ფართოდ არის წარმოდგენილი ლოკალურ, რეგიონულ თუ გლობალურ ეკონომიკაში. ჭარბვალიანობა მძიმე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების გამომწვევ მიზეზად გვევლინება. მიუხედავად რეგულირების მეთოდებისა, რომელსაც თანამედროვე „მეინსტრიმ“ თეორია[343] და პრაქტიკა პრობლემის აღმოსაფხვრელად იყენებს, იგი კვლავ ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მარეგულირებელ ინსტიტუტებს, რომელთა ყურადღების მიღმა პერმანენტულად რჩება ამ პროცესის მთავარი საკითხი: მოთხოვნის (და არა მოთხოვნილების) ეკონომიკაში, ისეთ დეფიციტურ რესურსზე, როგორიც ფული და დანაზოგებია, როგორ ყალიბდება კრედიტის „ჭარბწარმოება“.[344] ჭარბვალიანობის პრობლემის წარმოქმნაში დიდი როლი ითამაშა ე.წ. ონლაინ სესხების სერვისმა, რის საფასურადაც მოვალე პირებს სესხად მიღებული თანხის 100 და 200% გადახდა უწევდათ. ახალდაწესებული რეგულაციებით, სახელმწიფომ გადაწყვიტა მოეგვარებინა ჭარბვალიანობის პრობლემა და სამოქალაქო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები დოლარიზაციის მაჩვენებლის შესამცირებლად,

---

[342] *გოთუა ლ.,* სსკ-ის 867 მუხლის კომენტარი, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2020/06/Artikel-867.pdf> [26.03.2022], ბოლო დამუშავება: 30.01.2020.

[343] ტერმინი, რომელიც რომელიმე სფეროში გაბატონებულ თვალსაზრისს (ტენდენციას) გულისხმობს. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=19461> [20.03.2022].

[344] *ხიდაშელი მ., ჩიხლაძე ნ.,* ჭარბვალიანობის საკითხის გააზრებისათვის, გლობალიზაცია და ბიზნესი, „საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი“, №5, თბ., 2018, 119.

რათა იურიდიული პირები დაეცვა სავალუტო რისკებისგან, ამიტომაც, დაწესდა, რომ 200 000 ლარამდე სესხის შემთხვევაში, ნასყიდობის და ლიზინგის საზღაური არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით მიბმული ან ინდექსირებული უცხოურ ვალუტაზე.[345]

### 3.5. მოვალეთა რეესტრი, კრედიტინფო

მოვალეთა რეესტრის მიზანია მოვალის საკუთრებაში რიცხული უძრავი თუ მოძრავი რეგისტრირებადი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვა.[346] „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, მოვალეთა რეესტრი არის ფულადი მოთხოვნის დროებით, აღსრულების უზრუნველყოფამდე წარმოებული საშუალება. მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის მიზანია აღსრულების პროცესი საჯაროობა. „მოვალეთა რეესტრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის №234 ბრძანების მე-2 მუხლში განსაზღვრულია, რომ რეესტრის წარმოების მიზანია იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ეფექტურობის ხარისხის გაზრდა,[347] კანონით დადგენილ ფარგლებში აღსრულების პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფა, კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისას შესაძლო რისკების შემცირების ხელშეწყობა და პოტენციურ პარტნიორთა საიმედოობის დამატებითი გარანტიების შექმნა.[348]

მოვალეთა რეესტრში განთავსებული ინფორმაცია საჯაროა,[349] რაც ნიშნავს, რომ მასთან თავისუფალი, შეუზღუდავი წვდომა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, ამდენად, საკრედიტო ორგანიზაციები, საბანკო სექტორი თუ სესხის გამცემი სუბიექტები

---

[345] *ხამხაძე თ.,* ჭარბვალიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი და საჭირო სამართლებრივი რეგულაციები., ჟურნ. „ჩემი ადვოკატი", თბ., №1, 2021.

[346] მოვალეთა რეესტრის წარმოებაზე იხ. *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწ. I, თბ., 2018, 210-213.

[347] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 17 იანვრის ბრძანება №14 „მოვალეთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბრის №234 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, 28/12/2009.

[348] *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 183.

[349] ვრცლად იხ. „მოვალეთა რეესტრის მონაცემების საჯაროობა: კრედიტორისათვის დამატებითი გარანტიების შექმნა თუ მოვალის პერსონალური მონაცემების გაუმართლებელი დარღვევა" სტატიაში *ხუჯაძე თ.,* კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა (მექანიზმები) სააღსრულებო სამართალწარმოების განხორციელების პროცესში, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო"., თბ., №19/2021, 152-165.

სასესხო/საკრედიტო განაცხადის შევსებისას უპირველესად სუბიექტის მონაცემების მოვალეთა რეესტრში დამუშავებას ახდენენ. რეესტრში რეგისტრირებული პირი ნეგატიური საკრედიტო ისტორიის მქონეა[350] და კრედიტორისთვის იმთავითვე ცნობილი ხდება განმცხადებლის გადახდისუნარიანობა, კრედიტთან დამოკიდებულება (სუბიექტური ფაქტორი, ქცევითი ელემენტები). ასეთ შემთხვევაში, რისკის გაწევა კრედიტორზეა დამოკიდებული,[351] რომლის არაუზრუნველყოფილი სასესხო ვალდებულება შესაძლოა აღუსრულებელი დარჩეს.

რაც შეეხება კრედიტინფოს რეესტრის წარმოების წესს, მისი მიზანია სწორად დაიგეგმოს სესხის გაცემის პოლიტიკა; აღნიშნული რეესტრი ემსახურება როგორც კრედიტორული ინტერესის დაცვას, ისე მოვალის გადახდისუნარიანობის შესწავლას, რათა გამოირიცხოს ჭარბვალიანობა და სესხის მიმღები ქონებრივი დანაკარგის წინაშე არ აღმოჩნდეს, ზემოაღნიშნული კი გამომდინარეობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №195/04-დან.[352]

### 3.6. სესხი, სამომხმარებლო კრედიტი და საბანკო კრედიტი – მსგავსება და განსხვავება

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სესხის ხელშეკრულების სპეციალურ სახეს წარმოადგენს[353] და სესხისთვის დამახასიათებელი წინაპირობები გააჩნია,[354] თუმცა ამის მიუხედავად, „სესხისა და საბანკო კრედიტის ერთმანეთისგან გამიჯვნის საკმაოდ ბევრი კრიტერიუმი არსებობს, რომლის აღწერა შესაბამისი ხელშეკრულებების სუბიექტებით

[350] უნგრეთში, უარყოფითი საკრედიტო ინფორმაცის მქონე სუბიექტზე ავტომატური უარი გაიცემა, ხოლო პოზიტიურის შემთხვევაში, ინფორმაციაზე წვდომისთვის სავალდებულოა სუბიექტის (განმცხადებლის) თანხმობა. ბანკებს ინფორმაციის დამუშავება სჭირდებათ მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. იხ. Credit referencing in Hungary, 12 <https://bisz.hu/wp-content/uploads/2019/09/BISZ_hitelreferencia_eng.pdf> [20.03.2022].

[351] ბანკები სხვადასხვა სახის რისკების წინაშე დგანან. როგორიცაა: ფინანსური, საოპერაციო, ტრანზაქციის, ლიკვიდურობის, საპროცენტო ცვლილებების, საბაზრო და არასისტემატური რისკი., ვრცლად იხ. *Pickert J.*, Risk assessment of unsecured loans – example ofentering a new market, Vol. 1, No. 3, 2017, 49.

[352] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №195/04 „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, 27/08/2018, ვებგვერდი 29/08/2018.

[353] იხ. *შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, II ტ., თბ., 2001, 194.

[354] *Brox H., Walker W.-D.*, Besonderes Schuldrecht, 33. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008, 222. ციტირ. ლიტ-რა: *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში., თბ., 2017, 209.

უნდა დავიწყოთ: სესხისგან საპირისპიროდ, რომლის გაცემა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია, საბანკო კრედიტის გამცემი ყოველთვის სპეციალური სუბიექტია – კომერციული ბანკი, მისო ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი“.[355] ეჭვგარეშეა, რომ „საბანკო კრედიტის განვითარებას დასაბამი უფრო ფართო შინაარსის მქონე გარიგებამ, სესხმა დაუდო“.[356]

სესხის ხელშეკრულება არაფორმალური კონტრაქტია და ის შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით, მაშინ როდესაც, საკრედიტო ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით ფორმდება.[357] სესხის ხელშეკრულების საგანი შესაძლოა როგორც ფული, ისე სხვა გვაროვნული ნივთი იყოს, ხოლო საბანკო კრედიტის საგანი ყოველთვის ფულია. სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო, საბანკო კრედიტის შემთხვევაში კი, გარიგება ყოველთვის სარგებლიანია. როგორც სესხის, ისე საბანკო კრედიტის მეშვეობით, ხდება ხელშეკრულების საგნის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, სესხის ხელშეკრულება ნამდვილია მაშინაც, როდესაც ხელშეკრულების ვადა დადგენილი არ არის, ხოლო საბანკო კრედიტი ყოველთვის ვადიანობის გათვალისწინებით დადებული გარიგებაა. სესხის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი,[358] საბანკო კრედიტის შემთხვევაში კი, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ხდება შესაბამისი პროცენტის გადახდა.[359] „მიუხედავად იმისა, რომ „სესხსა“ და „კრედიტს“ შორის ძირითად დებულებათა თანადამთხვევა არსებობს, საბანკო კრედიტი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რაც მისი სასესხო ურთიერთობის ნაირსახეობად გამოყოფის საფუძველს ქმნის“.[360]

---

[355] *გოთუა ლ.,* სსკ-ის 867 მუხლის კომენტარი <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2020/06/Artikel-867.pdf> [26.03.2022], ბოლო დამუშავება: 30.01.2020.
[356] იქვე, 1.
[357] *Huerta de Soto J.,* Money, Bank Credit and Economic Cycles. 2nd Ed., Union Editorial Madrid., 2002; *Sojeva D.,* Similarities and Differences Between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law AUDJ, Vol., 14, No. 2/2018, 30.
[358] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 623, 24/07/1997.
[359] *Freitag/Mülbert,* in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011, BGB §488, Rn. 23. „მსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა ნასესხები თანხა შესაბამის ვალუტაში დააბრუნოს, სასყიდლიანი კონსტრუქციის დროს კი, ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს პროცენტის გადახდა“.
[360] *შენგელია რ., შენგელია ე.,* საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014, 349.

ეკონომიკურ ბაზარზე სესხსა და საბანკო კრედიტს შორის არსებულ განსხვავებას არა მხოლოდ პრაქტიკული მიმოქცევის მაგალითები, არამედ საკანონმდებლო რეგულირების ნორმატიული ხასიათი აყალიბებს, სადაც გამმიჯნავი ფინანსურ-სამართლებრივი ასპექტების დადგენის საკითხი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.[361]

## 3.7. სესხის ხელშეკრულების გამიჯვნა სესხის შეპირების ხელშეკრულებისგან

სესხის შეპირება, სამართლებრივი ბუნებით, ფორმასავალდებულო შეთანხმებათა რიცხვს მიეკუთვნება და სესხის მსგავსად, ცალმხრივი ხელშეკრულებაა. სესხის შეპირების ხელშეკრულებით, ერთი პირი ჰპირდება მეორეს, რომ განსაზღვრულ დროში, მომავალში, სესხად მისცემს ფულს ან გვაროვნულ ნივთს. ამ ვადის დადგომის შემდეგ იდება სესხის რეალური ხელშეკრულება. ამდენად, სესხის შეპირების ხელშეკრულებით, არ ხდება სესხის საგნის მსესხებლისთვის გადაცემა, განსხვავებით სესხის ხელშეკრულებისგან, რომელიც არ იარსებებს მანამ, ვიდრე სესხის საგანი არ გადაეცემა მსესხებელს.

სსკ-ის 628-ე მუხლი ითვალისწინებს სესხის შეპირებასა და ფულადი სახსრების მოზიდვის შეზღუდვას. ნორმა ორ მნიშვნელოვან დათქმას აკეთებს, ერთი ეხება საკითხს, როდესაც დამპირებელი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისგან, ხოლო მეორე ხელშეკრულების ფორმას. იურიდიულ ლიტერატურაში სესხის შეპირება მოხსენებულია, როგორც წინარე სესხის ხელშეკრულება, რომლის მიზანიც სესხის ხელშეკრულების დადების დავალდებულებაა.[362]

სესხის შეპირების ხელშეკრულებას და სესხის ხელშეკრულებას ორი ფაქტორი განასხვავებს: I. სესხის ხელშეკრულების ფორმა შესაძლოა როგორც ზეპირად, ისე წერილობით იყოს წარმოდგენილი, განსხვავებით სესხის შეპირებისგან, სადაც კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს წერილობით ფორმას. ამდენად, სესხის შეპირების ხელშეკრულება, ფორმადაუცველობის შემთხვევაში არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, შესაბამისად, ბათილია. II. სესხის შეპირების

[361] *ლეონიძე ნ.*, სესხისა და საბანკო კრედიტის გამიჯვნის ცალკეული კრიტერიუმები საქართველოს ეკონომიკურ-სამართლებრივ სივრცეში., საერთაშორისო სტუდენტური სამეცნ. კონფერენციის მოხსე-ნებათა კრებული, სეუ., თბ., 2020, 8.

[362] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 628, 24/07/1997.

ხელშეკრულებისგან განსხვავებით, სესხის ხელშეკრულება რეალური ბუნებისაა და იგი დადებულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია ფულის ან ნივთის გადაცემა.

„სესხის მიცემამდე, გამსესხებლის თანხმობა სესხის მიცემის თაობაზე წარმოადგენს მხოლოდ სესხის შეპირებას, რომლის დადებისას, წერილობითი ფორმის დაუცველობა არ წარმოშობს ვალდებულებას. ამდენად, საფრთხეს, რომლის შესახებაც გამსესხებელი წერილობითი ფორმის დაცვის გზით უნდა იქნეს გაფრთხილებული, სარისკო ვალდებულების წარმოშობა წარმოადგენს, ხოლო, ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნის გადავადება, ძირითადად, შედარებით ნაკლებად უქმნის საფრთხეს მის ინტერესს“.[363]

### 3.8. ლიზინგის სესხად განმარტების ძირითადი საფუძვლები

სალიზინგო ურთიერთობის სესხთან აღრევა დაკავშირებულია ლიზინგის ხელშეკრულების სხვადასხვა სახის უარყოფასთანაც.[364] ინგლისურენოვან ლიტერატურაში ტერმინი ლიზინგი (lease) ქირავნობას, იჯარას აღნიშნავს,[365] თვითონ ლიზინგი კი, ქირავნობისგან გასამიჯნად, „ფინანსური ლიზინგით“ (financial lease) მოიხსენება.[366]/[367]/[368] ქართულ სამართლებრივ ენაში სამივე ტერმინი იმდენად განსხვავდება ფონეტიკურად, რომ პრაქტიკაში, თუნდაც სარეკლამო კამპანიებში, ფინანსურ ლიზინგს ლიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნად იყენებენ და უწოდებენ ხელშეკრულებას, სადაც ლიზინგის მიმღებს, ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ლიზინგის საგნის შესყიდვის უფლება აქვს და სადაც ლიზინგის მიმღები და საგნის მიმწოდებელი (გამყიდველი) ერთი და იგივე პირი არ

---

[363] *ამირანაშვილი გ.*, გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, დის., თბ., 2018, 107-108.

[364] ვრცლად იხ. *ჯორბენაძე თ.*, ლიზინგის საგნის დაბრუნების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2019, 97-98.

[365] *ძლიერიშვილი* ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 5(4), თბ., 2002, 506.

[366] *ირემაშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE., მუხ. 576, ველი 19.

[367] ფინანსურ ლიზინგზე ვრცლად იხ. *გოთუა ლ.*, საქართველოში ფინანსური ლიზინგის განვითარების სამართლებრივი პრობლემები., „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, თბ., №3/2021, 41-67.

[368] *Merrill T.W.*, The Economics of Leasing, 12 J. Legal Analysis 1 (2020).

არის.[369] სასამართლოს მხრიდან ფინანსური ლიზინგის ზოგადსალიზინგო ურთიერთობასთან გაიგივება არამართებულია. ფინანსური ლიზინგისგან მკვეთრად განსხვავდება შესყიდვის უფლების გარეშე დადებული სალიზინგო ხელშეკრულება, რომელიც ოპერატიულ ლიზინგად იწოდება.[370]

სალიზინგო ურთიერთობის განცალკევებულ სამართლებრივ ინსტიტუტად აღიარება ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ვაკუუმით არის გამოწვეული. ხშირად, ეჭვქვეშ დგება ლიზინგის ხელშეკრულების ისეთი გარიგებებისგან გამიჯვნა, როგორიცაა: სესხი, ქირავნობა და განვადებით ნასყიდობა.[371] ლიზინგი განსაკუთრებული სახის ხელშეკრულებაა, რომელიც სხვა გარიგებების მსგავს ელემენტებს აერთიანებს.[372] საინტერესოა, რომ იდენტური პირობების ხელშეკრულებებზე ერთსა და იმავე სასამართლოს შესაძლოა განსხვავებული აზრი ჰქონდეს. მაგ., თუ ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ლიზინგის საგნის დაბრუნების მოთხოვნა,[373] ანალოგიური შინაარსის სხვა საქმეზე ამავე სასამართლომ ლიზინგი სესხად მიიჩნია[374] და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ლიზინგის საგნის დაბრუნება მოსამართლის შეფასებაზეა დამოკიდებული. თუ თბილისის სააპელაციო სასამართლო ურთიერთობას ლიზინგად მიიჩნევს და განსხვავებულ მსჯელობას მხოლოდ ბაჟის განახევრებისა და დავის საგნის ღირებულების დადგენის საკითხი იწვევს,[375] ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულებები ქუთაისის

---

[369] Australian Accounting Standards Board, AASB 117, 14, 01/12/2009, ციტირ. *ჯორბენაძე თ.*, ლიზინგის საგნის დაბრუნების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2019, 98.

[370] *იმედაშვილი გ., ხარაიშვილი ს.*, საჰაერო ხომალდის სალიზინგო ხელშეკრულება, ჟურნ. სამართალი“, №1-2, 2006, 39; *ჯანხოთელი შ.*, ლიზინგი, ჟურნ. „სამოქალაქო სამართალი“, თბ., ოქტომბერი, 1998, 51-53.

[371] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის საქმე №2/ბ-839-2018 (გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში); *მეშველიშვილი ს.*, სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., № 4 (39), 2013, 86-88.

[372] *ღუდუშაური ა.*, ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი, ჟურნ. „სამართალი“, № 11-12, თბ., 1993, 55. *Lesni L. C.*, The Lease Contract, Contemporary Readings in Law and Social Justice, Vol., 4(2), 2012, 900.

[373] ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 სექტემბრის ბრძანება და სააღსრულებო ფურცელი №2-3724-18; ბრძანება და სააღსრულებო ფურცელი ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[374] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის საქმე №2/ბ-839-2018; გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[375] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის საქმე №2ბ/5748-18; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის საქმე №2ბ/6929-18. გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

სააპელაციო სასამართლოში სესხად განიმარტა.[376] მიუხედავად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ამგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიები ხშირად აკმაყოფილებენ ლიზინგის გამცემის მოთხოვნას.[377] პრაქტიკის ანალიზის შედეგად, გამოიყოფა ძირითადი საფუძვლები, რომელთა გამოც განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე არ დაკმაყოფილდა და სალიზინგო ხელშეკრულება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სესხად მიიჩნია.[378] რამდენადაც „ფინანსური ლიზინგი ტრადიციულად გამოიყენება ნებისმიერი მასშტაბის ბიზნესის (ერთი პირის საწარმოდან დაწყებული გლობალური კორპორაციით დასრულებული) მიერ ნებისმიერი ტიპის აქტივების (პატარა მოტოციკლიდან დაწყებული თვითმფრინავებით და უძრავი ქონებით დასრულებული) შესყიდვის დაფინანსებისათვის“,[379] აღნიშნული ინსტიტუტი საჭიროებს „მომავალი სამართლებრივი ჩარჩოს ერთგვარი კონტურების“ მოხაზვას.[380]

### 3.9. სასესხო ფასიანი ქაღალდები – თამასუქი და ობლიგაცია

სასესხო ფასიანი ქაღალდი, თავისი არსით, წარმოადგენს ისეთ ფასიან ქაღალდს, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე; იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.[381] ფასიანი ქაღალდი შესაძლოა არსებობდეს მატერიალიზებული (ქაღალდის, პლასტიკური ბარათის ან სხვა) ფორმით ან არამატერიალიზებული ფორმით, მაგალითად, ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში, რომელსაც კანონით დადგენილი წესით აწარმოებს ფასიანი ქაღალდების

---

[376] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 8 იანვრის საქმე №2/ზ1246-2018. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[377] შეად. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის საქმე № 2/448-19; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ნოემბრის საქმე № 2/3572-18. გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[378] *ჯორბენაძე თ.*, ლიზინგის საგნის დაბრუნების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2019, 98.

[379] *გოთუა ლ.*, საქართველოში ფინანსური ლიზინგის განვითარების სამართლებრივი პრობლემები., „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, თბ., №3/2021, 41.

[380] იქვე.

[381] საქართველოს კანონი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 1(8), 14/01/1999, მუხ. 2(35), 24/12/1998.

რეგისტრატორი ან ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტი იმ ფიზიკური პირის მეშვეობით, ვისაც რეესტრის წარმოების უფლება აქვს.[382]

ობლიგაცია შესაძლოა სესხის ხელშეკრულებით აქციებში კონვერტირებადი ფასიან ქაღალდად გარდაქმნის პერსპექტივით სარგებლობდეს.[383] საქართველოში ფულადი რესურსის მოზიდვის ორი მექანიზმი არსებობს: საბანკო სესხებიდან ფასიანი ქაღალდების ემისია და მათი განთავსება ფასიანი ქაღალდების ბაზრის საშუალებით. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს დაკარგული აქვს თავისი მთავარი ფუნქცია – იყოს ფასიან ქაღალდებზე ფასწარმოქმნის საბაზრო ფუნდამენტი.[384] ფასიანი ქაღალდის გაცემის უფლებამოსილება გააჩნია აგრეთვე მუნიციპალიტეტებს, რაც გამომდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-100 მუხლიდან.[385] როგორც ყველა სასესხო ინსტრუმენტი, მუნიციპალური ობლიგაციები გამოიშვება სახსრების მობილიზაციის მიზნით, საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტების მშენებლობის ან შეკეთებისათვის. ამ მიზნით მათ აქვთ უფლება გამოუშვან მხოლოდ სასესხო ინსტრუმენტები. მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება მოკლევადიანი თამასუქები (1 თვიდან 1 წლამდე ვადით), მოკლევადიანი ობლიგაციები (1-დან 6 წლამდე), საშუალოვადიანი ობლიგაციები (6-დან 9 წლამდე) და გრძელვადიანი ობლიგაციები (20 და მეტი წლით).[386]

თბილისის საქალაქო სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე ასეთი სამართლებრივი შეფასება გააკეთა: *„თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, თამასუქში, რომლის გადახდა სავალდებულოა წარდგენისთანავე, ანდა წარდგენიდან განსაზღვრულ*

---

[382] *ზარანდია თ.,* სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“., №5(48), თბ., 2015, 24.

[383] *Renneboog, L. D. R., & Szilagyi, P. G.,* Corporate Restucturing and Bondholder Wealth. (CentER Discussion Paper; Vol. 2006-23), Finance. *Hamilton R.W.,* The Law of Corporations, 2000, 215- 219; *Gevurtz F.A.,* Corporate Law, 2000, 142-146; *Bevans N.R.,* Business Organizations and Corporate Law, 2007, 254; *Ferran E.,* Principles of Corporate Finance Law, 2008, 511. ციტირ. ლიტ-რა: **მახარობლიშვილი გ.,** კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდა-მენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) სა-ფუძველზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)., დის., თბ., 2014, 67.

[384] *ჩიჩუა ს.,* ბანკების საფონდო ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და მისი განვითარების ტენდენციები (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია GTUNI-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2019, 5.

[385] საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; საქართველოს პარლამენტი, ვებგვერდი 19/02/2014, მუხ. 100, 05/02/2014.

[386] იხ. სქოლიო „380“, 16.

*დროში,*[387] *თამასუქის გამცემს შეუძლია დათქვას, რომ თამასუქის თანხას დაერიცხება პროცენტები, რომლის განაკვეთიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს თამასუქში, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცენტის შესახებ ჩანაწერს ძალა არ აქვს.*[388] სწორედ ეს ჩანაწერი გვაფიქრებინებს, რომ სასამართლო პრაქტიკა ობლიგაციის შესახებ ნორმებს სესხის ხელშეკრულების ნორმებთან აიგივებს (საპროცენტო განაკვეთის მითითების დავალდებულებით).

---

[387] საქართველოს  კანონი, „თამასუქის შესახებ", საქართველოს პარლამენტის უწყებები, 27-30, მუხ. 3, 19/04/1995.

[388] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ც. სირბილაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

# თავი IV. სესხის ხელშეკრულების კლასიფიკაცია

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ რამდენიმე სახის სესხის ხელშეკრულებას.[389]/[390]/[391] ამ თავში თითოეული კლასიფიკატორის მოკლე განმარტება იქნება წარმოდგენილი, რაც საკითხზე უკეთ ფოკუსირების შესაძლებლობას მოგვცემს.

## 4.1. უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა

უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ მოთხოვნას ერთი მთავარი ფაქტორი განასხვავებს – გარანტია.[392] უზრუნველყოფილი მოთხოვნის დროს, კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი მინიმუმამდე ჰყავს დაყვანილი, მთავარია რომ უზრუნველყოფის საშუალება (ქონება) რელევანტური და გონივრულად მისადაგებული იყოს სასესხო მოთხოვნასთან. რაც შეეხება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნას,[393] ეს ის შემთხვევაა, როდესაც „პირს, რომელიც სესხს სხვა პირს გადასცემს, როგორც წესი, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოქმედება და მასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხე",[394] სწორედ ამიტომ, კრედიტორული მოთხოვნის რეალიზება დამოკიდებულია მოვალის სახელზე რაიმე სახის აქტივის არსებობა-არარსებობაზე. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა ისეთი ფინანსური ვალდებულებაა, რა დროსაც კრედიტორის მოთხოვნა ქონებით არ არის უზრუნველყოფილი.

## 4.2. ინდივიდუალური და ჯგუფური სესხი, საკრედიტო ხაზი

სესხის გაცემა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, რაც ნიშნავს, რომ სასესხო ურთიერთობა შეიძლება როგორც ერთ პირთან მოლაპარაკების, ისე პირთა წრეზე იყოს გათვლილი. ინდივიდუალური სესხის დროს პასუხისმგებლობა

---

[389] *Gillen M.R.,* Securities regulation in Canada, Scarborough, Carswell, 1992, 4-5, ასევე. *შოთაძე თ.,* იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება. დის., თბ., 2011, 86.

[390] ევროპის ქვეყნებში, სესხის სახეობებთან მიმართებით იხ. ვრცლად., *Ivashina V., Laeven L., Moral-Benito E.,* Loan types and the bank lending channel., No 2409., May 2020.

[391] *Fay B.,* Consumer Credit & Loans., <https://www.debt.org/credit/loans/> [14.03.2022].

[392] *Chawla R., Joshi A.,* Difference between Secured Loan and Unsecured Loan <https://www.forbes.com/advisor/in/loans/difference-between-secured-loan-and-unsecured-loan/> [20.03.2022].

[393] *Pickert J.,* Risk assessment of unsecured loans – example ofentering a new market, Vol. 1, No. 3, 2017, 47-52.

[394] *ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II გამოცემა, თბ., 2004, 232. ციტირ. ლიტ-რა: *ამირანაშვილი გ.,* გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, დის., თბ., 2018, 108.

ერთპიროვნულად მსესხებელზეა, თუ სახეზე არ არის თავდებობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება. ჯგუფური სესხის დროს, ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს ვალდებულების შესრულების პროპორციულობა, ეტაპები, პასუხისმგებლობის როგორც ერთიანი, ისე ცალკეული შემთხვევები.

რაც შეეხება გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებას (საკრედიტო ხაზი), ის გულისხმობს ისეთ ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ფორმდება კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებები იმ ლიმიტისა და ვადის გათვალისწინებით, რაც დადგენილია გენერალური ხელშეკრულებით. ასევე, თუ კრედიტი უზრუნველყოფილია თავდებობით და/ან მსესხებელი და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე სხვადასხვა პირია, გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიმიტის და ვადის ფარგლებში ახალი კრედიტის გაცემისას და/ან საკრედიტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისას, საჭირო აღარ არის თავდების და/ან უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის დამატებითი თანხმობა.[395]

### 4.3. მიზნობრივი და არამიზნობრივი სესხი

სესხის მიზნობრიობა, ახალი საბანკო რეგულაციის თანახმად, მომავალში გასაცემი სასესხო პროდუქტის წინაპირობას განსაზღვრავს. საბანკო სექტორი ვალდებულია უპირველესად დაადგინოს მომხმარებელთან ის მიზანი, რისთვისაც უნდა მოხდეს ფიზიკური თუ იურიდიული პირის დაკრედიტება. მიზნობრიობის სწორად განსაზღვრის პრობლემა ხშირია საბანკო-საფინანსო სექტორში, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია საბანკო სექტორის წარმომადგენლების (თანამშრომლების) ინტენსიური საკვალიფიკაციო გადამზადებები.

### 4.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულება

ვადიანობის განსაზღვრა სესხის ხელშეკრულების აუცილებელი კომპონენტია. ვადის დათქმა ავალდებულებს მსესხებელს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ნასესხები ფულის ან ნივთის დაბრუნება. როცა ვადა წინასწარ

---

395 საქართველოს ეროვნული ბანკი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება, <https://nbg.gov.ge/faq/102> [13.03.2022].

განსაზღვრული არ არის, მაშინ სასესხო ვალი უნდა დაბრუნდეს კრედიტორის/მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.[396] კანონი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა ვალდებულება არ ითვლება დარღვეულად ვადის გადაცილების გამო, და მას ისეთ გარემოებებს უკავშირებს, რომელიც მოვალის ბრალით არაა გამოწვეული. ბრალის შემთხვევაში მოვალე პასუხისმგებელია გაუფრთხილებლობისათვის და შემთხვევისათვის.[397] ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება მოვალის მიერ ისეთი უმოქმედობა, თუ შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. გაფრთხილება თავის თავში შეხსენებას გულისხმობს და უამისოდ მოვალე ვადის გადამცილებლად არ ითვლება.[398]

### 4.5. სამეწარმეო (საკორპორაციო) სესხი

კორპორაციული საბანკო მომსახურება ძირითადად გულისხმობს სესხებისა და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას მაღალშემოსავლიან ფიზიკურ პირებზე და მცირე, საშუალო და მიკროსაწარმოებზე უფრო მსხვილ იურიდიულ პირებზე, ასევე ფულადი გზავნილებისა და ანგარიშსწორების მომსახურებას, ვაჭრობის დაფინანსების მომსახურებას და დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერას, შემნახველი და ვადიანი ანაბრების მართვას კორპორაციული და ინსტიტუციური მომსახურებისათვის.[399]

*კრედიტორი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარეა. უდავოა, სწორედ ის განსაზღვრავს წლიური სარგებლის ოდენობას. მართალია ამ შეთავაზებას მსესხებელი ეთანხმება, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც კრედიტორი მოქმედებდა სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ,*[400] როდესაც დაადგინა 72%-იანი განაკვეთი.

---

[396] *შენგელია რ.*, თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, თბ., 1999, 45.

[397] *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, თბ., 1999, 60.

[398] *მამაიაშვილი თ.*, საბანკო კრედიტის (სესხის) ხელშეკრულება და სასამართლოსმიერი მორიგება საკრედიტო ვალდებულების დარღვევისას., „სამართლის ჟურნალი" №2, თბ., 2014, 100-101.

[399] იხ. *ზაქაიძე მ.*, დაკრედიტების მექანიზმები და მათი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები (გზები), (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია GTUNI-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2020, 37.

[400] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/1619-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

## 4.6. სამომხმარებლო სესხი

სესხებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა სამომხმარებლო მიზნობრიობით გაცემული სესხია,[401] რომელიც სამეწარმეო მიზნობრიობის გარდა, ნებისმიერი საქმის დასაფინანსებლად გაიცემა. მსესხებელზე სამომხმარებლო სესხის გაცემისთვის აუცილებელია ლეგალური შემოსავალი: მაგ., სახელფასო ცნობა, საწარმო აქციების წილი, ანაბარი, საიჯარო თანხა.[402]

სამომხმარებლო სესხის აღებისას კრედიტორი, როგორც წესი, არ ინტერესდება თანხის განკარგვის ფაქტით, მაშინ, როდესაც კონკრეტული მიზნობრიობის სესხების შემთხვევაში (ტურისტული, აგრო, ავტო, სამშენებლო, იპოთეკური, კომერციული) თანხის მიზნობრივად დახარჯვა მსესხებლის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა. სამომხმარებლო სესხის უპირატესობას განაპირობებს მისი ხელმისაწვდომობა. მსგავსი კატეგორიის სესხები გათვლილია მომხმარებლის ყველა სეგმენტზე, მათ შორის, ასაკობრივ თუ მოწყვლად ჯგუფებზე, სტაბილური სამსახურით უზრუნველყოფილ მოქალაქეებსა თუ თვითდასაქმებულებზე. სამომხმარებლო სესხი მაღალი რისკის შემცველია, რადგან უზრუნველყოფის გარეშე, გამარტივებული პროცედურით გაიცემა, შესაბამისად, უფრო მაღალია შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევები. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი კატეგორიის სესხი მეტ რისკებს შეიცავს, იპოთეკურისგან განსხვავებით, საპროცენტო განაკვეთი ქართულ საბანკო სექტორში გაორმაგებულია.

## 4.7. იპოთეკური სესხი

იპოთეკური კრედიტი სესხის ხელშეკრულების სპეციფიკური სახეა. სტანდარტული სესხისგან მას რაც განასხვავებს, ეს ქონებრივი უზრუნველყოფაა. ტიპური სესხის ხელშეკრულების დროს, კრედიტორის მოთხოვნა დაუზღვეველია, თუ სახეზე არაა პიროვნული უზრუნველყოფის საშუალება – თავდებობა ან სახელფასო ამონაწერი, მაშინ

---

2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/20579-19; გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[401] *Mijatovic M.D.*, Consumer Credit in European Union., European Scientific Journal, Special ed., Vol.1, 2014, 410.

[402] იხ. *ტალახაძე გ.*, საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პრობლემები (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია GTUNI-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2020, 15.

როცა იპოთეკური ვალდებულების დროს კრედიტორის მოთხოვნა გარანტირებულია ლიკვიდური ფასის მქონე უძრავი ქონებით.[403] სხვაგვარად რომ ვთქვათ, იპოთეკა, როგორც ვალდებულებითი უფლება, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე გარდაიქმნება აბსოლუტურ უფლებად, შესაბამისად, იმგვარი სანივთო უფლება ხდება, როცა ვალდებულების შეუსრულებლობას უპირისპირდება უძრავი ქონებით კომპენსირება.[404] აქედან გამომდინარეობს, რომ იპოთეკის დადგენით, კრედიტორი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარწმუნებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებაში, რასაც რეალიზაციის ეტაპზე აღწევს.[405] აღსანიშნავია, რომ ბანკების მხრიდან იპოთეკა დაკრედიტების საიმედო საშუალებად მიიჩნევა, რადგან იპოთეკური სესხის რეგისტრაციისას, საბანკო რისკი დაზღვეულია, რაც გამოიხატება გადახდისუუნარო მსესხებლის ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის მძიმე შედეგის თავიდან აცილებაში.[406]

იპოთეკის რეგისტრაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა რიგითობის საკითხს ენიჭება. პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნა უპირატესია ყოველი მომდევნო იპოთეკარის მოთხოვნასთან შედარებით. რაც უფრო მზარდია იპოთეკის რიგი, მით მეტია კრედიტორული მოთხოვნის აღუსრულებლობის რისკი. ამდენად, იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაცია ყოველთვის არ ნიშნავს კრედიტორისთვის მყარი გარანტიის მინიჭებას და ხშირად ის ფიქციური ხასიათის მატარებელი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახეზეა სამი, ოთხი და მეტი რიგის იპოთეკა. საკრედიტო სფეროში, იპოთეკის რიგითობა საკვანძო მნიშვნელობის საკითხია. რიგითობის მიზანია „უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული მრავალრიცხოვანი უფლებების სისტემატიზაცია და თავად ამ უფლებებს შორის რიგითობის სამართლიანი წესრიგის უზრუნველყოფა".[407]

---

[403] უძრავი ქონების ბაზრის ეფექტიანობის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და პრინციპები იხ. ვრცლად., *ბერაია ნ.*, უძრავი ქონების ბაზრის მიკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება (თბილისის მაგალითზე), დის., თბ., 2015, 9-95.

[404] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ლ. ავალიშვილი;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[405] იხ. *პატეიშვილი ვ.*, საბანკო იპოთეკური კრედიტი – თეორია, პრაქტიკა და პერსპექტივები., სებ-ის ანალიტიკური ჟურნალი, თბ., №20, 2004, 1-7.

[406] იხ. შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 7.

[407] შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, დის., თბ., 2011, 162.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, *ქონებით სარგებლობის და განკარგვის უფლება, მათ შორის, უძრავი ნივთის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენება, მნიშვნელოვანი მექანიზმებია ინდივიდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის მიღებას შესაძლოა, მისი მიმღებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს და მას ისეთ სერვისებზე მისცეს წვდომა, რომლებიც სხვაგვარად მისთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა. ამდენად, ასეთ სერვისებზე წვდომამ შესაძლოა, გააუმჯობესოს ადამიანის ცხოვრების ხარისხი, გადაჭრას მის წინაშე მდგარი გადაუდებელი ამოცანები, უზრუნველყოს მისი ინტეგრაცია საზოგადოებაში და, მთლიანობაში, ხელი შეუწყოს სხვადასხვა საჯარო ინტერესის რეალიზაციას, მათ შორის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.*[408]

## 4.8. სინდიკატური სესხი

სინდიკატური სესხის ხელშეკრულებები **(Konsortialkredit syndizierter Kredit Darlehen)**[409] მასშტაბური პროექტების დაფინანსების ძირითად ფორმად ითვლება.[410] როგორც წესი, სინდიკატური სესხი ექსკლუზიურად გაიცემა და მას ყოველთვის კონკრეტული მიზნობრიობა გააჩნია. სინდიკატური სესხის გაცემისას, პირთა წრე (სუბიექტი) კორპორაციულადაა წარმოდგენილი,[411] ვინაიდან სესხის გაცემის დროს ხდება რამდენიმე კომერციული ბანკის ან საკრედიტო დაწესებულებების გაერთიანება. „ხშირად ასევე ერთვებიან ურთიერთდახმარების ფონდები და სადაზღვევო კომპანიები“.[412]

---

[408] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/13802020, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5057976?publication=0> [14.03.2022].

[409] *Godlewski C. J., Weill L.*, Syndicated Loans in Emerging Markets, Emerging Markets Review 2008, September, Elsevier, Vol., 9(3), 206-219., *Schimansky, H. Bunte, Lwowski, HJ.* (Hrsg.): Bankrechts-Handbuch, München, 2007, Band I, §87, Rn. 1-3; *Skene G.R.*, Arranger Fees in Syndicated Loans-A Duty to Account to Participant Banks?, Penn State International Law Review 2005-2006, Vol., 24:1, s. 61-62., Jurman, S., Bank Loan Participations as Securities: Notes, Investment Contracts, and the Commercial/Investment Dichotomy, Duquesne Law Review 1976-1077, Vol., 15, s. 262-263; Skene, s. 62. *Batty D. L.*, Necessity is the Mother of Innovation During the Credit Crisis, North Carolina Banking Institute., 2010, Vol., 14, s. 3*; Godlewski/Weill*, s. 207; *Altunbas, Y. I. Gadanecz, B. Kara, A.*, The Evolution of Syndicated Loan Markets, The Service Industries Journal 2006, Vol., 26, No. 6, s. 589 (bkz. ala. dn. 35).

[410] იხ. *იოსელიანი მ.*, სინდიკატური სესხის როლი პროექტის დაფინანსებისას, „სამართლის ჟურნალი“ №2, თბ., 2016, 97.

[411] იხ. *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 46. („რამდენიმე კრედიტორის, ან მოვალის არსებობა კიდევ უფრო ართულებს ვალდებულების სამართლებრივ ბუნებას და უფრო კომპლექსურს ხდის მას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ე.წ. ორმხრივი ვალდებულებები“).

[412] *Dhawan V.*, Syndicate Loan Agreement and Select Clauses, 6 CT. UNCOURT 29 (2019), Citations: Bluebook 21st ed.

კრედიტორთა სიმრავლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კოლოსალური თანხის დაკრედიტებას მხოლოდ ერთი საბანკო ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს.[413] ამას გარდა, არც ერთი ბანკი არ დაუშვებს ერთ პროექტზე იმ მოცულობის სესხის გაცემას, რაც საფრთხეს შეუქმნის ბანკის ფინანსურ კეთილდღეობას.[414] „ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ტრანზაქციული პროცესის ეპიცენტრში, როგორც წესი, მაღალი ლიკვიდური ხარისხის მქონე ქაღალდი, ფასიანი ქაღალდი დგას".[415] ამდენად, „სავარაუდოა, რომ კორპორაციული სესხები განიხილება, როგორც საჯარო ფასიანი ქაღალდები".[416]

სინდიკატურია ისეთი სესხის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, ბანკები (და ხშირად არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებები) აერთიანებენ საკუთარ ფინანსებს,[417] რათა მსესხებელზე ერთი საერთო სესხი გასცენ. სინდიკატურ სასესხო დოკუმენტებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს წამყვანი კრედიტორის უფლებამოსილება.[418] სინდიკატურ სესხს მიიჩნევენ ჰიბრიდულ ინსტიტუტად, რომელსაც იყენებენ კომერციული ბანკები და სხვა სახის საკრედიტო ინსტიტუტები.[419] ინვესტიციების ღირებულებებიდან გამომდინარე,[420] სინდიკატური სესხი ბევრად აღემატება რეგულარულ სესხებს.[421] სინდიკატური სესხის გაცემის პრაქტიკა ინდივიდუალური მსესხებლის დასაფინანსებლად კრედიტორთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას

---

[413] *Goodman G.A., Special Problems of Syndicated Loans,* DENTONS (Apr. 14, 2014), <http://www.dentons.com/en/insights/articles/2014/april/14/special-problems-of-syndicated-loans>, [15.02.2022]. Cited from the original., *Aster C.E., Attaway M.A.,* Syndicated Construction Loans, Defaulting Lenders, and Equitable Remedies, 48 Tex. Tech L. Rev. 2016, 859.

[414] *Goodman G.A., Special Problems of Syndicated Loans,* DENTONS (Apr. 14, 2014), <http://www.dentons.com/en/insights/articles/2014/april/14/special-problems-of-syndicated-loans> [15.02.2022].

[415] *ზოიძე ბ., ბურდული ი.,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები., თეორია, პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები., თბ., 2018, 88.

[416] *Griffin R.C.,* Portfolio Management Theory and the Syndicated Loan Market: More Growth ahead, Citations: Bluebook 21st ed, 11 COM. LENDING REV. 29 (1995), 33.

[417] Syndicate Loan Agreement and Relevant Clauses., <https://www.mondaq.com/unitedstates/financial-services/803634/syndicate-loan-agreement-and-relevant-clauses> [15.02.2022].

[418] *Schiller E.M.,* Co-Lender Issues on Defaulted Loans, Dentons paper for the ACREL Annual Meeting, Oct. 26, 2013. იხ. *Goodman G.A., Special Problems of Syndicated Loans,* DENTONS (Apr. 14, 2014), <http://www.dentons.com/en/insights/articles/2014/april/14/special-problems-of-syndicated-loans> [15.02.2022].

[419] *Iannotta G.,* Investment Banking, Springer-Verlag Berlin Heidelberg, Germany, 2010, 109., ციტირ. ორიგ., *იოსელიანი მ.,* სინდიკატური სესხის როლი პროექტის დაფინანსებისას, „სამართლის ჟურნალი"№2 , თბ., 2016, 96-97.

[420] ინვესტიციის ცნების განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტზე ვრცლად იხ. *ტაკაშვილი ს.,* უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან., დის., თბ., 2018, 21-31.

[421] *Dhawan V.,* Syndicate Loan Agreement and Select Clauses, 6 CT. UNCOURT 29 (2019), Citations: Bluebook 21st ed.

გულისხმობს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფიქსირებული თანხით ან საკრედიტო ხაზით. ისინი ზოგადად გამოიყენება ახალი პროექტების დასაფინანსებლად, ენერგეტიკული სექტორის, ინფრასტრუქტურული პროექტების, სამრეწველო-სატრანსპორტო, ტელეკომუნიკაციის, ელექტროენერგიისა თუ ნავთობ-ქიმიკატების შესყიდვებთან მიმართებით.[422]

სინდიკატური სესხის გაცემისა და შემდგომ მისი დაბრუნების პროცესი კომპლექსური ხასიათისაა და მისი უკეთ შესწავლისთვის აუცილებელია თითოეული ეტაპის დეტალურად განხილვა. სინდიკატური სესხის გაცემამდე კომერციული ბანკები ირჩევენ აგენტს (წამყვან ბანკს), რომლის ძირითად მიზანს სინდიკატური სესხის გაცემისა და შემდგომი ეტაპების ორგანიზება წარმოადგენს.[423] სინდიკატური სესხის დროს დეტალურად არის მოსაწესრიგებელი რისკების დივერსიფიკაციის საკითხი და მხარეთა უფლება-მოვალეობის პაკეტი, რადგან ანგარიშსწორების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა თანხების პროპორციულ განაწილებას ენიჭება, რაც ისევ და ისევ ძირითადი სახელშეკრულებო პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სესხის ათვისება მოხდეს მიზნობრივად, წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რადგანაც „ყოველთვის არის ეჭვი, რომ პროექტი ვერ განხორციელდება სესხის ხელშეკრულებისა და ფინანსური გეგმის მიხედვით“,[424] სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით საყურადღებოა „წამყვანი ბანკის მხრიდან საქმიანობის მონიტორინგი“.[425]

ევროკომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სინდიკატური სესხი ფართომასშტაბიანი დაკრედიტების მნიშვნელოვანი წყაროა, სადაც რამდენიმე კრედიტორი ერთიანდება, რათა გაიზიარონ საკრედიტო რისკი და უზრუნველყონ მსესხებელზე ერთი სასესხო ხელშეკრულების რეგისტრაცია.[426]

---

[422] Ibid.

[423] *Ioseliani M.*, The Role of Sydnicated Loan in Project Financing, Journal of Law, №2, 2016, 80.

[424] *Nevitt P.*, *Fabozzi F.*, Project Financing, 7th ed., Euromoney Books, London, 2000, 106. ციტირ. ორიგ., *იოსელიანი მ.*, სინდიკატური სესხის როლი პროექტის დაფინანსებისას., „სამართლის ჟურნალი“ №2, თბ., 2016, 101.

[425] *Hale G.*, Bonds or Loans? The Effect of Macroeconomic Fundamentals, Yale ITC Working Paper 2005, No. 03-02, Cowles Foundation Discussion Paper, Vol., 1403, s. 10.

[426] *Bretz O.*, *Dawkins R.*, *Leppard M.* et al., Eu loan syndication and its impact on competetion in crdit markets – Final report, European Commission, Directorate-General for Competetion, Publications Office, 2019, <https://data.europa.eu/doi/10.2763/738938> [14.03.2022].

## 4.9. სატრანსპორტო (ავტო) სესხი

სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით, რომელიც ფიზიკური პირის დაკრედიტების დებულებებს შეიცავს, განსაზღვრავს სატრანსპორტო სესხს,[427] რომლის ვადიანობა არაუმეტეს 6 წელს შეადგენს, გარდა სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხისა. დოკუმენტში „ევროპის საინვესტიციო ბანკი და აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები“,[428] სატრანსპორტო სესხის შემდეგი სახეობებია წარმოდგენილი, შემდეგი პროცენტული მაჩვენებლით: საწყალოსნო ტრანსპორტი (1.2%), გზები და ავტომაგისტრალები (64.2%), საქალაქო საგზაო ქსელები (2.7%), საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი (6.5%), აეროპორტები და სააეროპორტო მოწყობილობები (1.3%), რკინიგზა (8.3%), მეტრო (10.3%), სხვა (5.5%). იმავე დოკუმენტის მიხედვით, ევროპის საინვესტიციო ბანკმა, აღნიშნულ პერიოდში დააფინანსა 3.1. მილიარდი ევროს ღირებულების 25 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტი,[429] რაც სატრანსპორტო სესხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადასტურებს.

სამოქალაქო კოდექსის უახლესი ცვლილებაა 624[1] მუხლი, რომელიც არეგულირებს სატრანსპორტო (წყლის, საჰაერო, სარკინიგზო) საშუალებით უზრუნველყოფილი სესხის გაცემის შემთხვევას, რა დროსაც, კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა გამსესხებელმა მსესხებელს ფულადი სახსრები უნაღდო ანგარიშსწორებით გადასცეს.[430]

აღნიშნული დანაწესით, ნებისმიერი ფინანსური ტრანზაქცია, საბანკო დაწესებულების ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემაში აისახება, რაც ერთი მხრივ, ამარტივებს ფულადი სახსრების მიღების/გადაცემის მტკიცების პროცესს, ხოლო მეორე

[427] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, მუხ. 2-ის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი., 13/03/2020, ვებგვერდი 17/03/2020.

[428] აღმოსავლეთ პარტნიორობას საფუძველი ჩაეყარა 2009 წლის მაისში, როგორც კოლექტიურ პოლიტიკურ ინიციატივას ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და ექვს აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორს შორის: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა. <https://www.eib.org/attachments/country/the_eib_and_eastern_neighbourhood_countries_ka.pdf> [14.03.2022].

[429] იქვე.

[430] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 624[1], 24/07/1997.

მხრივ, ე.წ. „მევახშეების“ ფინანსურ ტრანზაქციებს საკანონმდებლო რეგულაციაში მოაქცევს და გადასახადის ადმინისტრირებისთვის დამატებითი მექანიზმი შეიქმნება.[431]

### 4.10. აგრო სესხი

რაც უფრო ვითარდება საბანკო სექტორი, მით მეტი სესხის/კრედიტის სახეობა ჩნდება. მომხმარებელთა მომართვიანობა განაპირობებს ახალი სასესხო პროდუქტის (პორტფოლიოს) დამუშავებას. აგრო სესხიც, სწორედ სპეციფიკურ სეგმენტზე გათვლილი სასესხო პროდუქტია,[432] რომელიც ბიზნეს-მეურნეობის განვითარებას ემსახურება. აგრო სესხი გაიცემა მესაქონლეობის, მებაღეობის, მემცენარეობის, ერთწლოვანი თუ მრავალწლოვანი კულტურის გასაშენებლად, ასევე სხვა ნებისმიერ საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად, რაც დაკავშირებულია მეურნეობის გაძღოლასთან.

### 4.11. სამოგზაურო (ტურისტული) სესხი

ტურისტული სესხი, ერთი მხრივ, გამოიყენება მოგზაურობის დასაგეგმად, მეორე მხრივ კი, ტურისტული საქმიანობის (კომპანიის ბიზნესის) გასავითარებლად. სესხის გაცემა შესაძლოა ემსახურებოდეს ტურისტული ობიექტის ფუნქციურ გამართვას, ასევე ტრადიციული საგანმანათლებლო სახელოსნოს, ტურისტული მაღაზიის მოწყობაში ხელშეწყობას, ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმოებას. ტურისტული სესხის გაცემის მიზანია ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა, რეკლამირება და რეალიზაცია.

### 4.12. სტუდენტური სესხი

ქართულ საბანკო სექტორში დანერგილია სტუდენტური სესხი,[433] რომელიც არა მარტო საუნივერსიტეტო გადასახადს, არამედ კერძო სკოლის დაფინანსებასაც ითვალისწინებს.

---

431 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186591> [15.03.2022].

432 *Moran*, from the Committee on Appropriations, submitted the following., Agricultural Rural Development, Food and Drug Administration, and Related Agencies appropriations bill, 2017, <<https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.usccsset/usconset60255&collection=usccsset&id=88&startid=&endid=204>> [14.03.2022].

433 სტუდენტური სესხის პირობები ს.ს. თიბისი ბანკში, <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/student-loan>; კრედო ბანკი, სესხი განათლების დასაფინანსებლად, <https://credobank.ge/products/student-loan/>; ერთობლივი პროგრამა ათასწლეულის ფონდისა და ტერაბანკისგან <https://www.terabank.ge/ge/1311>;

სესხით სარგებლობენ ავტორიზებული საგანმანათლებლო საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი და პროფესიული განათლების პროგრამებზე რეგისტრი-რებული სტუდენტები, აგრეთვე აბიტურიენტებიც.

სტუდენტურ სესხებთან დაკავშირებით, ამერიკელი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ პროდუქტს ბევრი უარყოფითი ეფექტი ახლავს,[434] განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უმაღლეს სასწავლებელს (სკოლას) აქვს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება სტუდენტისადმი, რაც გამოწვეულია მოტყუებით ან უსამართლო ზეწოლით. მსგავს შემთხვევაში, დავის გადაწყვეტა სტუდენტის სასარგებლოდ ხდება.[435] ევროპული პრაქტიკით, ***უნგრეთში***, სტუდენტური სესხის მისაღებად აუცილებელია უნგრეთის მოქალაქეობა, ან დაინტერესებული პირი აღიარებული უნდა იყოს როგორც ლტოლვილი, ან სულ მცირე უნდა ჰქონდეს ბინადრობის ან იმიგრაციის ნებართვა.[436] ***შვედეთის და პოლონეთის*** შემთხვევაშიც დადგენილია იდენტური წესები. სტუდენტურ სესხზე განაცხადის დროს, მათ არ უნდა ჰქონდეთ სტუდენტური სესხის სხვა ხელშემკვრელი ხელშეკრულება.[437] ***ჰოლანდიის*** მთავრობა მხოლოდ დასაშვებობის კრიტერიუმებს იყენებს საჯარო სესხებისთვის და სესხის გასაცემად აქვს სხვადასხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნა/კრიტერიუმები, კერძოდ: შემოსავალი ან დასაბეგრი ხელფასი გარკვეულ ზღვარს არ უნდა აღემატებოდეს, მაგ., 2010 წელს, ასეთად მიჩნეული იყო 13 215,83 ევრო.თუ შემოსავალი/ხელფასი აღემატება ამ ზღვარს, მოსწავლეებს არ აქვთ უფლება მიიღონ სტუდენტური დაფინანსება.[438] სესხის გაცემის დროს, ბანკები ამოწმებენ პირის დავალიანებას რეესტრებში და თუ სტუდენტს უკვე აქვს მნიშვნელოვანი დავალიანება, მას არ შეუძლია სტუდენტური სესხით სარგებლობა.[439] ***ინგლისის*** შემთხვევაში, სტუდენტური სესხების რისკის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი არის

---

ბაზისბანკში ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის დაფინანსება, <https://bb.ge/ge/personal/loans/consumer-loan/student-loan>.

[434] *Hunt J, P.,* Bankruptcy as Consumer Protection: The Case of Student Loans, 52 Ariz. St. L.J, 2020, 1172.

[435] Ibid. 1215

[436] *Lettmayr C, F.,* European Centre for the Developmentof Vocational Training., RESEARCH PAPER, No 20, Loans for vocational education and trainingin Europe, Luxembourg, 2012, 38. <https://www.cedefop.europa.eu/files/5520_en.pdf> [10.03.2022].

[437] Ibid.

[438] *Lettmayr C, F.,* European Centre for the Developmentof Vocational Training., RESEARCH PAPER, No 20, Loans for vocational education and trainingin Europe, Luxembourg, 2012, 38. <https://www.cedefop.europa.eu/files/5520_en.pdf> [10.03.2022].

[439] Ibid; 38-39.

საყოფაცხოვრებო შემოსავლის შეფასება. სტუდენტური სესხის მსურველებმა უნდა უზრუნველყონ დამაჯერებლობა, იმის დამტკიცება, რომ კარიერული წინსვლისთვის ესაჭიროებათ მათ სტუდენტური სესხი.[440]

## 4.13. საცალო სესხი

საცალო სესხი (სსკ-ის 623-628-ე მუხ.) ცალმხრივ ხელშეკრულებად უნდა შეფასდეს, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს იმგვარ მდგომარეობას, როდესაც ერთ მხარეს აქვს მხოლოდ უფლება, მეორეს კი – ვალდებულება.[441] საცალო საბანკო მომსახურება გულისხმობს სამომხმარებლო, იპოთეკური სესხების, ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათების/პროდუქტების გაცემას, ასევე ფულადი გზავნილების და ანგარიშსწორების მომსახურებას, იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების მართვას; საცალო საბანკო მომსახურება ასევე მოიცავს პრემიალურ სეგმენტს და საცალო მომსახურების ბაზრებს, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებსა და მიკრობიზნესებს.[442]

ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებით,საცალო სესხზე შესაძლებელია გადახდის ისეთი მოქნილი გრაფიკი შედგეს, რომელიც მსესხებლის შემოსავლის პირდაპირპროპორციული იქნება.[443] სესხზე საშეღავათო პერიოდის დაწესება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მსესხებლის/თანამსესხებლის შემოსავლების/ხარჯების დაგეგმვის საჭიროებით არის განპირობებული. საშეღავათო პერიოდი, სესხზე ჯამურად, 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. სწორედ ამ პაკეტის მეშვეობით ხდება ბანკ(ებ)ის მხრიდან მომხმარებლებისთვის ერთგვარი აქციების შეთავაზება: სესხის გააქტიურებიდან აქციით განსაზღვრული თვეების შემდეგ, ხდება პირველადი შენატანის განხორციელება.

---

[440] Ibid; 40.

[441] იხ. *ძლიერიშვილი ზ.,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 345.

[442] *ზაქაიძე მ.,* დაკრედიტების მექანიზმები და მათი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები (გზები), (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია GTUNI-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2020, 37.

[443] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, 13/03/2020, ვებგვერდი 17/03/2020.

# თავი V. სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია

## 5.1. სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია, როგორც ეფექტური გადახდევინების და ვადამოსულ მოთხოვნათა გამარტივებული წესით აღსრულების მექანიზმი

სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია, მხარეთა ორმხრივი ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის ეფექტური საშუალებაა, რამდენადაც მსგავსი ტიპის აქტი წარმოადგენს „მხარეთა შორის შეთანხმების უტყუარ მტკიცებულებას.“[444] კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში,[445] მაღალია ამ სერვისით მოსარგებლეთა ინდექსი.[446]/[447]/[448] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია გამომდინარეობს ნოტარიუსის მიუკერძოებლობისგან, რითაც განსხვავდება ადვოკატისგან,[449] რომელიც არსით მიკერძოებულთა რიცხვს ეკუთვნის“.[450]/[451] ნოტარიუსი წარმოადგენს მხარეთა და არა რომელიმე მხარის ნდობით აღჭურვილ პირს,[452] მაგრამ ადვოკატებისგან განსხვავებით, რომლებიც ცდილობენ უპირატესობა საკუთარ კლიენტს მოაპოვებინონ,[453] ნოტარიუსი კანონის ადვოკატის

---

[444] იხ. *შვახტგენი ა.*, ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების საკეთილდღეოდ, ტყებუჩავა მ., *(მთარგ.).*, ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, თბ., 2002, 6.

[445] კერძოსამართლებრივია პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელშიც ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზება უზრუნველყოფილია სხვა პირის შესატყვისი ბოჭვით., ვრცლად იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 334.

[446] საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 18 ნოემბრამდე, დამოწმებულია 30929 სესხის ხელშეკრულება. ***(იხ. დანართი „1“).***

[447] იხ. *ლაფაჩი ე.*, უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, დის., თბ., 2016, 159 („სანოტარო ფორმა ამაღლებს გარიგების სანდოობის ხარისხს“).

[448] იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 196. (მხარეთა ურთიერთობაში შეაქვს გამჭვირვალეობა გარიგების დადების წესსა და გარიგების შინაარსის საკითხებთან დაკავშირებით).

[449] შეად. *ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ.*, პროფესია – ადვოკატი., GIZ, თბ., 2018, 6. (ადვოკატი მარწმუნებლისთვის იურიდიული რჩევის მიმცემი პირია, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კლიენტის იურიდიულ ბედს).

[450] *დეკერსი ე.*, სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები, ჟურნ., „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, სექტემბერ-დეკემბერი, *კუპრავა რ.*, (თარგ), *ზოიძე ო., (რედ)*, თბ., 2001, 7-8.

[451] *Sharma B.,* Difference Between Advocate and Notary Public-with Definition, Position, Registration., 2021 <https://www.legaltaxguru.com/difference-between-advocate-and-notary-public/> [14.03.2022].

[452] *Hennadiiovych O.Y.*, NOTARIAT IN THE LAW OF EUROPEAN COUNTRIES: PART I – HISTORICAL REVIEW., 2015, 175-179 (***“Notary is a son of Themis who fairly tends towards balance between public and private interest”).***

[453] შეად. *ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ.*, პროფესია – ადვოკატი., GIZ, თბ., 2018, 31. (ადვოკატის პროფესიული უნიკალურობიდან გამომდინარე კლიენტთან მისი ურთიერთობა რთულ და მნიშვნელოვან პროცესად ითვლება... პროფესიონალი ადვოკატების საქმიანობის ერთ-ერთ „ოქროს წესს“ წარმოადგენს ფაქტებზე მუშაობა და მათი ზედმიწევნით ცოდნა, ფაქტების კანონიერი სახე და მათგან გამომდინარე მოთხოვნის დასაბუთებულობა გადამწყვეტია და ეფექტურიც).

როლში გვევლინება, რომელიც კონტრაქტის ორივე მხარის ინტერესებს თანაბრად იცავს, თუმცა ასევე არ ერევა კონტრაქტში კლიენტის კომპეტენციაში, ანიჭებს არჩევანის თავისუფლებას, თავისუფალი მოქმედების საშუალებას საკანონმდებლო ჩარჩოში.[454] უფრო მეტიც, გერმანული დოქტრინით, ნოტარიუსი მხარეებს გამოვლენილ ნებასთან დაკავშირებით რჩევასაც აძლევს[455] და ეს რჩევა მხარეთა ორმხრივი ინტერესების დაცვისკენაა ორიენტირებული. ნოტარიუსი ნეიტრალური იურისტია,[456]/[457] მხარეთა ბუნებრივი კონსულტანტი,[458] საჯარო და კერძო სამართლის შუამავალი რგოლი, ურთიერთობათა დამაბალანსებელი და ქაოსიდან წესრიგისკენ[459] მიმართული პირი, რომელიც „ხელშეკრულების სწორად დადებას უზრუნველყოფს“.[460] სწორედ ამ მიზეზით, სამართლებრივი დოქტრინა ნოტარიუსებს უწოდებს „იურიდიული მშვიდობის შემნარჩუნებელ მოსამართლეებს,[461] რომლებიც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით[462] ინოვაციურ მომსახურებას ნერგავენ.[463]/[464]/[465] „ამგვარად, ნოტარიუსს, რომელიც გამოდის

---

[454] *ხარიტონაშვილი ნ.*, სანოტარო სამართალი, თბ., 2021, 32.

[455] *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 300. ციტირ. *კიკაბიძე გ.*, ფორმის ფუნქცია შრომის სამართალში, უპირატესად ხელშეკრულების მაგალითზე., ჟურნ., „შრომის სამართალი” (სტატიათა კრებული), № III, თბ., 2014, 240.

[456] იხ. სქოლიო „452“.

[457] „კვალიფიციური მიუკერძოებელი იურისტი“ იხ. *დეკერსი ე.*, სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები, ჟურნ., „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, სექტემბერ-დეკემბერი, *კუპრავა რ., (მთარგ.), ზოიძე ო., (რედ)*, თბ., 2001, 10.

[458] *პეპენი პ.*, სანოტარო აქტების მიმოქცევა და მათი მნიშვნელობა სამართლებრივ სფეროში, *რ. კუპრავა, (მთარგ.)*,ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, № 3-4., თბ., 2003, 9.

[459] ციტირ. ლიტ-რა: *ჭადაშვილი თ.*, ნოტარიუსი – დამატებითი ფორმალობა თუ ხელშეკრულების მხარეთა ინფორმირებულობისა და თანასწორობის გარანტი? (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2012, 35-36, იხ. ორიგ., Statutes of the UINL, Approved by the General Meeting on 2 October 2007.

[460] *ფრაი კ., სირდაძე ლ.*, სათაურები ქართულ და გერმანულ სანოტარო მოწმობებში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, №12, თბ., 2020, 33.

[461] იხ. *გოგოლაძე მ., მარიამიძე გ.*, სანოტარო სამართალი, წიგნი I, თბ., 2016, 59. (ნოტარიუსთა საქმიანობა ასევე მოიცავს სასამართლოს მსგავსი ფუნქციის შეთავსებას, როდესაც მხარეები არ დაობენ); *გოგოლაძე მ.*, ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან., სამეცნ. ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, მარტი, №1, თბ., 2014, 24-25.

[462] *Gassen D.*, A system of trust: German civil law notaries and their role in providing trust worthy electronic documents and communications, Digital Evidence and Electronic Signature Law Review, previously the Digital Evidence Journal., 3 (2006), 69-72.

[463] Организация и роль нотариата во Франции, Chambre des Notaires de Paris., Juin 2013, 5. <https://paris.notaires.fr/sites/default/files/plaquette_chambre_2013_traduction_russe_ru.pdf> [28.03.2022].

[464] ვრცლად იხ. *Glen-Peter Ahlers Sr.*, The Impact of Technology on the Notary Process, 31 J. Marshall L. Rev. 911 (1998), 911-925.

[465] 2022 წლის უახლესი ცვლილებით, მოქალაქეებს ონლაინ სანოტარო მომსახურების მიღება მობილური აპლიკაციის საშუალებით შეეძლებათ, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სასარგებლო ფუნქციონალი -

„კერძო მოსამართლის“ როლში, შეუძლია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონსულტაციის გაცემითა და სანოტარო აქტის შედგენით,[466] არამედ მხარეთა შორის დავის არსებობისას გამოვიდეს არბიტრის [მედიატორის] როლშიც“.[467/468] ნოტარიუსი „ვალდებულებათა დამარეგულირებელია. მისთვის მიუღებელია, რომ გამოცდილებამ და ცოდნამ რომელიმე მხარეს ისეთი უპირატესობა მიანიჭოს, რაც საზიანო იქნება მეორე მხარისათვის. ნოტარიუსის მიუკერძოებლობისათვის წონასწორობა უფრო დამახასიათებელია, ვიდრე ნეიტრალურობა, რომელიც შეუთავსებელია სანოტარო საქმის ნდობის პრინციპთან“.[469] ნეიტრალურობისა და წონასწორობის პრინციპთა დაცვით, ნოტარიუსი მხარეთა ორმხრივი ინტერესის თანაბარზომიერ დამცველად გვევლინება, რომელიც „შემდგომი დავების თავიდან აცილების მიზნით, ვალდებულია მიიღოს დაბალანსებული გადაწყვეტილება“,[470] რაც მეტად რთული საქმეა.[471] ნოტარიუსს, მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში დამოუკიდებლობისა[472] და მიუკერძოებლობის გარკვეული გარანტია აქვს მინიჭებული. კომენტატორულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ამ გარანტიით სარგებლობას დიდწილად ნოტარიუსის საქმიანობის სასყიდლიანი

სანოტარო ბიუროების რუკა, ნოტარიუსების სამუშაო გრაფიკი. <https://www.notary.ge/geo-6220-notariusta-palatam-notariusebis-saerto-kreba-chaatara> [28.03.2022].

466 „ნოტარიუსი რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის შესაბამისად ითვლება საჯარო ნდობით აღჭურვილ პირად, რადგან იგი ასრულებს საჯარო ნდობის მისიას – მინდობილი აქვს საჯარო უფლებამოსლების განხორციელების უფლებამოსილება“. (იხ., *მიგრიაული რ.,* გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე., ქართული კერძო სამართლის კრებული., წიგნი I., თბ., 2004, 179).

467 *Fedorenko N.V., Denisenko S.V., Sukhovenko A.V., Dzyuba L.M.,* Comparative Legal Analysis of Mediation in Russia and the EU, European Research Studies, Vol., XX, Issue 1, 2017, 94. ვრცლად იხ. სანოტარო მედიაციაზე., *ხარიტონაშვილი ნ.,* მედიაცია ქართულ ნოტარიატში, ჟურნ. „წელიწდეული“, სპეციალური გამოცემა., დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, თბ., 2018-2019, 7-30.

468 *შვახტგენი ა.,* ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების საკეთილდღეოდ, ტყებუჩავა მ., *(მთარგ.),* ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, თბ., 2002, 8.

469 *დეკერსი ე.,* სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები, ჟურნ., „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, სექტემბერ-დეკემბერი, კუპრავა რ., (თარგ), *ზოიძე ო.,* (რედ), თბ., 2001, 10.

470 *ხარიტონაშვილი ნ.,* სანოტარო სამართალი, თბ., 2021, 23.

471 იხ. *ბიჭია მ.,* პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, დის., თბ., 2012, 123.

472 ამ შემთხვევაში, ნოტარიუსის და ადვოკატის პროფესია, დამოკიდებლობის პრინციპთან მიმართებით იდენტურია., (ვრცლად იხ. *ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ.,* პროფესია – ადვოკატი., GIZ, თბ., 2018, 31, 41, 45; „ადვოკატის პროფესიული უნიკალურობიდან გამომდინარე კლიენტთან მისი ურთიერთობა რთულ და მნიშვნელოვან პროცესად ითვლება; დამოუკიდებლობის პრინციპი ერთ-ერთი რთულად შესანარჩუნებელი და მთავარი პროფესიული ფასეულობაა, რომელიც ვლინდება ადვოკატის პრაქტიკული საქმიანობისას“).

ხასიათი განაპირობებს, რადგანაც იგი უფლებამოსილია, მხარისაგან (მხარეებისაგან) მოითხოვოს მომსახურების კანონით დადგენილი ანაზღაურება.[473]

სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაციას აქვს უპირატესობა[474] ზეპირ თუ წერილობით დადებულ ტიპურ ხელშეკრულებასთან მიმართებით, ვინაიდან „ნოტარიულ დამოწმებას ფაქტების მტკიცებულების როლი აკისრია“.[475]/[476]/[477] თუკი მხარეები დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზას იმავე სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ, ვადამოსულ ფულად მოთხოვნათა[478] დაკმაყოფილება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით მოხდება,[479]/[480] რომელიც „დამოუკიდებლად

[473] იხ. *ბურდული ი.*, სანოტარო ბიუროს ფინანსებისა და ნოტარიუსის შრომის ანაზღაურების საკითხისათვის, „სამართლის ჟურნალი“ №2, თბ., 2011, 35-36.

[474] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხ. საფუძველზე, „სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს უდავო მტკიცებულებითი ძალა გააჩნია“. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/22036-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[475] *ლაფაჩი ე.*, უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, დის., თბ., 2016, 159.

[476] სანოტარო დამოწმების ფუნქციებია: პროფილაქტიკის ფუნქცია; ნაჩქარევობისაგან დაცვის ფუნქცია; მტკიცებითი ფუნქცია., *Baur/Stürner, Sachenrecht, Mün.*, 1999, S. 154. ასევე; *Soergel, Kommentar zum Bgb, Band* 2/1, 1986, S. 1034-1035, ციტირ. ლიტ-რა: ლაფაჩი ე., უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, დის., თბ., 2016, 160.

[477] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/22036-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში. (საქმეში მოსარჩელე უთითებდა, რომ *ხელშეკრულების გაფორმების დროს, მას არ ჰქონდა საშუალება სრულყოფილად გაცნობოდა მის შინაარსს, ტექსტი დაბეჭდილი იყო წვრილი ტექსტით*, შესაბამისად, მიაჩნია, რომ ის მოატყუეს და სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებას წარმოადგენს, რაზეც სასამართლომ განმარტა: *„გარიგება დაიდო ნოტარიუსის თანდასწრებით ნების გამოვლენით. სადავო ხელშეკრულება საჯარო აქტის ფორმით დაიდო. საჯარო აქტის ფორმით გარიგების დადება კი, ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების მონაწილე მხარისთვის გარიგების შინაარსისა და მისი თანმდევი შედეგების განმარტებას ნიშნავს“.*

[478] ყოველი ხელშეკრულება იდება იმ წინაპირობით, რომ არსებული გარემოებები უცვლელი იქნება მოთხოვნის ვადამოსულობის მომენტისთვისაც, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ბათილია, *Finkenauer*, in Münchener Kommentar zum., BGB 8. Aufl. 2019, & 313 Rn. 20. ციტირ. ლიტ-რა: Publikationen zur rechtlichen Zusammenarbeit – „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, №3/2020, 79. *ქავშბაია ნ.*, ფულადი ვალდებულებისგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“ №3/2020, 77-80.

[479] *სუხიტაშვილი დ.*, სანოტარო სამართალი, თბ., 2012, 308. ასევე., ციტირ. ლიტ-რა: *ლეონიძე ი., ნუცუბიძე მ.*, სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის თავისებურება ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა., ჟურნ. „წელიწდეული“, თბ., 2018-2019, 105.

[480] <https://www.notary.ge/geo-263-notariusis-mier-saagsrulebo-furclis-gacemis-areali-gafartovda> [28.12.2022].

წარმოადგენს აღსრულების დაწყების საფუძველს და შესაბამისად, მის საფუძველზე დამატებითი დოკუმენტის გაცემა არ ხდება“.[481]/[482]

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელმა კრედიტორული მოთხოვნის გამარტივებული წესით უზრუნველმყოფი საშუალება განსაზღვრა და უფლებამოსილების ეს პაკეტი ნოტარიუსს გადასცა, რითაც არა მხოლოდ სასამართლო ინსტიტუცია, არამედ სააღსრულებო ორგანო განტვირთა.[483]

ნოტარიუსებისთვის რიგი კომპეტენციის გადაცემით უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები სასამართლოებისა და მთავრობების განტვირთვისთვის და ეს ინსტიტუტი შეიქმნა ისეთი სოციალური ფუნქციისთვის, როგორიცაა კონფლიქტების პრევენცია.[484]

სააღსრულებო ფურცლის მოპოვება სწრაფი პროცესია,[485] რომელიც მხარეებს ფინანსურ დანახარჯებს უმსუბუქებს.[486]/[487] ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თავისებურება იმაში ვლინდება, რომ „სწორედ აღსასრულებლად მიქცევის ამ პროცესს მოაქვს უშუალო სამართლებრივი შედეგი – კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად შესაძლებელი ხდება მოვალის ქონებიდან იძულებითი აღსრულების განხორციელება“.[488] ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი,[489] რომელიც უნდა შესრულდეს ნოტარიატის კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო

---

[481] *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის“ კომენტარი, ნაწ. I, თბ., 2018, 30.
[482]რეკომენდაციები სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებით, <http://notary.cloud.gov.ge/res/docs/shida/menu/saagsruleblo_furtslis_gacema.pdf> [28.12.2022].
[483] *Uitdehaag J.,* The activities of the Dutch enforcement agent, Netherlands, October 2014, 19.
[484] *ხარიტონაშვილი ნ.,* სანოტარო სამართალი, თბ., 2021, 31.
[485] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა., ჟურნ. „წელიწდეული“, *ბურდული ი.,* (რედ.), 2013, 94. <http://ewmi-prolog.org/images/files/2879ADR_2013.pdf>
[486] აღსრულების პროცესის ხარჯთეფექტურობაზე იხ. პრინციპი III.3, ციტირ. ლიტ-რა: *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 130.
[487] იხ. *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 263.
[488] *გოთუა ლ.,* უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება, დის., თბ., 2009, 14.
[489] იხ. *მახათაძე ნ.,* ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები., ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“., №3(71), თბ., 2021, 58-72.

დოკუმენტია, რომელიც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამრიგად, ნოტარიატის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სანოტარო ორგანოების მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესრულება.[490]/[491]

ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლება მინიჭებული აქვს კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებს: გერმანიას,[492] საფრანგეთს,[493] ბელგიას,[494] პორტუგალიას,[495] ესპანეთს,[496] იტალიას.[497]/[498]/[499]

საქართველოში, 2010 წლის 7 დეკემბრის ცვლილებ(ებ)ითა და დამატებ(ებ)ით, ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლება მიენიჭა, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გადაიქცა აღსასრულებლად სავალდებულო აქტად.[500] რამდენადაც სააღსრულებო ფურცლის აღება მინიმალურ ფინანსურ დანახარჯს

---

[490] იხ. *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის“ კომენტარი, ნაწ. I, თბ., 2018, 56-57.

[491] საქართველოს კანონი, „ნოტარიატის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 46,22/12/2009, მუხ. 42, 04/12/2009.

[492] გერმანიაში სააღსრულებო ფურცელი გაიცემა დამატებითი განხილვების გარეშე., *Wolf C.R.,* Real-estate property Law Germany, Key Aspects of German business law, a practical manual, *Michael Wendler* (ed) 4, ed., Berlin, Heidelberg, Springer 2008, 284. დაუშვებელია საცხოვრებელი სადგომიდან წარმოშობილი მოთხოვნების ან მოთხოვნის დათმობის შემთხვევებში გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

[493] ვრცლად იხ. *Hall E.G.,* The Common Law and Civil Law Notary in the European Union: A Shared Heritage and an Influential Future? 2015, 8. <https://notaryinstitute.ie/European-Union-and-the-Notary.pdf> [28.03.2022].

[494] *Verboven F., Yontcheva B.,* Private Monopoly and Restricted Entry – Evidence from the Notary Profession, October 2021, 7. <https://www.oecd.org/economy/reform/Private-Monopoly-and-Restricted-Entry-Evidence-from-Notary-Profession.pdf> [18.03.2022].

[495] *Tavares A., Vilela R.M.,* from civil servants to liberal professionals: An empirical analysis of the reform of Portuguese notaries., 2013, 1-18. (“Contrary to most countries in continental Europe, notaries in Portugal were public officials subject to civil service laws and not liberal professionals. This rather unique status can be traced back to feudal relationships and is “based on the assumption that what needs to be protected by statutory measures are not the rights of the individuals but the rights of the state. This civil service status characterized notaries during the dictatorship of A. O. Salazar (1926-1974) and remained largely unchanged until 2004”).

[496] Notaries Organisation, functions and tasks, <https://e-justice.europa.eu/29/EN/types_of_legal_professions?SPAIN&member=1> [04.01.2022].

[497] *თევზაძე ნ.,* იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი გზები (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში)., თბ., 2018, 44.

[498] *Molen P.,* Land registration and cadaster in selected European countries, Austria, Bulgaria, Croatia, Hungary, Netherlands, Serbia, ed. By (Center of Legal Competence), 2009, 194.

[499] *მახათაძე ნ.,* ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები., ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“., №3(71), თბ., 2021, 58-59.

[500] ვრცლად იხ. *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 203.

უკავშირდება,[501] პროცესის მონაწილე კრედიტორისა თუ მოვალისთვის, ის არ შეიძლება იქცეს ტვირთად. ამ ჰიპოთეზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაცულია ძალთა თანასწორობის (თანაფარდობის, ბალანსის) პრინციპი და მხარეთა ორმხრივი ინტერესის დაცვა-აღსრულებისას კანონმდებელს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს – როგორც კრედიტორის, ისე სუსტი მხარის სასარგებლოდ.

შუალედური დასკვნისთვის „ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების მინიჭება საკმაოდ წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს“,[502] ვინაიდან ეს ინსტიტუტი დარღვეული უფლებების სწრაფად აღდგენის ვარიაციაა.

## 5.2. სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია აღსრულების ეროვნულ ბიუროში (მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი)

„მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა, სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა, რომელიც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს გამოხატულებას“.[503] ამ პროცესში, ცენტრალური ადგილი სააღსრულებო წარმოებას უკავია, აღნიშნული დებულება განმტკიცებულია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით.[504]

---

[501] სანოტარო მოქმედებათა შესრულების საზღაურიდან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცლის ნაწილში კანონმდებელმა განსაზღვრა 100 ლარი (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილება „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობა, 29/12/2011, ვებგვერდი 30/12/2011).

[502] *როსტიაშვილი მ.,* ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა., თბ., 2019, 38.

[503] *შმიტი შ., რიჰტერი ჰ.,* მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში., GIZ., თბ., 2013, 3.

[504] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის საქმე “Hornsby v. Greece”, <http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-58020&filename=001-58020.pdf>. [19.01.2022], სადაც ანალოგიურად აღნიშნულია, რომ „სამართლებრივი პროცესი უნდა ფოკუსირდებოდეს არა მხოლოდ სასამართლოზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე, არამედ აგრეთვე ეფექტიანი და ეფექტური აღსრულების სისტემის განვითარებაზე: სამართლებრივი პროცესი არ სრულდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გადაწყვეტილება მიჩნეულია სამართლიანად. ის აგრეთვე გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი.“ ვრცლად იხ. *უიტდეჰააგი ი.,* აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, თბ., 2017, 4.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას[505] მათივე ნების საფუძველზე იწვევს.[506] ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა,[507] რაც მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას განაპირობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი[508] მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს“.[509] საგულისხმოა, რომ „ერთმანეთისგან განსხვავდება ნება[510] და ნების გამოვლენა.[511] ნება თავის თავში გულისხმობს პირის სურვილს, განზრახვას განახორციელოს მოქმედება, რომელიც მიმართულია გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ, თუმცა, ამისთვის აუცილებელია ნების მატერიალიზება“.[512] ნება, როგორც უხილავი ფენომენი, გარიგების შინაგანი მხარე, საჭიროებს გამოვლენას, შინაგანმა, გარეგნულად გამოუხატავმა მდგომარეობამ თავის თავად არ შეიძლება წარმოშვას სამართლებრივი შედეგი. ნება სამართლებრივ მნიშვნელობას მხოლოდ გარეგნული მოქმედების შედეგად იძენს.[513]

---

[505] იხ. *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 62.

[506] *Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H.,* Der Sozialstaat in Deutschland und Europa, *Peter M. Huber* (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365.

[507] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №2/3498-18; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[508] ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია ხელშეკრულების პირობათა შეცნობადობის უნარი, ამისთვის კი, საჭიროა, რომ იგი აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის მოთხოვნებს; ვრცლად იხ. *ზოიძე ბ., ბურდული ი.,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები., თეორია, პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები., თბ., 2018, 39.

[509] სუსგ 2015 წლის 26 ოქტომბრის საქმე №ას-2135-შ-46-2015.<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017w-samoqalaqo-krebuli1.pdf> [20.01.2022]. ციტირ. ლიტ-რა: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე., 2017, 9; სუსგ 2015 წლის 23 თებერვლის საქმე №ას-1144-1090-2014, 13 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-mnishvnelovani-ganmarteba77.pdf> [20.01.2022].

[510] „ნება შინაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შემდეგ“. (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/22036-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

[511] იხ. *ქოჩაშვილი ქ.*, თავისუფლების შესახებ, მეტასამართლებრივი გააზრება, თბ., 2018, 64-65.

[512] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ლ. ტყემალაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[513] *Шершеневич Г.Ф.,* Учебник русского гражданского права, 7-ое изд., М.,1909, 100. ციტირ., *ქოჩაშვილი ქ.*, ნება და ნების გამოვლენა., „სამართლის ჟურნალი“ №2, თბ., 2016, 24.

აღსრულების ეროვნული ბიურო არც ერთ შემთხვევაში არ დაარეგისტრირებს სესხის ხელშეკრულებას, თუკი ხელშეკრულებაში არსებითი პირობები არაა განსაზღვრული:[514] მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელება, საიდენტიფიკაციო, სამისამართო და საბანკო რეკვიზიტები.[515]

### 5.2.1. სესხის ხელშეკრულების გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლი

ვალდებულებათა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შესრულების[516] ფაქტორი მოწმდება NBE-ს მიერ, რომელსაც კანონმდებლობით მიენიჭა რეგისტრირებულ სესხთა შესრულე-ბაზე მონიტორინგის უფლება, თანახმად სწშკ-ის $91^{19}$-$91^{22}$ მუხლებისა.[517]

ხელშეკრულების წარმოშობისთვის აუცილებელია მხარეთა ნების ავტონომიურობა დაცული იყოს,[518] რამდენადაც „ხელშეკრულება მიიჩნევა მხარეთა ნების დეკლარაციად და ასახავს ხელშემკვრელი მხარეების მიერ წინასწარ შეთანხმებულ პირობებს მათი ურთიერთობის არსებით მომენტზე, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს უფლება-მოვალეობათა წარმოშობაზე“.[519] ეს განპირობებულია მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის განუხრელი დაცვით, რომელიც ყველაზე აშკარად სწორედ ხელშეკრულების თავისუფლებაში დეკლარირდება.[520]/[521] იმის მიუხედავად, რომ სესხის ხელშეკრულების სარეგისტრაციო პროცედურა მატერიალური კანონმდებლობის პირმშოა და არა

---

[514] იხ. *ბაღიშვილი ე.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი., წიგნი III, *ჭანტურია ლ.,* (რედ), 2019, მუხ. 327, 2.
[515] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის $91^{19}$ მუხ. მე-2 პუნქტი, 1999, 02.08.2021 წლის მდგომარეობით <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=104> [20.01.2022].
[516] იხ. ვრცლად., სუსგ 2015 წლის 29 ივნისის საქმე №ას-1338-1376-2014; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
[517] საქართველოს კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 13(20), 01/05/1999, მუხ. $91^{19}$-$91^{22}$ , 16/04/1999.
[518] „ნების ავტონომია ყოველთვის იმ ფარგლებში ხორციელდება, რასაც დავის განმხილველი ქვეყნის სამართალი უშვებს; მხარეთა მიერ არჩეული სამართალი და lex causae – რომელიც გამოყენებულ იქნებოდა მხარეებს რომ სამართალი არ აერჩიათ. მხარეების მიერ სამართლის არჩევა, სწორედ, lex causae-ს ანაცვლებს“. (ნების ავტონომიაზე იხ. ვრცლად. *ოყრეშიძე გ.*, მხარეთა ნების ავტონომია სამართლის არჩევისას., ნაწ. II, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, №3/2021, თბ., 68-108.
[519] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2/29727-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[520] იხ. *ჭანტურია ლ., (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 57.
[521] იხ. *ოყრეშიძე გ.*, მხარეთა ნების ავტონომია სამართლის არჩევისას, ნაწ. I, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, – Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, თბ., №2/2021, 30.

პროცესუალურის,[522] სააღსრულებო კანონმდებლობაში დეტალურადაა გაწერილი ყველა ის დებულება, რომელთა გარეშე ფაქტობრივად ვერ მიიღწევა შეთანხმება. მართალია კანონმდებელმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ეფექტური ნორმების კონსტრუირება მოახდინა, კრიტიკის სახით მაინც უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის 12 ივნისს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, დასახელებული მუხლები პრაქტიკაში არ გამოყენებულა,[523] რაც იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ კანონმდებელმა ვერ უზრუნველყო იმგვარი სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც პრაქტიკაში იქნებოდა განსხეულებული.[524]

NBE-დან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, *„საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს აღსრულების ახალი კოდექსის განხილვა, რომლის ამოქმედების შემდეგ უწყება აამოქმედებს სერვისს, რომელიც გულისხმობს გამარტივებული წარმოების გზით ხელშეკრულების რეგისტრაციასა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეუსრულებელ ფულად ვალდებულებებზე გადახდის ბრძანების გამოცემას,*[525] თუმცა აღნიშნულის ნეგატიურ ან პოზიტიურ ჭრილში შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან სამსახურის ეფექტიანობის განსაზღვრებისთვის, უპირველესად, საჭიროა ჯერ კანონის ამოქმედება, შემდეგ პრაქტიკის დაგროვება, რაც საბოლოოდ გამოავლენს კოდექსის დადებით თუ ნაკლოვან მხარეებს. უფრო მეტიც, „აღსრულების კოდექსი“, რომელიც 2021 წლის 1 ოქტომბრიდან უნდა ამოქმედებულიყო,[526] ჯერაც საპარლამენტო სესიებზეა და მისი დამტკიცება ამ დრომდე არ მომხდარა.

### 5.2.2. „აღსრულების კოდექსის“ პროექტი

აღსრულების კოდექსზე მომუშავე კომისიის განმარტებით, აღსრულების კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 1999 წელს მიღებული „სააღსრულებო

---

[522] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „აღსრულების კოდექსი“. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856> [04.01.2022].

[522] იქვე.

[523] *იხ. დანართი „2”.*

[524] „აღსრულების კოდექსის“ პროექტშიც ამ საკითხის მომწესრიგებელი მუხ. (266-274) თითქმის იდენტურია მოქმედი ნორმის, რაც განპირობებულია კოდიფიკაციის პრინციპის განუხრელი დაცვით.

[525] იხ. სქოლიო „520“.

[526] იხ. „აღსრულების კოდექსის“ პროექტი, მუხ. 298, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> [04.01.2022].

წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი თანამედროვე გამოწვევებს ვერ პასუხობს.[527] ამასთან, „აღსრულების სფეროში არ არსებობს ერთიანი, სისტემატიზირებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობის, პროპორციულობის[528] და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე“.[529] აღნიშნული ჩანაწერი ცხადყოფს, რომ NBE-ს, წლების მანძილზე ბევრი ისეთი დილემა დაუგროვდა, რომლის რეგულირება ან პრაქტიკით, ან სასამართლო განმარტების მეშვეობით უწევდა.[530]

განსაკუთრებული ხაზგასმა „პროპორციულობაზე“ იმის დასტურია, რომ მოქმედი კანონისგან განსხვავებით, ახალი კოდექსი ძალთა თანაბრობაზე არის დაფუძნებული და კრედიტორულ-დებიტორული უფლებების თანაბარზომიერი დაცვის გარანტია. საბოლოოდ, კანონმდებელი აღიარებს მოქმედი კანონის ხარვეზს და ამ მიზნით აღსრულების სისტემის იმგვარი რეფორმირება სურს, რომელიც კერძო მოგების მიზნით მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსის დარღვევას გამორიცხავს და უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეფექტიან ჩართულობას საჯარო უფლებამოსილების/სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების დროს.[531] სწორედ ამიტომ, აუცილებელია აღსრულების სფეროში შეიქმნას ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას გაიზიარებს, და, ამასთან, აღსრულების მოქნილ და ეფექტიან სისტემას შექმნის.

აღსრულების კოდექსის პროექტის 267-ე მუხლის თანახმად, NBE იმ შემთხვევაში დაარეგისტრირებს სესხის ხელშეკრულებას, თუ მასში მითითებულია მხარეების/

---

[527] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „აღსრულების კოდექსი“. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856> [04.01.2022].

[528] პროპორციულობის პრინციპი მოვალისა და კრედიტორის ინტერესებზე ვრცელდება, მაგრამ იგი ასევე სააღსრულებო წარმოების პროცესში გატარებულ ზომებზეც შეიძლება ვრცელდებოდეს., იხ. *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.*, საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 102.

[529] იქვე. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856> [04.01.2022].

[530] „არსებობს სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრაქტიკული სახიათის პრობლემა, ხოლო კანონში წლების მანძილზე შეტანილი ცვლილებების სიმრავლის გამო გართულებულია კანონის და მისი შინაარსის აღქმადობა; კანონმა დაკარგა ფორმა და სტრუქტურა, რაც ართულებს მის გამოყენებას, როგორც აღმასრულებლების, ისე სააღსრულებო წარმოების მხარეთა მიერ“. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „აღსრულების კოდექსი“. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856> [04.01.2022].

[530] იქვე.

[531] <https://socialjustice.org.ge/ka/products/aghsrulebis-kodeksis-proekti-satanado-satskhovreblis-uflebriv-standartebs-ugulebelqofs> [04.01.2022].

წარმომადგენლ(ებ)ის დასახელება, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრები, მისამართი, მხარეთა საბანკო რეკვიზიტები; ამასთან, კოდექსის ახალი ჩანაწერით, ასეთი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მითითებას გადახდის ბრძანების გამოცემის შესახებ (შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის გადახდევინების შემთხვევაში); მნიშვნელოვანი დანაწესია სახელშეკრულებო ლიმიტთან მიმართებით, რომელიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1000 ლარს და „შეიცავდეს მითითებას, რომ მხარეები თანახმა არიან, გამარტივებული წარმოების განხორციელებისას, მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნეს ყადაღა მოვალის რეგისტრირებულ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე“.[532] იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წარმომადგენლის მეშვეობით იდება, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დარეგისტრირებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ხორციელდება ასევე NBE-ში რეგისტრაციით, რომელიც ხელშეკრულებების რეესტრს აწარმოებს და რომლის მონაცემები კონფიდენციალურია, კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა დაუშვებელია მისი გამჟღავნება, შესაბამისი ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე. ხელშეკრულებების რეესტრის წარმოების წესი იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.

მაშინ, როდესაც კანონმდებლობაში სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციის რამდენიმე მექანიზმია განსაზღვრული, NBE-ში ამ სერვისის დანერგვას კვლავ არ ექნება დიდი პერსპექტივა. ახალი აღსრულების კოდექსი მომხმარებელს პრაქტიკული კომპონენტის მქონე მუხლებს (ვერც სერვისს) ვერ შესთავაზებს. უდავოა, რომ სესხთან დაკავშირებული ოპერაციები პიროვნების ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც უკავშირდება,[533] ამდენად, სააღსრულებო ბიუროში სესხის რეგისტრაციას ქართველი მომხმარებელი ნაკლებად დათანხმდება, მით უფრო, როცა აღნიშნული სერვისისთვის არსებობს კანონით განსაზღვრული ალტერნატიული გზა, – ნოტარიუსი. NBE-ში სესხის ხელშეკრულების

---

[532] იხ. „აღსრულების კოდექსის“ პროექტი, მუხ. 267, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> [04.01.2022].

[533] კრედიტთან დაკავშირებული პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ფაქტორები ვრცლად იხ. *Turton J., Gill, A., Harrald, P., & Demuth, E.,* A Review of the Psychological Factors Affecting the Acquisition and Outcomes of Credit, 2021; *Dhami S., Arshad J., Al-Nowaihi A.,* Psychological and Social Motivations in Microfinance Contracts: Theory and Evidence, §18 October 2019.

რეგისტრაცია იმთავითვე ბარიერი იქნება, ვინაიდან ხელშეკრულების მხარეს ექნება მოლოდინი, რომ ბიუროს მკაცრი მონიტორინგის საფუძველზე, გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში გამოიცემა გადახდის ბრძანება, რაც გამოიწვევს მოვალის სახელზე არსებული საბანკო ანგარიშებისა თუ უძრავ-მოძრავი ქონებების დაყადაღებას.

### 5.2.3. სასესხო ვალდებულებიდან წარმოშობილ საქმეებზე გადახდის ბრძანების გამოცემის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

გამარტივებული წარმოების შედარებით-სამართლებრივი კვლევისას,[534] აუცილებელია მიმოვიხილოთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ 2002 წლიდან **საფრანგეთი**[535] რამდენიმე ტიპის გამარტივებულ წარმოებას იცნობდა, რომლებმაც 2014 წლამდე იფუნქციონირეს და შემდგომში კვლავ მოდიფიცირდნენ.[536] მაგ., დაჩქარებული წარმოება გადახდასთან და ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებული ორდერების შემთხვევაში. დაჩქარებული წარმოება ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, სადაც ვალდებულება არ წარმოადგენს სერიოზულ დავის საგანს (მუხ. 808.), რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარეს (ან დელეგირებულ მოსამართლეს) უფლება აქვს სასამართლოში თანხის გადახდის შესახებ განკარგულება გასცეს. „ამგვარად, ხდება საქმის წინასწარი მოგვარება, რაც ხშირად მთავრდება სამართალწარმოების ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დაწყების ხელის შეშლით და შესაბამისად, წარმოადგენს დე-ფაქტო საბოლოო გადაწყვეტილებას“.[537]

---

[534] „ინტეგრაციის პროცესების გაძლიერების პარალელურად, იზრდება შედარებითი სამართალმცოდნეობის როლი, რომლის ობიექტადაც სხვადასხვა ქვეყნის მსგავსი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები გვევლინება“. ვრცლად იხ., *ღლონტი გ., ღლონტი ა.,* სამეცნიერო კვლევის მეთოდები, სადოქტორო დისერტაციის მომზადების სტანდარტები., თბ., 2017, 55.

[535] *Elliott C., Jeanpierre E Vernon C.,* French Legal System, Pearson, 2006, 89-90, 173; *Cadiet L.,* Civil Procedure' in Introduction to French Law, ed. *Bermann G., Picard E (Kluwer,* 2008, 311. See also Art. 847-4(1) of the French Code of Civil Procedure; Loi no 2011-1862 du 13 décembre 2011 relative à la répartition des contentieux et à l'allègement de certaines procédures juridictionnelles (JORF n°0289 du 14 décembre 2011 page 21105; Loi n° 2012-1441 du 24 décembre 2012 relative aux juridictions de proximité (JORF n°0300 du 26 décembre 2012).

[536] The monetary threshold has been set at €4 000. Cases are heard by a single judge and there is no possibility of appeal to a higher court. Jurisdiction is vested in special 'Neighbourhood Courts' (juridictions de proximité) staffed not with professional career judges, but by other persons with a knowledge of the law, such as lawyers, retired judges, lecturers in law or civil servants, who are appointed for a period of seven years, and after following a five-day training course. (See., §495a ZPO. *Mayer H.P., Lindemann J., Haibach G.,* Small Claims Verordnung (C.H. Beck 2009, 9-11., para. 55. Münchener Kommentar zum ZPO (4th ed., 2012), ad §495a.

[537] CEPEJ, ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრი ქვეყნის მიერ მიღებული სტრუქტურული ზომები სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გაუმჯობესების მიზნით, სტრასბურგი 2016 წლის 7 დეკემბერი CEPEJ (2016) 14, 26-27. <https://rm.coe.int/good-practice-guide-echr-art-13-geo/16809a626b> [08.03.2022].

***იტალიაში,*** როდესაც საქმე განსაკუთრებული სირთულით არ ხასიათდება, კანონი ითვალისწინებს გამარტივებულ სამართალწარმოებას, რომელიც განსხვავდება ე.წ. „ჩვეულებრივი“ სამართალწარმოებისაგან (702-bis ff). ***შვეიცარიაში,*** სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაჩქარებულ პროცედურას „მკაფიო და აშკარა საქმეებისთვის“, ან როდესაც „საქმის ვითარება არ წარმოადგენს დავის საგანს ან [თუ] სავარაუდოდ დაუყოვნებლივ უნდა დამტკიცდეს“ და „სამართლებრივი ვითარება ნათელია“ (257 CPC). გარდა ამისა, კანონი „ვალის აღსრულების და გაკოტრების შესახებ“ საშუალებას აძლევს კრედიტორებს დაჩქარებული პროცედურის მეშვეობით მიიღონ სამართალწარმოების აღსრულების გაგრძელება, მიუხედავად მოვალეთა უარისა, შეასრულონ გადახდის ბრძანება (მუხ. 80-83 LP40).[538] ***ნიდერლანდებში,*** დაჩქარებული წარმოება (Kort geding) სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე, რომელიც საფრანგეთის სისტემის ანალოგიურია, დავების უმეტესობის გადასაწყვეტად გამოიყენება (მუხ. 289). ეს ინსტიტუტი 1991 წლიდან არსებობს, კანონმდებლობას დადგენილი აქვს გამარტივებული წარმოების სტანდარტები, რომელიც კვლავ მცირე საჩივრებთან კავშირშია.[539] თავდაპირველად, ეს ბარიერი 5000 ევროს შეადგენდა, მაგრამ 2011 წლიდან, იგი 25000 ევრომდე გაიზარდა,[540] განსხვავებით ***გერმანიისგან,***[541] სადაც ადგილობრივი სასამართლო უფლებამოსილია ყოველგვარი გართულების და ბარიერების გარეშე, გამარტივებული წარმოების წესით, სწრაფად განიხილოს დავის ის კატეგორია, სადაც მოთხოვნის თანხა 600 ევროზე ნაკლებია.

***სლოვაკეთში,***სამართალწარმოების ფარგლები სასამართლო ბრძანებების მიღებასთან დაკავშირებით გაფართოვდა და მოიცვა ოპერაციის განხორციელების ბრძანებები ან ბრძანებები არასამართლებრივი ქმედების შეწყვეტის შესახებ.[542] ამ ქვეყანაში, ისევე,

---

[538] იქვე. 26-27.

[539]*Kramer X. E., and Ontanu E. A.,* The Functioning of the European Small Claims Procedure in the Netherlands: Normative and Empirical Reflections, Nederlands Internationaal Privaatrecht 3/2013, 320; *Mayer* et al., Small Claims...18-20.

[540]*Mańko R.,* European Small Claims Procedure, Legal analysis of the Commission's proposal to remedy weaknesses in the current system, In Depth Analysis Eprs, European Parliamentary Research Service, Nov. 2014, PE 542.137, 6.

[541] იხ. ვრცლად: §495a ZPO. *Mayer H.P, Lindemann J, Haibach G,* Small Claims Verordnung (C.H. Beck 2009, 9-11., para. 55. Münchener Kommentar zum ZPO), 4th ed., 2012, ad §495a.

[542] *Mańko R.,* European Small Claims Procedure, Legal analysis of the Commission's proposal to remedy weaknesses in the current system, In Depth Analysis Eprs, European Parliamentary Research Service, Nov. 2014, PE 542.137, 6.

როგორც ***სლოვენიაში,***[543] დაჩქარებული სამართალწარმოება სტანდარტულად ნაკლებად მნიშვნელოვანი დავების გადასაწყვეტად შემოიღეს. ***საბერძნეთში***[544] ფართო გამოყენება აქვს რეგულაციას, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამართალწარმოებაზე გამოუცხადებლობა ბრალის აღიარებად მიიჩნევა.

რაც შეეხება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებულ წარმოებას ***საქართველოში,*** **გამარტივებული წარმოების საერთაშორისო პრაქტიკის იმპლემენტაცია და ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანის ექსპერიმენტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.**

სტატისტიკურად, ზემოხსენებულ ინსტიტუტს, ბოლო წლების მანძილზე ყველაზე მეტი პრაქტიკა დაუგროვდა. 2019 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით, გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურში შევიდა 7574 განაცხადი; აღნიშნულ პერიოდში დასრულებული საქმეებიდან, ნებაყოფლობით 10 დღის ვადაში, გადახდა განხორციელდა 47 საქმეზე, ხოლო 838-ზე დამტკიცდა მორიგება. შედარებისთვის, 2020 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით, გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურში დარეგისტრირდა 5267 განაცხადი; 3 თვის განმავლობაში გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურმა დაასრულა 4799 საქმე; აღნიშნულ პერიოდში დასრულებული საქმეებიდან, ნებაყოფლობით 10 დღის ვადაში, გადახდა განხორციელდა 51 საქმეზე, ხოლო 703-ზე დამტკიცდა მორიგება.[545] ეს ინსტიტუტი, როგორც დარღვეული უფლებების დროული და სწრაფი აღდგენის ვარიაცია, თავისი სპეციფიკური ბუნების გამო, მეტ შესწავლას საჭიროებს, რადგან დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებაა, რომელსაც სამართლებრივი პრაქტიკის სწორად განვითარება შეუძლია.

---

[543] Ibid.

[544] Ibid.

[545] იხ. სტატისტიკები ოფიციალური ვებგვერდიდან <http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=1&lang_id=GEO> <http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8449>,<http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8669> [16.02.2022].

### 5.2.4. სასესხო ვალდებულებიდან წარმოშობილი პირგასამტეხლოს დარიცხვის/შეწყვეტის წინაპირობა გადაწყვეტილებათა აღსრულებისას

მართლმსაჯულების სისტემის ხელშეწყობისა და ჰარმონიზაციის მიზნით, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლო, საარბიტრაჟო თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება. სხვაგვარად, "Ubi jus, ibi remedium"-ის[546] ლათინური შესატყვისი ეხმიანება ზემოაღნიშნულს: „არ არსებობს უფლება, თუ არ არსებობს მისი ეფექტური აღსრულების მექანიზმი". გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონის სხვადასხვა ნორმებით, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს, გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება.

სამართლებრივ სახელმწიფოში, სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია დამატებითი ბერკეტის არსებობა, რომელიც გადაწყვეტილების სავალდებულოობას დააკანონებს.[547] ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ „მხარეს შესაძლოა სჭირდებოდეს სავალდებულო გადაწყვეტილება, რომელიც იქნება აღსრულებადი".[548] სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნას უფლების აღიარება, არამედ მოიცავს მართებულ მოლოდინს, რომ ეს გადაწყვეტილება აღსრულდება.[549] გადაწყვეტილება, როგორ წესი, დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ

---

546 „როცა კანონი უფლებას იძლევა, იგი ამავე დროს იძლევა მისი დაცვის საშუალებას.", *კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ.,* ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, *ჭანტურია ლ., ტაბიძე მ. (რედ.),* თბ., 2008, 86. ასევე., *ნადარეიშვილი გ.,* რომის სამოქალაქო სამართალი, III გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2009, 165; *Thomas A.T.,* Ubi Jus, Ibi Remedium: The Fundamental Right to a Remedy, The University of Akron, 2004; *Taliashvili T., Shamatava I.,* Recent Evolution of Intellectual Property Enforcement in Georgia TalTech Journal., TalTech Journal of European Studies, Tallinn University of Technology., Vol., 10, No. 2 (31), 2020, 44-45.

547 გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაცულ სფეროში შეიყვანა; იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის საქმე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ", (საჩივარი № 71503/01). <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/asanidze.pdf/> [28.03.2022].

548 *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.,* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 294.

549 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 28 თებერვლის საქმე "Apostol V. Georgia", განცხადება no. 40765/02. <https://www.legal-tools.org/doc/43104d/pdf/> [28.03.2022]. მართალია აღნიშნული საქმე სააღსრულებო მოსაკრებლის წინასწარ გადახდას უკავშირდება, თუმცა სასამართლომ ხაზგასმით

ვალდებულებებთან, რომელიც მოიცავს პირგასამტეხლოს (ჯარიმა-საურავს), ასევე მოთხოვნის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ სარგებელსა და პროცესუალურ ხარჯს, რომელიც დავის წარმოების პროცესში, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისთვის, იმთავითვე საჭირო ხდება.

სწორედ პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებას ვეხებით მოცემულ შემთხვევაში და განვიხილავთ ყველაზე მნიშვნელოვან ნორმას, რომლის დანაწესიდან გამომდინარე, სწშკ-ში დაშვებულია ხარვეზი, რომელიც საბოლოოდ გარკვეულ სირთულეს (ბარიერს) უქმნის პროცესის მონაწილე მხარეს და ახალი კოდექსის ამოქმედების შემთხვევაში, აუცილებელია ხარვეზის აღმოფხვრა. გადაწყვეტილების არსებობა ყოველთვის არ არის დაკავშირებული მისი აღსრულების შესაძლებლობასთან, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მოვალის ქონება საკმარისი არ არის.[550] განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა, რამდენადაც მოვალეს სურს თავი აარიდოს სანქციას ან საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მოთხოვნის ძირი თანხის გადახდას დათანხმდეს.

პირგასამტეხლოს დარიცხვისა და შეწყვეტის საკითხს არეგულირებს სწშკ-ის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ნორმის დისპოზიცია შემდეგნაირია: იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომლებითაც გათვალისწინებულია კრედიტორის მოთხოვნის ზრდა ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვის შედეგად, სააღსრულებო წარმოების დაწყების დღიდან შეწყდება კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა, გარდა საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევებისა.[551] კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა გაგრძელდება იმ დღიდან, როდესაც NBE ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად დაუბრუნებს კრედიტორს სააღსრულებო ფურცელს.[552] სწშკ-ის ეს ნორმა,

---

აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი წვდომის უფლება ასევე მოიცავს გადაწყვეტილების აღსრულების მოლოდინსაც.

[550] *Shamatava I.,* The German-Georgian Model of Penalty Regulation (Comperative-Legal Analysis)., Journal Law and World, №17, April, 2021, 93.

[551] საქართველოს კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 13(20), 01/05/1999, მუხ. 25(II), 16/04/1999.

[552] საქართველოს კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 13(20), 01/05/1999, მუხ. 35, 16/04/1999.

ასამოქმედებელი კოდექსის პირობებშიც, გადასინჯვას საჭიროებს. სააღსრულებო წარმოების პროცესის დაწყებისთანავე წყდება სანქცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბიურო რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას (მაგ., თუ თანხის გადახდევინების შესახებ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში ვერ დაკმაყოფილდა კრედიტორის მოთხოვნა ან იმის გამო, რომ მოვალეს არ გააჩნია ქონება, რომლიდანაც შესაძლებელია გადახდევინება, ასევე თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო) კრედიტორს დაუბრუნებს სააღსრულებო ფურცელს, ხოლო კრედიტორი, თავის მხრივ, („საურავის დარიცხვა გაგრძელდება" ჩანაწერიდან გამომდინარე) უფრო ვალდებულია (ვიდრე უფლებამოსილი) აამოქმედოს საურავის დარიცხვა. ეს იმ პირობებში, როდესაც საურავის დარიცხვა კარგავს იურიდიულ ინტერესს და მხარეს, რომელმაც სააღსრულებო ინსტანციით ვერ მოახდინა გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც წესი, იმაზე მეტი რესურსი მომავალშიც აღარ ექნება. გადასახადის გადამხდელისთვის ეს პრობლემა სირთულის გამომწვევიც შესაძლოა გახდეს, რადგან კანონი სანქციის ამოქმედების დეტალიზებას არ ახდენს. ამასთან, აზრს მოკლებულია უიმედო ვალზე პირგასამტეხლოს კალკულაცია.

„აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტში გარკვევით და ცალსახად საუბარია სარგებლის/საურავის დარიცხვის შეწყვეტაზე და არა შეჩერებაზე. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის მეორე წინადადებაში არსებული ჩანაწერი სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების შემთხვევაში სარგებლის/საურავის დარიცხვის გაგრძელებაზე, შეუსაბამობაშია ერთმანეთთან".[553] თუკი მოვალეს ფინანსურად არ შეუძლია ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მას უფრო მეტად არ შეეძლება პირგასამტეხლოს გადახდაც, რის გამოც კრედიტორის მდგომარეობა არაფრით არ უმჯობესდება. კრედიტორის წინაშე დგას იგივე მოვალე, რომელმაც უკვე ვეღარ შესძლო ვალდებულების შესრულება.[554] პირგასამტეხლოს ხელმეორედ დარიცხვა კრედიტორისთვის შექმნილი ხელოვნური

---

[553] *უიტდეჰაავი ი., ქურთაული ს.*, საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 216.

[554] იხ. *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 235.

ბარიერია, რომელიც მოვალის მსგავსად, კრედიტორსაც აზარალებს.[555] თუ სააღსრულებო წარმოების პროცესში გამოყენებული ღონისძიებები საკმარისი არ არის გადაწყვეტილების აღსასრულებლად, კრედიტორისთვის სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების შემთხვევაში ხელმეორედ პირგასამტეხლოს ამოქმედება აზრსმოკლებულია და ამ ინსტიტუტს უდავოდ მოდიფიცირება ესაჭიროება, ისევ და ისევ მხარეთა უფლებების თანაბარზომიერად დაცვის მიზნით, ვინაიდან, „აღსრულება უნდა ეყრდნობოდეს ნათელ და თანმიმდევრულ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც გაწერილი იქნება მხარეებისა და მესამე პირის უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და უფლებები“,[556/557] ხოლო ზემოაღნიშნული რეგულაციისთვის „კანონმდებლობა, საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რათა იგი აღსრულების პროცესის გამჭვირვალეობას, პროგნოზირებადობას და მის ეფექტურობას უზრუნველყოფდეს“.[558]

რაკი აღსრულება გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს, უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილი ვალდებულების სისრულეში მოყვანას,[559] მართლმსაჯულების განხორციელების სანდოობას, ის სახელმწიფოს მხრიდან ფუნდამენტურ კონტროლს ითხოვს, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილების უკან სოციუმია, რომელიც ელოდება კანონიერების აღდგენას. პირგასამტეხლოს ამ დანაწესით, ფაქტია, სარგებელს არ იღებს სადავო ურთიერთობის არც ერთი მხარე.

### 5.3. მხარეთა ორმხრივი ინტერესის დაცვისას ბალანსის შენარჩუნების პრობლემა და უფლებათა ადეკვატური რეალიზების უზრუნველყოფა

კერძოსამართლებრივი ურთიერთობა იმპერატიული და დისპოზიციური ნორმების საფუძველზეა მოწესრიგებული, რაც ჰარმონიულ ურთიერთობას ამყარებს პირებს შორის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანაბრად არის დაცული ურთიერთობის ყველა მონაწილის

---

555 *Shamatava I.,* The German-Georgian Model of Penalty Regulation (Comperative-Legal Analysis)., Journal Law and World, №17, April, 2021, 94.
556 იხ. *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში., თბ., 2013, 101; Rec 17/2003, ნაწ. III. 1.b.
557 European Commission On The Efficiency of Justice (CEPEJ), Strasbourg, 9-10 December, 2009. Guidelines For A Better Implementation of The Existing Council of Europe's Recommendation On Enforcement. <https://rm.coe.int/16807473cd>
558 იქვე.
559 *Uitdehaag J.,* Survey of enforcement in Europe, № 3, 2017, 11.

ინტერესი.[560] დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, მხარე მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებათა თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობით სარგებლობს.[561]

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ „მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნება იშვიათად ხდება თავისთავად“.[562] ზოგიერთი დავა ძალთა დისპროპორციულ განაწილებასთანაა დაკავშირებული, რაც შეიძლება გამოიწვიოს მხარის სიდიდემ, სიმდიდრემ, ან სხვა გარემოებებმა. მაგ., „წარმოიდგინეთ დიდი კომპანია და ფიზიკური პირი. აქ შესაძლოა ძალთა არათანაბარ განაწილებას ჰქონდეს ადგილი კომპანიის სასარგებლოდ მისი სიმდიდრის და ადვოკატების დიდი გუნდის გამო. ასეთ შემთხვევაში კერძო პირი შესაძლოა საჭიროებდეს დაცვას ძლიერი კომპანიისგან. მეორე მხრივ, ძალთა დისბალანსი შეიძლება საპირისპირო მხარესაც იყოს. კომპანიას შესაძლოა ძალიან სჭირდებოდეს ეს პირი, რადგან მას აქვს დიდი ცოდნა კომპანიის კომპიუტერული სისტემის შესახებ“.[563]

ჩვეულებრივ, დავის არსებობის შემთხვევაში, „მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის ნაწილდება თანაბრად,[564] მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი განსაზღვრულია მატერიალური კანონმდებლობით“,[565] ხოლო „სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებზე მტკიცების ტვირთი ნაწილდება შემდეგნაირად: გამსესხებელს აწევს იმის მტკიცების ვალდებულება, რომ

---

[560] იხ. *ჩიტოშვილი თ.*, ვალის არსებობის აღიარება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2017, 96.

[561] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ხ. ნადიბაიძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[562] *Zumbansen, P.*, The Law of Contracts., *Reimann, M.*, *Zekoll J.* (Ed.), Introduction to German Law, 2005, Kluwer Law International, 180. ციტირ. ლიტ-რა: *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 56.

[563] *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 289.

[564] *Allen R. J., Stein A.*, Evidence, Probability, and the Burden of Proof, Arizona Law Review, Vol. 54, 2013, 558. <http://ssrn.com/abstract=2245304> [27.03.2022]. ციტირ. *კაჟაშვილი გ.*, საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა., დის., თბ., 2018, 36.

[565] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/4541-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

თანხა გადასცა მსესხებელს და რომ ამ უკანასკნელმა იკისრა თანხის დაბრუნების ვალდებულება (თუ ხელშეკრულება წერილობით არ დადებულა).[566]

მხარეთა ორმხრივი ინტერესის დაცვისას, რთულია ბალანსის შენარჩუნება, რამდენადაც უფლებათა ადეკვატური რეალიზება ყოველთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას არ ნიშნავს. თანაბრობა ბევრ ასპექტში გამოიხატება, განსაკუთრებით საკანონმდებლო დანაწესის შექმნისას, ნორმაშემოქმედებით გზაზე და დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას. კანონმდებელმა ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს, რომ ძალთა არაპროპორციულობა აღმოფხვრას და არ დაუშვას მიკერძოება რომელიმე მხარის სასარგებლოდ.

[566] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/4541-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

# თავი VI. პროცენტის ცნების მიმოხილვა

## 6.1. პროცენტის ტერმინოლოგიური განმარტება

მაკრო და მიკროეკონომიკის რეგულირების დროს, საბანკო პროცენტი უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად წარმოგვიდგება,[567] რომელიც ყველა ფინანსურ ხარჯსა და გაანგარიშებას მოიცავს; გამოანგარიშების წესის ძირითად მეთოდად საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობაა გამოყენებული.[568] ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეკლამირებისას ან პირადი შეთავაზების დროს შესაძლოა გამჟღავნდეს.[569]

## 6.2. კანონისმიერი (ნორმატიული) და სახელშეკრულებო პროცენტის განსაზღვრა

სახელშეკრულებო პროცენტი, კანონისმიერი პროცენტისგან განსხვავებით, ნების ავტონომიის პრინციპზე დამყარებულია, რაც ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო პროცენტის დროს მზოჭავი ძალა დამოკიდებულია ხელშეკრულების ძლიერ „მხარეზე", ხოლო „სუსტი მხარის" ინტერესების დაცვა კანონმდებლის პრეროგატივა ხდება. სახელშეკრულებო პროცენტის განსაზღვრისას, მხარეები მოქმედებენ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით, რაც ნიშნავს შემდეგს: „ყოველი ხელშეკრულება კერძო ავტონომიის განხორციელებაა"[570] და რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერი მოცულობის პროცენტის განსაზღვრა, თუნდაც კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტის. მსგავს შემთხვევაში, პროცენტის კანონიერებას, სასარჩელო წარმოების არსებობის შემთხვევაში ამოწმებს სასამართლო ინსტანცია, თუმცა პროცენტის კანონიერების დადგენა დამოკიდებულია კონკრეტულ მოსამართლეზე, რომელთა მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განსხვავებულია. ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ განმარტა, რომ *მხარეთა მერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი (წლიური 64.8%)*

---

[567] იხ. *აბშილავა თ.,* საბანკო პროცენტი – მეთოდოლოგია და მისი ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა თანამედროვე პირობებში, სტუ-ს ავტორეფერატი, თბ., 2016, 7.

[568] იხ. *ნიკვაშვილი თ.,* ინფორმაციის პარადიგმა მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალში – ქცევითი და შედარებითი ანალიზი., ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო"., თბ., №20/2021, 83.

[569] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №32/04 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, 3(15), 4, 09/03/2021, ვებგვერდი 10/03/2021.

[570] *ქოჩაშვილი ქ.,* თავისუფლების შესახებ, მეტასამართლებრივი გააზრება, თბ., 2018, 11.

*დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით ბევრად აღემატება სებ-ის, კომერციული ბანკ(ებ)ის სტატისტიკური ანგარიშგებიდან გამომდინარე გაანგარიშებულ (წლიურ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, როგორც ბანკებთან, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში.*[571] საბანკო სექტორის მხრიდან, „სუსტი მხარის“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ირღვევა სესხზე დაწესებული სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევის შედეგად, რაც უზრუნველყოფის ერთგვარი საშუალებაა. სადაზღვევო პაკეტის სავალდებულოობა ნიშნავს საბანკო სექტორის, როგორც „ძლიერი მხარის“ ინსტიტუციურ გავლენას ე.წ „სუსტი მხარის“ წინააღმდეგ, რომელიც კრედიტის მისაღებად იძულებულია ბანკის კაბალურ შეთავაზებასაც დათანხმდეს.

## 6.3. მყარი (ფიქსირებული) და ცვალებადი (ინდექსირებული) საპროცენტო განაკვეთი

სასყიდლიანი სესხის დროს, კანონმდებელი მსესხებელს პროცენტის უპირობო გადახდას ავალდებულებს. საპროცენტო განაკვეთი, თავის მხრივ შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ინდექსირებული. საბანკო-საკრედიტო დაწესებულება ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, სწორედ სესხისათვის პროცენტი, სარგებელი წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციის კვლავწარმოების ეკონომიკურ საფუძველს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაკოტრდება და შეწყვეტს ფუნქციონირებას.[572]

## 6.4. მონეტარული პოლიტიკის და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გავლენა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე

ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთებსა და ფასების საერთო დონეზე, არამედ საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო დონეზეც, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.[573]

---

[571] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2/8268-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[572] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2/880-16; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[573] *დოლონძე ი.*, მონეტარული პოლიტიკის გავლენა კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე, დის., თბ., 2016, 12.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებზე მრავალი კვლევა ჩატარდა;[574]/[575] ეროვნული ბანკი კვარტალში ერთხელ აქვეყნებს „მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს“, რომელშიც მოცემულია ინფლაციის პროგნოზი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საპროგნოზო ტრაექტორია, აგრეთვე დეტალურად არის აღწერილი ის ფაქტორები, რასაც ეფუძნება მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები.[576] ეროვნული ბანკის როლია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით ეკონომიკის მთლიან მოთხოვნასა და ინფლაციის მოლოდინებზე ისე ზემოქმედება, რომ საშუალოვადიან პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას ინფლაციის მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელზე დაბრუნება. დაბალი და სტაბილური ინფლაცია ხელს უწყობს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას. არაორდინარულმა მოვლენებმა მსოფლიო მასშტაბით მაღალინფლაციური გარემო წარმოშვა. საერთაშორისო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის გაზრდილმა ფასებმა, ტრანსპორტირების ხარჯების გაძვირებამ და წარმოების მხარეს არსებულმა შეფერხებებმა გლობალურად ფასების ზრდა განაპირობა.[577]

მონეტარული პოლიტიკა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორია, რომელიც გულისხმობს ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას კანონმდებლობით განსაზღვრული საბოლოო მიზნის, ფასების სტაბილურობის მისაღწევად. „მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ხდება ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალისწინება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაზე აისახება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. თუ პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი აწევს საპროცენტო განაკვეთს, რათა მომავალში შეზღუდული იყოს ფასების დონის მატება,[578] საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც პროგნოზირებული მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივ დონეზე,

---

[574] იხ. *ტყეშელაშვილი ს.,* მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენა ბიზნესის განვითარებაზე და საფინანსო სისტემის სტაბილურობაზე., დის., თბ., 2021.

[575] *Aslanishvili D., Omadze K.,* Origins and the Reasons of Monetary Crises in Georgia (1995-2016), Modern Economy, 2016, 7, 1232-1250.

[576] იხ. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში <https://nbg.gov.ge/publications/monetary-policy-reports> [08.03.2022].

[577] იხ. ეროვნული ბანკის ვებგვერდზე მონეტარული პოლიტიკის 2022 წლის თებერვლის ანგარიში, 3.

[578] *სულუაშვილი მ.,* მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მისი თანამედროვე გამოწვევები (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2019, 50.

ეროვნული ბანკი შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს შერბილებული, გამკაცრებული ან ნეიტრალური“.[579]

## 6.5. სესხისათვის გადახდილი პროცენტის ზიანად კვალიფიკაციის წინაპირობა

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, „ზიანი“ ესაა უფლების ან კეთილდღეობის განადგურება,[580] შემცირება,[581] რომელიც შეიძლება განიცადოს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ ზიანი წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სხვაობას „უნდა ყოფილიყოსა“ და „არის მდგომარეობას“ შორის. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის I ნაწილით, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელმა სუბიექტმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა,[582] რომელიც რომ არა ვალდებულების დარღვევა, მხარეებს შორის იარსებებდა (The Principle of Total Reparation).[583]/[584]/[585]

## 6.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 625-ე მუხლების ურთიერთმიმართება

403-ე მუხლის I ნაწილი პასუხისმგებლობის სპეციალურ ზომას განსაზღვრავს. აღნიშნულ ნორმას გააჩნია უნივერსალური ხასიათი დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები არაკეთილსინდისიერი

---

[579] *სულუაშვილი მ.,* მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მისი თანამედროვე გამოწვევები (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2019, 50.

[580] იხ. *ჩიკვაშვილი შ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 378. ციტირ. ორიგ., *გაგუა ი.,* მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“., №4(72), თბ., 2021, 64.

[581] იქვე.

[582] ზიანის ანაზღაურების შესახებ ვრცლად იხ., *შერმადინი ს.,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მისი დაცვის ადმინისტრაციული საპროცესო მექანიზმები., დის., თბ., 2021, 105-110.

[583] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/11920-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[584] *Tenenbaum A., Chainais C., Guillaume G., Tenenbaum A., Chenede F.,* European Contract Law., Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules., 2008., 299-301., Ch., The principle of total reparation through the compensation for loss sustained and lost profits, <https://www.legiscompare.fr/web/IMG/pdf/CFR_I-XXXIV_1-614.pdf> [08.03.2022].

[585] *ზოიძე ბ.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 413, თბ., 2001, 452.

მოვალეების უკანონო და ზოგჯერ თაღლითური ქმედებებისაგან.[586] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სესხის ხელშეკრულების ფარგლებში საპროცენტო სარგებლისა და ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-1701-1685-2011) აღნიშნა, რომ *სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.* სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 625-ე, 403-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო.[587]

2011 წლიდან ზემოხსენებული მუხლების განზოგადებული პრაქტიკა, სწორედ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ეყრდნობა და საერთო სასამართლოების იურისდიქციაში შემავალი სასამართლოები გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას აქტიურად იყენებენ.[588]/[589]/[590]

სამართალწარმოების დროს, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: *მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს*

---

[586] იხ. *სვინტრაძე ქ.*, კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემა სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე., „სამართალი", თბ., № 2, 2013, 108.
[587] შენიშვნა: BGB-შიც, მსგავსად ქართულისა, „თუ მოვალე არღვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §280, 61. (2019 წლის მდგომარეობით).
[588] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *თ. ბურჯანაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[589] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/1359-18; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[590] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/5091-21; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

*დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე,*[591] მაშინ, როდესაც, „625-ე მუხლით განსაზღვრული პროცენტი მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში".[592] ამრიგად, 403-ე და 625-ე მუხლები განსხვავებულ სამართალურთიერთობას აწესრიგებს, იმის მიუხედავად, რომ ორივე ნორმა პროცენტის გადახდის ვალდებულებას შეეხება.

### 6.7. პროცენტის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები

ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.[593] ხანდაზმულობის დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. ამასთან: *ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს, ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; აძლიერებს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზებას იძლევა.*[594]

ხანდაზმულობის საკითხის სწორი შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის იძულებითი რეალიზაციის ვადის დენის ათვლის სწორად განსაზღვრას. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად

---

[591] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ხ. ჯინორია;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[592] *ზამბახიძე თ.*, სესხის ხელშეკრულების კომენტარები., 6, ბოლო დამუშავება: 26.10.2016., <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/11/Artikel-623.pdf> [20.01.2022].

[593] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/7876-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[594] იხ. სუსგ რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 63; სუსგ 2012 წლის 11 ივნისის საქმე №ას-547-515-2012; იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 მარტი გადაწყვეტილება, მოსამართლე: *თ. ლაკერბაია;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, *სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან ობიექტურად უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. თუკი მხარეებმა ხელშეკრულების შესრულების ვადა განსაზღვრეს, ხანდაზმულობის ვადის ათვლა სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს.*[595] ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იძულების წესით იგი განუხორციელებელია.[596/597]

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით,** *ხანდაზმულობა ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისაგან, რომლებისგანაც თავის დაცვა შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება, წარმოშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან, გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც შესაძლოა დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს.*[598]

სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს, ხოლო სააღსრულებო წარმოებისას – ათ წელს.[599] ხანდაზმულობის ვადის სწორად

---

[595] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ნ. მამულაშვილი;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[596] იქვე.
[597] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ხ. კაკაბაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[598] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 22 ოქტომბრის საქმე "Case of Stubbings And 7 Otherss V. The United Kingdom", <https://www.refworld.org/cases,ECHR,3ae6b6191c.html> [19.01.2022], ციტირ. ლიტ-რა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 მარტი გადაწყვეტილება, მოსამართლე: *თ. ლაკერბაია;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[599] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 129, 24/07/1997.

გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა,[600] რომელიც შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა იმ მომენტთანაა დაკავშირებული, როცა პირმა გაიგო/უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ.[601] სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების მიხედვით, *თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეასრულა, მას არ აქვს შესრულების უკუმოთხოვნის უფლება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მისთვის არ ყოფილიყო ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტი ცნობილი. იგივე წესი მოქმედებს ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.*[602] ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს,[603] რომლითაც მოვალის ის ეკონომიკური ურთიერთობებია დაცული, რომლებიც ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ შეიძლება გაუარესდეს.[604]

შუალედური შეფასებისთვის, მხარეთა უფლება-მოვალეობის თანაბარზომიერი დაცვისთვის, ხანდაზმულობის ნორმებს განსაკუთრებული თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც აღნიშნული ინსტიტუტი მოსალოდნელი რისკებისა და საპასუხო მოქმედების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ბალანსის არსიც სწორედ ეს არის – უფლებათა თანაბრობა კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა კონფლიქტისას[605] და მხარეთა თანაბარუფლებიანი დაცვა ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

---

[600] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/2067-21; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[601] იხ. სუსგ 2017 წლის 20 დეკემბრის საქმე №ას-1343-1263-2017; სუსგ 2017 წლის 14 თებერვლის საქმე №ას-934-899-2016; სუსგ 2018 წლის 03 აპრილის საქმე №ას-68-68-2018; სუსგ 2019 წლის 14 მაისის საქმე №ას-382-2019; ხელმისაწვდომია მათი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[602] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 144, 24/07/1997.

[603] *Medicus D.,* Allgemeiner Teil des BGB, 9. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2006,104., ციტირ. ლიტ-რა: *მახათაძე ნ.,* სახელშეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადების მიმართება საერთო ვადებთან., დის., თბ., 2019, 8.

[604] *Klose M.,* Vindikationsverjährung: Gewogen für verfassungswidrig befunden!, RW, Heft 2, 2014, 242. ციტირ. ლიტ-რა: *მახათაძე ნ.,* სახელშეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადების მიმართება საერთო ვადებთან., დის., თბ., 2019, 23.

[605] შეად. *მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმისწარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების*

# თავი VII. პირგასამტეხლოს მოწესრიგების ეკონომიკურ-სამართლებრივი ანალიზი სესხის ხელშეკრულებაში

## 7.1. პირგასამტეხლოს ინსტიტუტი უძველეს კოდიფიკაციებში (ხამურაბისა და ურ-ნამუს კანონები)

პირგასამტეხლო ვიდრე ჩვენამდე არსებული ინტერპრეტაციით მოაღწევდა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნორმის სტრუქტურული აგებულება და შინაარსობრივი მხარე დაიხვეწებოდა, მან საკმაოდ დიდი გზა გაიარა მსოფლიო ხალხთა ცნობიერებაში. რომ არა მისი ევოლუციური წიაღსვლა, განვითარების პარამეტრიც ალბათ უცვლელი დარჩებოდა.[606] უძველეს კოდიფიკაციებში, მართალია პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება არსად მოიხსენება, თუმცა მისი შინაარსი, დაახლოებით, თანამედროვე პირგასამტეხლოს ინსტიტუტის იდენტურია. პირგასამტეხლოს ნიშნებს შეიცავს შუმერთა მეფის, ურ-ნამუს კანონები, რომელიც დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 2100-2500 წლებში შეიქმნა.[607] ჩვენამდე მოღწეული და გაშიფრული ორმოციოდე მუხლიდან, „პირგასამტეხლოს შინაარსთან ყველაზე მეტად მისადაგებული 32-ე მუხლია, რომელიც ჰგავს სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას".[608] დისპოზიციიდან გამომდინარე, *„თუ პირი მეორე პირს გადასცემს მიწას დამუშავების მიზნით და ამ უკანასკნელის უმოქმედობით მიწა გადაიქცევა უდაბნოდ, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს პირველს 720 წონის ერთეული მარცვლეული, ყოველ 100 ფართობის ერთეულზე".*[609] საინტერესოა ამ მხრივ ჩვ.წ.აღ-მდე 1750 წელს შექმნილი, ბაბილონის მეფის ხამურაბის, კანონები,[610] რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დახვეწილი კოდიფიკაციის ნიმუშია, რაც მესოპოტამიის

---

*შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით., 2021, 14. („მოვალეთა და კრედიტორთა თანაბარუფლებიანი დაცვა მთავარი პრინციპი არ არის, ვინაიდან შესაძლებელია, რომ კრედიტორთა ინტერესი, სრულებით ლეგიტიმურად, უპირატესად იქნეს მიჩნეული").*

606 *Shamatava I.,* The German-Georgian Model of Penalty Regulation (Comperative-Legal Analysis)., Journal Law and World, №17, April, 2021, 96. აგრეთვე ვრცლად იხ. *უბერი თ., შამათავა ი.,* პირგასამტეხლოს წარმოშობის ისტორიული ექსკურსი, ევოლუცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), IBSU, აბრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია, თბ., 2020, 326-337.

607 *Roth M.T.,* Law Collections from Mesopolamia and Asia Minor. Scholars Press, Atlanta Georgia, 1995, 13; *Miguel Civil.,* The Law Collection of Ur-Namma, Cuneiform Royal Inscriptions and Related Texts in the Schøyen Collection, 2011, 221-286.

608 *ურუშაძე ნ.,* პირგასამტეხლო – ვალდებულების შესრულების გარანტია (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში)., თბ., 2017, 13.

609 *Roth M.T.,* Law Collections from Mesopolamia and Asia Minor. Scholars Press, Atlanta Georgia, 1995, 21.

610 იხ. ხამურაბის კანონები, <https://www.britannica.com/topic/cuneiform-law>. [09.01.2022].

ტერიტორიაზე აღმოჩენილა. კოდიფიკაცია შეიცავს ორას ოთხმოცდაორ მუხლს და აწესრიგებს სასესხო, ქირავნობის, მიბარებისა თუ სხვა ტიპურ სახელშეკრულებო ურთიერთობებს.

### 7.1.2. პირგასამტეხლოს გერმანული და ფრანგული მოდელი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

BGB-ის თანახმად, თუ მოვალე ჰპირდება კრედიტორს ფულადი თანხის პირგასამტეხლოს სახით გადახდას მის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მაშინ პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას. თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულება მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, პირგასამტეხლო გადახდას ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედების განხორციელებისას ექვემდებარება. BGB იცნობს საინტერესო ინსტიტუტს, – პირგასამტეხლოს გადახდის შეპირებას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ *„თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ნაცვლად. თუ კრედიტორი უცხადებს მოვალეს, რომ იგი ითხოვს პირგასამტეხლოს, მაშინ მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულებაზე გამორიცხულია“*,[611] ხოლო §341-ის მიხედვით, *„თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულებასთან ერთად. თუ კრედიტორს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ გამოიყენება §340-ის მე-2 ნაწილი. ხოლო, თუ კრედიტორი იღებს შესრულებას, მაშინ მას პირგასამტეხლოს მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მიღებისას დაიტოვა აღნიშნულზე უფლება“.*[612] BGB

[611] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §340, 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/> [09.01.2022].
[612] იქვე.

პირგასამტეხლოსთან მიმართებით შეიცავს პროცესუალურ ნორმასაც, რომელიც მტკიცების ტვირთის განაწილებას შეეხება. თუ მოვალე სადავოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში.[613]

შედარებით-სამართლებრივი მიზნებისათვის, BGB მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელ ცალკე ნორმას შეიცავს, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 345-ე მუხლის შესაბამისად, „თუ მოვალე სადავოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში“.[614] წარმოდგენილი შემთხვევებიდან, ფაქტია, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი არ იცნობს მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელ ნორმას. ამდენად, აღნიშნული მოდელის გაზიარებით, პირგასამტეხლოს ინსტიტუტი მეტად დაიხვეწებოდა.

გერმანიისგან განსხვავებით, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავა სანქციათა სპეციალური ინსტიტუტი, ე.წ “Astreinte” („საურავი“), რომლის ძალით, სასამართლოს შეუძლია მოვალეს დაავალოს საურავის სახით თითოეული გაცდენილი დღისთვის კრედიტორისთვის გარკვეული საფასურის გადახდა.[615] ფრანგული სამართალი დამრღვევ მხარეს მისი მოვალეობების შესრულებას აიძულებს და მოიცავს დაკისრებული ზარალის კომპენსაციას ხელშეკრულებით გადასახდელ თანხასთან ერთად. “Clause D’Astreinte” ფრანგული კანონმდებლობით იურიდიულად არ კვალიფიცირდება, როგორც “Clause pénale”,[616] არამედ, როგორც “Clause d’astreinte conventionnelle“ – მიუხედავად იმისა, რომ ეს დეფინიცია არ მოიპოვება

---

[613] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §345; 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/> [15.03.2022].
[614] იქვე.
[615] იხ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1804 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) <http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html> [15.03.2022].
[616] იხ. დეტალურად: *The Civil Law Concept of Penalties And The Common Law Concept of Liquidated Damages* by Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d’avocats – GCILA, and Matthew E. Vinciguerra, <Partner http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf> [14.03.2022].

ნორმატიულ კანონმდებლობაში. დოქტრინა შეიქმნა ფრანგული სასამართლოებისა და თავად სამართლის მკვლევართა მიერ. ფრანგული ტერმინის "Clause pénale" პირდაპირი ინგლისური თარგმანი პირგასამტეხლოს მუხლის შესატყვისია. თუმცა, რეალურად, საკმაოდ განსხვავებული რამაა. ის შეიძლება შევადაროთ საერთო სამართალში არსებულ „წინასწარ შეფასებული ზარალის კომპენსაციის" ცნებას, თუმცა ორი მნიშვნელოვანი სხვაობით: 1. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას „სასჯელად" ან „ჯარიმად" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საპასუხოდ, და 2. ცალკეულ შემთხვევებში, მისი რაოდენობა შეიძლება სასამართლომ (ან არბიტრმა) შეასწოროს.

"D'astreinte conventionnelle" მუხლები შემდეგი სახისაა: 1. მუხლში განსაზღვრული თანხის გადახედვა მოსამართლის მიერ დაუშვებელია, თუ ადგილი არ აქვს „გარეგანი მიზეზების" ("Cause étrangére"), არაკეთილსინდისიერების ან დამრღვევი მხარის ეკონომიკური პრობლემების შემთხვევებს. 2. ზოგჯერ იგი განიმარტება, როგორც ფრანგული პირგასამტეხლოს მუხლის ("Clause pénale") ტოლფასი,[617] რადგან სამოქალაქო კოდექსის 1226-ე მუხლი ვრცელდება ფრანგულ "Clause pénale"-ზე[618] და აქედან გამომდინარე, ექვემდებარება მოსამართლის მიერ გადახედვას;[619] 3. სხვა შემთხვევებში, მათი საფუძვლიანობა ეჭვქვეშ დგება, რადგან მას ხშირად განიხილავენ, როგორც სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლით[620] გათვალისწინებული მოსამართლის მიერ გადახედვის არიდების გზად.[621] დასახელებული მუხლი, სწორედ რომ უშვებს ხელშეკრულებით დადგენილი თანხის შემცირებას, როდესაც ადგილი აქვს

---

617 *Bermann G., Picard E.,* Introduction to French Law., Publisher Kluwer Law International, 2012, 486.

618 Arts. 1226 to 1233 of La Code Civil regulates "la clause penale" (penalty clause), and Art., 1152 regulates "dommages-interets" (liquidated damages); *McKenna J.F., Means L.P.,* Liquidated Damages and Penalty Clauses: A Civil Law versus Common Law Comparison., 2008; Sanctions for contractual non-performance under French law., From the Napoleonic Code to Order N°2016-131 of 10 February 2016, 3; იხ. Гражданский Кодекс Франции, пер. с фран. *Захватаева В.Н.,* М., Берлин, 2012, 346.

619 საფრანგეთში მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეამციროს პირგასამტეხლოს მოცულობა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში უმეტესწილად მხარის შუამდგომლობაა აუცილებელი., [საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1231-ე მუხ.]., იხ. Гражданский Кодекс Франции, пер. с фран. Захватаева В.Н., М., Берлин, 2012, 347.

620 მუხლის დისპოზიცია მოსამართლეს (არბიტრს) დისკრეციულ უფლებას აძლევს გაზარდოს ან შეამციროს პირგასამტეხლოს მოცულობა, როდესაც იგი აშკარად გადაჭარბებული ან გაუმართლებლად დაბალია. ნებისმიერი საწინააღმდეგო პირობა ბათილად ჩაითვლება.

621 *The Civil Law Concept of Penalties And The Common Law Concept of Liquidated Damages* by Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d'avocats – GCILA, and Matthew E. Vinciguerra, Partner <http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf> [14.03.2022].

ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულებას. მოსამართლეს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულების მიხედვითაც კი, შეამციროს შეთანხმებული პირგასამტეხლო იმ სარგებლის პროპორციულად, რომელიც კრედიტორმა მიიღო ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებით, 1152-ე მუხლის გამოყენების დარღვევის გარეშე. ნებისმიერი საწინააღმდეგო პირობა ბათილია.

სამოქალაქო კოდექსის 1228-ე და 1229-ე მუხლები ითვალისწინებენ, რომ პირგასამტეხლო უშუალოდ ხელშეკრულების შესრულების ალტერნატივაა. ამგვარად, მხარეს ან შეუძლია ხელშეკრულება შეასრულოს, ან პირგასამტეხლო გადაიხადოს (მუხ. 1227); მხარეს შეუძლია ან ხელშეკრულების შესრულება მიიღოს, ან პირგასამტეხლო (მუხ. 1229). ამ „ან/ან" წესის გამონაკლისი ეხება დაყოვნების შემთხვევაში დაკისრებულ პირგასამტეხლოს, რა შემთხვევაშიც შეფასებული პირგასამტეხლოსთვის ხელშეკრულების შესრულება შეიძლება იქნას მოთხოვნილი (მუხ. 1229). 1230-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „შეტყობინება ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ" პირგასამტეხლოს შეფასების წინაპირობაა: მიუხედავად იმისა, შედის თუ არა პირგასამტეხლო თავდაპირველ მოვალეობაში, ან ვადაში, რომლის განმავლობაშიც იგი უნდა შესრულდეს, პირგასამტეხლოს დაკისრება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ის მხარე, რომელსაც აკისრია ჩაბარების, აღების ან გაკეთების მოვალეობა, ექვემდებარება ვალდებულების შეუსრულებლობის შეტყობინებას. გამომდინარეობს, რომ საფრანგეთის სასამართლოს, საქართველოს მსგავსად, შეუძლია გადასინჯოს პირგასამტეხლოს ის მოცულობა, რაც მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს. თუმცა, პრაქტიკაში, ფრანგული სასამართლოები ერიდებიან ამ დებულების გამოყენებას. მოსამართლეები იშვიათად აკისრებენ ხელშეკრულების ფასის 5%-ზე მაღალ პირგასამტეხლოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლე პირგასამტეხლოს რაოდენობას განსაზღვრავს რეალური ზარალის საფუძველზე.[622]

ფრანგული კოდექსით, „თუ კრედიტორმა მიაღწია მისთვის დადებით სასამართლო გადაწყვეტილებას, ეს ყოველთვის არ ნიშნავს მიზნის მიღწევას. საქმე ის არის, რომ ბევრი

[622] *The Civil Law Concept of Penalties And The Common Law Concept of Liquidated Damages* by Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d'avocats – GCILA, and Matthew E. Vinciguerra, Partner <http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf> [14.03.2022].

მოვალე არ აკმაყოფილებს სასამართლო გადაწყვეტილებით უკვე დამტკიცებულ სარჩელებს, რადგან არ შეუძლია ან არ სურს საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ასეთ დროს სახელმწიფო ეხმარება დაზარალებულ კრედიტორს და სთავაზობს იძულების სახელმწიფო სახსრებს. კრედიტორი იყენებს მათ შემუშავებული პროცედურის თანახმად, რათა სასამართლოთი დამტკიცებული მოვალისადმი მოთხოვნის მისეული უფლების რეალიზაცია მოახდინოს მისი ნების საწინააღმდეგოდ ან – თუ ამისთვის მოვალის ხელშეწყობაა საჭირო – აიძულოს იგი თანამშრომლობისთვის მუქარით და მისადმი სანქციების გამოყენებით“.[623]

აღნიშნული მოდელი სრულიად განსხვავებულია, რადგან საურავის ინსტიტუტს იყენებს როგორც ძირითადი სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში, ისე სამართალწარმოების ეტაპზეც; უფრო მეტიც, საურავის დარიცხვას აგრძელებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესშიც და „დამსჯელ ღონისძიებას“ იყენებს იმ დრომდე, ვიდრე მოვალე არ დააკმაყოფილებს კრედიტორულ მოთხოვნას. გერმანული და ფრანგული სამართლის ზემოხსენებული მოდელების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციით, მხარეთა „ურთიერთმოლოდინი“ წინასწარ პროგნოზირებადი გახდება, ხოლო პირგასამტეხლო შეასრულებს იმ ფუნქციას, რისთვისაც არსებობს ის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.[624]

## 7.2. ვალდებულების დარღვევა, როგორც პირგასამტეხლოს გამოყენების მთავარი წინაპირობა

ვალდებულების დარღვევა არის ის იურიდიული პოსტულატი, რაც გვაძლევს პირგასამტეხლოს ამოქმედების შესაძლებლობას. ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანის დადგომა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლების წარმოშობაზე ზეგავლენას არ ახდენს. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინაც, როდესაც ხელშეკრულების დარღვევამ ზიანის დადგომა არ გამოიწვია. ამდენად, პირგასამტეხლოს მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა.

---

[623] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 160.
[624] *Shamatava I.,* The German-Georgian Model of Penalty Regulation (Comperative-Legal Analysis)., Journal Law and World, №17, April, 2021, 99.

სსკ-ის 361-ე მუხლი ორიენტირებულია ვალდებულების დათქმულ დროსა და ადგილას, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შესრულებაზე, თუმცა სწორედ აღნიშნული ნორმის უგულებელყოფა იწვევს იმ სანქციის ამოქმედებას, რომელსაც მხარეებმა წინასწარ, ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას, პირგასამტეხლოს განსაზღვრით მიაღწიეს. „სახელშეკრულებო პირობების ჯეროვნად შესრულება გამორიცხავს კრედიტორი მხარის უფლებას პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე“.[625] ვალდებულების დარღვევა ზუსტადაც რომ ვალდებულების შეუსრულებლობასა ან არაჯეროვან შესრულებაში შეიძლება გამოიხატოს. ამასთან, „უმნიშვნელო დარღვევა სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპის[626] გათვალისწინებით, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული“.[627] გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი სახის დარღვევა (როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი, მძიმე თუ მსუბუქი) პირგასამტეხლოს ამოქმედებას განაპირობებს. უდავოა, რომ „ვალდებულების „მნიშვნელოვანი“, თუ „უმნიშვნელო“ დარღვევა შეფასებითი კატეგორიებია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი მართლზომიერება სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული“.[628]

### 7.3. პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება

პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალება, აპრობირებულია კერძო თუ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში და დღეს უკვე ყველა იმ ქვეყნის სამართლისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც რომანულ-გერმანული (კონტინენტური) თუ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემას მიეკუთვნება.[629] პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც ე.წ. მინიმალური ზიანის ან, თუნდაც, ჰიპოთეტურად დაშვებული პრეზუმირებული

---

[625] *იოსელიანი ნ.*, პირგასამტეხლო, „საქართველოს ნოტარიატი", თბ., №2-3, 2005, 20.

[626] „კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა“. იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 83. „კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს“; (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/2004-17; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

[627] *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა. <http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf> [18.02.2022].

[628] იქვე.

[629] *Shamatava I.*, The German-Georgian Model of Penalty Regulation (Comperative-Legal Analysis)., Journal Law and World, №17, April, 2021, 86.

ზიანის ანაზღაურებას ემსახურება, თუმცა, მისი მიზანი არა ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, არამედ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.[630]

### 7.3.1. პირგასამტეხლოს პრევენციული და რესტიტუციული ფუნქცია

პირგასამტეხლო სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტის მეშვეობით, ურთიერთობის მონაწილე მხარეს აქვს გარკვეული მოლოდინი, რომ შეუსრულებლობისთვის მას დამატებითი ფინანსური პასუხისგება ელის, რაც რასაკვირველია არ გახდება ძირითადი ვალდებულების გადახდისგან განთავისუფლების საფუძველი.

სახელშეკრულებო ურთიერთობისას, „შეიძლება გავითვალისწინოთ მხარის მიერ თითოეული მოვალეობის დარღვევისათვის კონკრეტული პასუხისმგებლობის სახე. ძირითადად ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება ჯარიმაში (ქონებრივ ზემოქმედებაში ხელშეკრულების დამრღვევ მხარეზე). ეს კი ნიშნავს იმას, რომ კონტრაჰენტს, რომელმაც დაარღვია სახელშეკრულებო სამართალმდგომარეობანი (პირობები, უფლება-მოვალეობები) მოუწევს დამატებით ჯარიმებიდან გამომდინარე თანხების დახარჯვა“.[631]

ლიტერატურაში გამოყოფენ პირგასამტეხლოს, როგორც სამი განსხვავებული სამართლებრივი ფუნქციის მატარებელ ინსტიტუტს: 1. თანხის წინასწარ განსაზღვრა და მტკიცების ტვირთის მოხსნა მომავალში დაზარალებული მხარისთვის, რომელსაც აღარ მოუწევს დამდგარი ზიანის ოდენობის მტკიცება; ან 2. მეორე მხარის პრევენცია-უზრუნველყოფა ან იძულება, რათა შეასრულოს ვალდებულება და არ დაჯარიმდეს; ან 3. პასუხისმგებლობის იმ ფარგლებით შეზღუდვა, რასაც ჯარიმა ითვალისწინებს.[632] პირგასამტეხლო მოვალეს ეკისრება იმის მიუხედავად, განიცადა თუ არა კრედიტორმა

---

[630] იხ. *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა. <http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf> [18.02.2022].

[631] *თუმანიშვილი გ.*, ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. თბ., 2012, 31.

[632] იხ. *სვანაძე გ.*, საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე; ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. IV გამოცემა, თბ., 2015, 45.

გარკვეული სახის ზიანი. „პირგასამტეხლოს გადახდით მოვალე არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან“.[633] მის ასამოქმედებლად საკმარისია მხოლოდ ფაქტი, რომელიც დაადასტურებს ვალდებულების დარღვევას. ამდენად, საკმარისია „პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმებიდან მკაფიოდ ირკვეოდეს პირგასამტეხლოს არსებითი პირობები, კერძოდ, ძირითადი ვალდებულება და მისი დარღვევისათვის დაწესებული ფულადი თანხის ოდენობა“.[634] საკასაციო პალატის განმარტებით, პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას,[635] რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. ამდენად, პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი.[636]

პირგასამტეხლო აპრობირებულია კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში, – როგორც ალტერნატიული, ისე კუმულატიური, რადგან იგი მბოჭავი ძალისაა და ხელშეკრულების მხარეებს ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულებისაკენ უბიძგებს, რამდენადაც „კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით მხარის მიმართ არ უკისრია“.[637] ამასთან, „მისი მეშვეობით ხდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების შესრულების „იძულების“ უზრუნველყოფა[638] და კრედიტორს „უქმნის კომფორტს“ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის მტკიცების

---

[633] *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 417, თბ., 2001, 488.
[634] *Palandt/Grüneberg* Vor § 339 Rn 3, nach *Janoschek, Beck'scher* Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Ed. 31, & 339, Rn. 2.
[635] ანალოგიურად., „პირგასამტეხლო წარმოადგენს ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების პრევენციას"., *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 593.
[636] სუსგ 2015 წლის 07 ოქტომბრის საქმე №ას-459-438-2015; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
[637] სუსგ 2011 წლის 23 ივნისის საქმე №ას-1388-1224-10; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
[638] *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 235.

აუცილებლობისაგან გათავისუფლებით“.[639] პროფ. ლადო ჭანტურიას აზრით, პირგასამტეხლო ამგვარი „იძულების“ გამო, სწორედ საჯარიმო სანქცია უფროა, ვიდრე უზრუნველყოფა.[640] ის კრედიტორს რაიმე დამატებით უზრუნველყოფას ვერ სთავაზობს და თუკი მოვალეს ნაკისრი ვალდებულების შესრულება ფინანსურად არ შეუძლია, მას უფრო მეტად არ შეეძლება პირგასამტეხლოს გადახდაც, რის გამოც კრედიტორის მდგომარეობა არაფრით უმჯობესდება და მისი მოთხოვნა ამით უფრო მეტად უზრუნველყოფილი არ ხდება.

მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა პირგასამტეხლოს ორმაგი ბუნების ანალიზი,[641] რაც მდგომარეობს, ერთი მხრივ, მის პრევენციულობასა და მეორე მხრივ, რესტიტუციულ ფუნქციაში.[642] პირგასამტეხლოს ფუნქცია უპირველესად ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. იგი კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალეზე „ზეწოლის“ განხორციელების ერთგვარი ბერკეტია,[643]/[644] ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს მიღების მიზნით, კრედიტორი ზიანის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლებულია.[645] პირგასამტეხლოს არსებითად ორი ფუნქცია აქვს: ა) ვიდრე ვალდებულება დაირღვეოდეს, იგი ემსახურება მისი შესრულების სტიმულირებას.[646] ამდენად, მას პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ, პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის

---

[639] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, II გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 193. იხ. აგრეთვე მსგავსი ინტერპრეტაციით *Grüneberg*, in Palandt BGB Komm, 2018, 67. Aufl. § 339, Rn. 1

[640] *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 235.

[641] იურიდიულ ლიტერატურაში, პირგასამტეხლოს აგრეთვე განიხილავენ, როგორც უზრუნველყოფის საშუალებას და როგორც მოვალის პასუხისმგებლობის ღონისძიებას. იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით: *Chanturia L., Knieper R., Schramm H.J.*, Das Privatrecht im Kaukasus in Zentralasien, estandsaufnahme und Entwicklung, BWV, 2010, S. 359.

[642] *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 232.

[643] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2/22810-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[644] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2/29503-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[645] BGH MDR 2000, 827; OLG Celle BauR 2001, 1108; OLG Rostock NZM 2004, 460, 461 nach *Janoschek, Beck'scher* Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Ed. 31, & 339, Rn.1.

[646] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1707-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება;[647] ბ) მოვალემ წინასწარვე იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იგი ვერ ასცდება გარკვეული საზღაურის გადახდევინებას, მაშინ როცა სხვა დროს, შეიძლება მას ამის „იმედი" ჰქონდეს. მოცემულ საკითხთან მიმართებით, საკასაციო სასამართლოს განმარტებაც იდენტურია – პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციადქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.[648] ზემოხსენებული აზრისგან განსხვავებით, ნაცვლად სტიმულირებაზე მითითებისა, იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ „პირგასამტეხლოს მეშვეობით ხდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების შესრულების „იძულების" უზრუნველყოფა".[649]

პირგასამტეხლო, როგორც პრევენციული და რესტიტუციული ფუნქციის მატარებელი, სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, რადგან მის ორივე ფუნქციას საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში მრავლად ვხვდებით, რაც ისევ და ისევ მის აქტუალობას ცხადყოფს.

### 7.3.2. პირგასამტეხლოს სტანდარტული მოთხოვნები სამართალწარმოების პროცესში

სამართალწარმოებისას, პირგასამტეხლოსთვის დადგენილია ერთგვარი მოთხოვნები, როგორიცაა: **I. შესაბამისობა სახელშეკრულებო პირობებთან** – რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში. კრედიტორმა არ უნდა „აიძულოს" მოვალე, აშკარად უსამართლო პირობებს მოაწეროს ხელი, ამიტომ, პირგასამტეხლოზე შეთანხმებისას, მისი ოდენობა სამართლიანობის საფუძველზე უნდა

---

647 იხ. სუსგ 2015 წლის 11 ნოემბრის საქმე №ას-570-541-2015; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *თ. ბერაია;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.); იხ. დეტალურად: *კვინიკაძე ქ.*, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია" სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი"., №2(50), თბ., 2016, 85-94.

648 იხ. სქოლიო „632"

649 *ჭეჭელაშვილი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოლო დამუშავება: 27.06.2016, 3.

განისაზღვროს, მხარეები ითვალისწინებდნენ იმ შესაძლო ზიანს, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას შეიძლება მოჰყვეს, თუმცა კანონი მათ იმის უფლებასაც აძლევს, რომ შეთანხმებული პირგასამტეხლო აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.[650] **II. პირგასამტეხლოს განსაზღვრის პრინციპი** – იძლევა მისი ოდენობის გაუმართლებლად მაღალი სიდიდით გაანგარიშების შესაძლებლობას; კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს დისკრეციას, შეამციროს მხოლოდ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო, როდესაც მისი ოდენობა გაუმართლებლად მაღალია ვალდებულების დარღვევის ხასიათისა და დარღვევით განპირობებული შესაძლო ზიანის მხედველობაში მიღებით. **III. სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები:** ა) საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება.[651]/[652] ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს,[653] თუმცა ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება,[654]/[655] მაშასადამე, სასამართლოს არა ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია პირგასამტეხლოს შემცირება (სსკ-ის 417-420 მუხ.), არამედ საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. „კანონის ფუნქცია, პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით დადგენის დროს, სასამართლო კონტროლის დაწესებით შემოიფარგლება".[656] პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა

---

[650] სუსგ 2011 წლის 21 ნოემბრის საქმე №ას-1214-1234-2011; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[651] იხ. *იოსელიანი ნ.*, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში., „სამართლის ჟურნალი" №1, 2016, 62-74.

[652] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *თ. ჩიხლაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[653] „ხელშეკრულების მხარეთა სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების მიზნით, დასაშვები და გამართლებულია მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევა"; (იხ. *ლაკერბაია თ.*, ინფორმირებული მომხმარებლის ევროპული სტანდარტი, „სამართლის ჟურნალი"№1, თბ., 2015, 151).

[654] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/2696-18; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[655] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/3753-18; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[656] *ჩანტლაძე მ.*, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", თბ., №5/2002-1, 174.

გამდიდრება.[657/658] შესაბამისად, „პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული“.[659] ბ) პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე, კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი.

„პირგასამტეხლოს არსიდან გამომდინარე, სსკ-ის 420 მუხლი მასში ჩარევის შესაძლებლობას ითვალისწინებს“.[660] საქმის გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რა დროსაც იკვეთება სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა გარემოებით ამცირებს პირგასამტეხლოს. ასეთ დროს მოსამართლეს ექსკლუზიური უფლება ენიჭება ჩაერიოს „სახელშეკრულებო პირობების გადასინჯვის“ ნაწილში და დაადგინოს მხარეთაგან განსაზღვრული პირგასამტეხლოს კანონიერებისა თუ გონივრულობის ზღვარი, რითაც ის იზიარებს გერმანული კანონმდებლობის გამოცდილებას. გერმანიაში, თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე,[661] ხოლო სათანადოობის შეფასებისას, მხედველობაში კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური და არა მარტო მისი უბრალოდ ქონებრივი ინტერესი უნდა იქნეს მიღებული.

---

[657] იხ. Гражданское Право, Т.I, 6-ое изд., под ред. *Сергеева А.П., Толстого Ю.К., М.,* 2006, 694.

[658] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/18129-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[659] ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 09 იანვრის საქმე №2/1971-13; გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[660] *ჯორბენაძე ს.,* ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბ., 2016, 246.

[661] „პირგასამტეხლოს შემცირება თვითონ მოვალემ უნდა მოითხოვოს. ამისათვის საკმარისია მისი მხრიდან ნებისმიერი გამოხატულება, მათ შორის ციფრობრივიც, რომელიც შესაძლებელს ხდის გაირკვეს, რომ მოვალეს არაადეკვატურად მაღალი პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება უნდა.“ *Prütting/Wegen/Weinreich.,* BGB Kommentar, Luchterhand, 2006, 557.

### 7.3.3. პირგასამტეხლო – ვალდებულების შესრულების გარანტია და პირგასამტეხლო – ზიანის/მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საშუალება

პირგასამტეხლო შესრულების აღმატებული მოთხოვნაა, იგი დამოუკიდებელია ზიანის ანაზღაურებისაგან. თუ კრედიტორს პირგასამტეხლოსთან ერთად დაყენებული აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, არ შეიძლება ორივე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პირგასამტეხლო თავისთავად თვითონ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მინიმალურ თანხას. ამ შემთხვევაში, კრედიტორს ენიჭება უპირატესი უფლება აირჩიოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თუ პირგასამტეხლოს შესახებ. დაუშვებელია ერთდროულად პირგასამტეხლოსა და მთლიანი ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან ეს იქნება საჯარიმო სანქცია, რომელიც უკიდურესად დაამძიმებდა მოვალის მდგომარეობას და გამოიწვევდა კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას.[662]

პირგასამტეხლოს უზრუნველმყოფი ბუნება მდგომარეობს შემდეგში: ერთი მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარისთვის, ის ვალდებულების შესრულების გარანტია ხდება, მეორე მხრივ კი, ზიანის ანაზღაურების უზრუნველმყოფი საშუალება. ეს ზიანი შესაძლოა იყოს არადროული შესრულებით გამოწვეული ზარალი, რომელმაც მხარეს ეკონომიკურ პროცესებში მეტი სარგებლის მიღების უფლება წაართვა. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს" წარმოადგენს *(Pure economic loss),*[663] რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი შეიძლება დადგეს სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად და ის წარმოადგენს სარგებელს.[664]

საინტერესო ის არის, რომ კრედიტორს არ უწევს მტკიცება, თუ რა სახის ზარალი (მათ შორის მიუღებელი) განიცადა. იგი უფლებამოსილია მიიღოს პირგასამტეხლოს ის მოცულობა, რაზეც მოვალესთან წინასწარ შეთანხმდა. ამდენად, გარდა იმისა, რომ ის

---

[662] *სვინტრაძე ქ.*, კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემა სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე., „სამართალი", თბ., № 2, 2013, 108.

[663] *Rhee R.J., A Production Theory of Pure Economic Loss, 104 Nw. U. L. Rev. 49 (2010), available at http://scholarship.law.ufl.edu/facultypub/485* [19.03.2022].

[664] *Swanson T.P.*, General Principles Governing The Recovery of Lost Profits in Contract Disputes Under Georgia Law, 2015, 2.

შესრულების ერთგვარ გარანტიად გვევლინება, ზიანის არსებობის შემთხვევაში, კრედიტორს მტკიცების ტვირთს უქარწყლებს და არც იმ ბიუროკრატიულ სტანდარტებს უწესებს, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში სასამართლოში მიმართვისას უნდა გაეთვალისწინებინა. გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობა უნდა იყოს დადასტურებული და არა შესაძლო ზიანი, რომელიც მხარემ აღნიშნულ პერიოდში განიცადა. პირგასამტეხლოს მეშვეობით, მხარე (როგორც კრედიტორი, ისე მოვალე) ოპერატიულად ინაზღაურებს ყოველგვარ დანაკარგს.

## 7.4. პირგასამტეხლოს წერილობითი ფორმასავალდებულოობა

პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმება საჭიროებს ორმხრივი ნების გამოვლენას. ცალმხრივი აღიარება პირგასამტეხლოს თაობაზე გამოვლენილ ნებას ნამდვილად არ აქცევს და შესაბამისად, არც მისი მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.[665] პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმებიდან მკაფიოდ უნდა ირკვეოდეს პირგასამტეხლოს არსებითი პირობები, კერძოდ, ძირითადი ვალდებულება და მისი დარღვევისათვის დაწესებული ფულადი თანხის ოდენობა.[666] პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ქმნის მისი მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველს.

სსკ-ის 418-ე მუხლის დეფინიციით, ხელშეკრულების მხარეებს, ერთი მხრივ, შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს (გარდა საგამონაკლისო ნორმისა, რომელიც უახლესი ცვლილებაა და გაწერილია კოდექსის 625-ე მუხლის მე-5, მე-8 ნაწილში).[667] ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.[668]

---

665 BGHZ 21, 370, 372 = NJW 1956, 1793; OLG Brandenburg NJW-RR 2012, 982; KG WRP 1986, 680, *nach Janoschek, Beck'scher* Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Ed. 31, & 339, Rn.2.

666 იხ. *Palandt/Grüneberg* Vor § 339 Rn 3, nach *Janoschek, Beck'scher* Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Ed. 31, & 339, Rn.2.

667 აღნიშნული დასაბუთება (საგამონაკლისო ნორმაზე მითითებით) გამოიყენა თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე., იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2/15139-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

668 პირგასამტეხლოზე შეთანხმების წერილობითი ფორმის განსაზღვრება მნიშვნელოვანი დანაწესია სამოქალაქო კოდექსში და ეს ის შემთხვევაა, როდესაც BGB კოდექსისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ვხვდებით. მოცემულ შემთხვევაში, ქართველმა კანონმდებელმა ფორმასავალდებულოობას განსაკუთრებული ფუნქცია შესძინა.

ნორმის მიზანია ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვა, – როგორც პირგასამტეხლოს ოდენობის თავისუფლად განსაზღვრის უფლების მინიჭებით, ისე მხარეთა ნაჩქარევი და გაუაზრებელი მოქმედებისაგან დაცვა შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების მოთხოვნით.[669] პროფ. ზურაბ ჭეჭელაშვილი მართებულად მიუთითებს ნორმის იმპერატიულ დანაწესზე და განმარტავს, რომ ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ პირგასამტეხლოზე შეთანხმება ბათილია, როგორც ფორმადაუცველი გარიგება. (მუხ. 59)[670] ამასთან, ბათილობის სამართლებრივი შედეგი არ ეხება მთლიან გარიგებას (რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ თავად ამ გარიგების მიმართ არ მოითხოვება წერილობითი ფორმის დაცვა, (მუხ. 62) ამდენად, თუ მხარეებმა არ დაიცვეს წერილობითი ფორმა, პირგასამტეხლო არ წარმოიშობა, რითაც ეს საკანონმდებლო პირობა განსხვავდება BGB-ის დებულებებისგან, სადაც ზოგადი წესებისამებრ, პირგასამტეხლოს წერილობითი ფორმა არ არის განსაზღვრული. ქართული კანონმდებლობით, პირგასამტეხლოზე წერილობითი ფორმით შეთანხმება სავალდებულოა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი ფორმა არ მოითხოვება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფადაც მხარეები თანხმდებიან პირგასამტეხლოზე. პირგასამტეხლოს ფორმას მატერიალურ-სამართლებრივი დანიშნულება გააჩნია და შეთანხმება ორმხრივი ნების გამოვლენას საჭიროებს. ცალმხრივი აღიარება პირგასამტეხლოს თაობაზე გამოვლენილ ნებას ნამდვილად არ აქცევს და არც მისი მოთხოვნის უფლებას წარმოშობს. პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმება მისი მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველს ქმნის. აღნიშნული ცხადყოფს, რომ „პირგასამტეხლო საქართველოს სახელშეკრულებო სამართალში პრეზუმფცირებულია, ნამდვილია და უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ფორმალურ კრიტერიუმებს“.[671]

---

[669] <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/06/Artikel-418.pdf> [11.02.2022].

[670] 59 (I) მუხ. გათვალისწინებული ბათილობა დგება როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგების ფორმის დარღვევისას, თუკი ამ ფორმას ნამდვილობის ფუნქცია აკისრია. ვრცლად იხ. *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, (GCCC), ბოლო დამუშავება: 3.11.2016.

[671] ზოიაკი ა. ჯ., სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა; III გამოცემა, თბ., 2014, 12.

### 7.4.1. კანონისმიერი და სახელშეკრულებო პირგასამტეხლო

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით განსაზღვრულია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების – პირგასამტეხლოს კანონისმიერი დეფინიცია, რომელიც აქცესორულ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება,[672] რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული და თავის მხრივ არის – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა,[673] რომელიც მოვალეს გადახდება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, ისე არაჯეროვნად შესრულებისთვის. ამასვე მოწმობს მისი ეტიმოლოგია, – პირის გატეხისთვის განსაზღვრული საზღაური.[674] პირგასამტეხლო ყოველთვის არის მოვალის მიერ კრედიტორისათვის გადასახდელი ფულადი თანხა და დაუშვებელია პირგასამტეხლოს გადახდა საქონლით.[675] „პირგასამტეხლოს წარმოშობა შესაძლოა დამოკიდებულ იქნეს, როგორც მხარეთა შეთანხმებაზე, (კანონმდებლის მიერ მოთხოვნილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში) ისე კანონმდებლის სურვილზე. ამის გათვალისწინებით, იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ კანონისმიერ (ნორმატიულ) და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს“.[676]

„სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს აქვთ არჩევის შესაძლებლობა, ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ მათთვის მისაღები და სახელშეკრულებო შინაარსთან მისადაგებული უზრუნველყოფის საშუალება. თუმცა პრაქტიკაში, ყოველთვის არჩევანი კეთდება იმ უზრუნველყოფის საშუალების სასარგებლოდ, რომელიც უფლების დაცვის ეკონომიკურობით და მოთხოვნის დაკმაყოფილების

---

[672] სუსგ 2019 წლის 31 მაისის საქმე №ას-435-2019; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[673] კომენტატორულ ლიტერატურაში კრიტიკულად აღნიშნულია, რომ პირგასამტეხლო არის შეთანხმება, მოვალის მიერ ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან ერთად დამატებითი ვალდებულების კისრება და არა თავად „მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა“, როგორც ეს მითითებულია სსკ-ის 417-ე მუხლში; (*ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, II GSAგადამუშავებული გამოცემა., თბ., 2010, 191-192.

[674] ანალოგიური იხ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე რედაქტირებული გამოცემა, §399, 103. (2019 წლის მდგომარეობით). იხ. Гражданское Уложение Германии, пер. с нем. *Бергманна В.,* 2-ое изд. М., 2006, 83.

[675] *ჭანტურია ლ.,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 237.

[676] იქვე.

სისწრაფით ხასიათდება“.[677] ***სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს დროს,*** (გერმანიაში იგივეა, რაც “Vertragsstrafe” – სახელშეკრულებო ჯარიმა) მხოლოდ მხარეთა კონსენსუსია განმსაზღვრელი. მხარეებს სრული თავისუფლება აქვთ დაადგინონ პირგასამტეხლოს ნებისმიერი მოცულობა, მაშინ როდესაც, ***კანონისმიერი პირგასამტეხლო*** ზუსტად განსაზღვრავს მაქსიმალურ განაკვეთს, რომელიც სავალდებულოა ნებისმიერი სამართალსუბიექტისათვის. „ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს“.[678] კანონისმიერი პირგასამტეხლო კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს დარღვევისთანავე, იმისდა მიუხედავად, მხარეთა შორის სხვა სახის შეთანხმება არსებობს თუ არა. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს არსი კანონთან შესაბამისობაში გამოიხატება. გონივრულობა გულისხმობს ისეთ შემცირებას, რომელიც იცავს მოვალის ინტერესებს და ასეთი შემცირებით არც პირგასამტეხლო კარგავს სამართლებრივ ფუნქციას.[679]

კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც იგი დადგენილია კანონმდებლის მიერ.[680] ანუ, კანონმდებელი ყოველთვის ადგენს მის ან კონკრეტულ ოდენობას, ანდა წესს, რომლის მიხედვითაც კანონისმიერი პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა განისაზღვროს.[681] მაგალითისთვის, საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: *დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.*[682] ეს დანაწესი, თავისი არსით, კანონისმიერი

---

[677] *შოთაძე თ.,* იპოთეკისა და უზრუნველყოფითი საკუთრების შედარებითი ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2011, 139-140.

[678] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/8246-21; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[679] *Гришин Д.А.,* Неустойка: теория, практика, законодательство, М., 2005, 100.

[680] სუსგ 2011 წლის 21 მარტის საქმე №ბს-409-406(კ-10); შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[681] სუსგ 2015 წლის 06 მაისის საქმე №ას-1158-1104-2014; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

[682] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, მუხლ. 41(4) 17/12/2010, 17/05.2023.

პირგასამტეხლოა, რომლითაც კანონმდებელი გვთავაზობს იმ მინიმალურ სანქციას, რაც დამსაქმებელს ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება. „აღნიშნული არ გულისხმობს, მხარეთა უფლებას თავად გაზარდონ პირგასამტეხლოს ეს ოდენობა, თუმცა მისი შეცვლა დასაქმებულის საუარესოდ არ დაიშვება და თუნდაც სახეზე იყოს მხარეთა ორმხრივი ნება, ამით კანონმდებლის იმპერატიული დანაწესი ვერ შეიცვლება და ნებისმიერი მსგავსი დათქმა ბათილია".[683]

კანონისმიერი პირგასამტეხლოს უახლესი მოდელია სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც ამავდროულად მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება: *„თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში* ***ნებისმიერი*** *საკომისიოს,*[684] ***ნებისმიერი*** *ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში),* ***სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი*** *პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით* ***გათვალისწინებული/დაკისრებული*** *პირგასამ-ტეხლოს და* ***ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის*** *ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის.* ***სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული*** *0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბულ/დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და* ***ნებისმიერი ფორმის*** *ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება* ***სესხის ვადის გადაცილებისას*** *(****ვადის გადაცილების სრულ*** *აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება.* ***სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ*** *აღმოფხვრამდე* ***ნებისმიერი*** *საკომისიოს,* ***ნებისმიერი*** *ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში),* ***სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი*** *პირობის*

---

[683] *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 238.

[684] შენიშვნა: შავად მონიშნული ტექსტი მიუთითებს ტავტოლოგიასა და ნორმის ენობრივ ხარვეზებზე.

*დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით* ***გათვალისწინებული/ დაკისრებული*** *პირგასამტეხლოს და* ***ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის*** *ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ამ ნაწილის მიზნებისათვის, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება* ***სესხის ვადის გადაცილებისას*** *სესხის გადავადების, სესხის რეფინანსირების ან/და სესხის რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი, ხოლო სესხის* ***ვადის გადაცილების სრულ*** *აღმოფხვრად არ მიიჩნევა ვადის გადაცილების აღმოფხვრა სესხის რესტრუქტურიზაციის, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდა-პირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) ან/და გადავადების გზით. ამ ნაწილის მიზნებისათვის, სესხის* ***ვადის გადაცილების სრულ*** *აღმოფხვრად სესხის რესტრუქტურიზაცია, სესხის რეფინანსირება (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) და გადავადება მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა სრულად გადაიხადა ვადის გადაცილებისას დაკისრებული პირგასამტეხლოს,* ***ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის****, საკომისიოს და ფინანსური ხარჯის შესაბამისი ფულადი სახსრები“.*[685] უდავოა, რომ „სასესხო რეგულაციებთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ იქნა რთული მა-თემატიკური ფორმულები“,[686] რასაც დაემატა ნორმის ჰარმონიზების[687] პრობლემა. კანონმდებლის მხრიდან რთულად წარმოდგენილი ნორმა საკანონმდებლო ტექნიკის კუთხითაც აბსოლუტურად გაუმართავია. ამგვარად, აღნიშნული დანაწესი საჭიროებს გამარტივებას; ის ფაქტი, რომ კანონისმიერი პირგასამტეხლოს, როგორც სადავო ურთიერთობისას მომწესრიგებელ სპეციალიზირებულ მუხლს, სამწუხაროდ არ იყენებენ საერთო სასამართლოები, რაც ასევე იმ ფაქტზე მიგვანიშნებს, რომ ნორმა დასაბუთების ნაწილში გამოსაყენებლად არაპრაქტიკულია.

---

[685] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 625(5), 24/07/1997.

[686] *გაბისონია ზ.,* უახლესი ცვლილებები ქართულ საბანკო კანონმდებლობაში და მისი გავლენა ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებზე, თბილისის ღია უნივერსიტეტი, ჟურნ. „წელიწდეული“, II გამოცემა, თბ., 2020, 61.

[687] „ჰარმონიზაცია არამც და არამც არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ინდივიდუალიზმიდან საერთოში გადასვლის მცდელობა“. სამართლის ჰარმონიზაციის საფუძვლებზე ვრცლად იხ. *სამხარაძე ი.,* სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო“, „სამართლის ჟურნალი“ №1, თბ., 2015, 315-320.

### 7.4.1.1. ავტორისეული მოდელი (სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილი)

1. „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში, ნებისმიერი საკომისიოს, ფინანსური ხარჯის (გარდა ხარჯისა, რომელიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშებაში), სესხის ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველდღიური ვადაგადაცილებისთვის არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს.

2. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება.

3. ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

4. სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას სესხის გადავადების, სესხის რეფინანსირების ან/და სესხის რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი, ხოლო სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად არ მიიჩნევა ვადის გადაცილების აღმოფხვრა სესხის რესტრუქტურიზაციის, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) ან/და გადავადების გზით.

5. სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად სესხის რესტრუქტურიზაცია, სესხის რეფინანსირება (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) და გადავადება მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა სრულად გადაიხადა ვადის გადაცილებისას დაკისრებული პირგასამტეხლოს, ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის, საკომისიოს და ფინანსური ხარჯის შესაბამისი ფულადი სახსრები".

### 7.4.2. პირგასამტეხლოს ცალკეული კლასიფიკაცია

პირგასამტეხლო შეიძლება დადგინდეს განსაზღვრული ფულადი თანხის ფორმით, რომელიც უნდა გადაიხადოს იმ მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება. ასეთ პირგასამტეხლოს ჯარიმა ეწოდება, ხოლო პირგასამტეხლოს, რომელიც ითვალისწინებს გადახდევინებას ვალდებულების შესრულების ყოველი გაცდენილი დღისთვის – საურავი.[688] „თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს ერთჯერადი თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სახეზეა ჯარიმა. ამ შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (მუხ. 419, I). თუმცა, კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება (მუხ. 419, II)". [689]

### 7.4.2.1. ჯარიმა-საურავი

**ჯარიმა** წარმოადგენს არაერთჯერადად გადასახდელ თანხას, რომელიც წინასწარ დადგენილი თანხის პროპორციულად პროცენტებში გამოიხატება.[690] თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს ერთჯერადი თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სახეზეა ჯარიმა. ამ შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია

---

[688] *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, თბ., 1999, 78-79; *ჭეჭელაშვილი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ბოლო დამუშავება: 27.06.2016.
[689] იქვე.
[690] *ჰუბსი ვ., თოდუა მ.*, ვალდებულებითი სამართალი., საია., თბ., 2006, 28.

ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (419, I), თუმცა, კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება (419, II).[691] საჯარიმო პირგასამტეხლოს არსი, რომელსაც ასევე კუმულატიურ პირგასამტეხლოს უწოდებენ,[692] სრულიად საპირისპიროა იმისა, რაც ზემოთ განხილული ჩასათვლელი პირგასამტეხლოს შემთხვევაშია. კონკრეტულად კი, ამ შემთხვევაში, პირგასამტეხლო სრულიად დამოუკიდებელია ნაკისრი ვალდებულების დარღვევით მიყენებულ ზიანის ანაზღაურებისგან და იმის მიუხედავად ანაზღაურდება, თუ რა ოდენობის ზიანი განიცადა კრედიტორმა ვალდებულების დარღვევის გამო.

**საურავი** წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომელიც გამოიანგარიშება განუწყვეტლივ, მზარდი შედეგით. უფრო ხშირად საურავი გამოიყენება ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის. საურავი ირიცხება ყოველდღიურად შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში. მისი დარიცხვა, როგორც წესი, პროცენტის სახით ხდება.[693] თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, სახეზეა საურავი. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (419, I).[694] საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხება და ამით აიძულებს მას შეასრულოს ვალდებულება. „საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის“.[695] პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მხარეები ხელშეკრულებაში ჯარიმასა და საურავს სინონიმური მნიშვნელობით

---

[691] *ჭეჭელაშვილი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, (GCCC), ბოლო დამუშავება: 27.06.2016.

[692] *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 238.

[693] *ჰუბსი ვ., თოდუა მ.*, ვალდებულებითი სამართალი., საია., თბ., 2006, 28.

[694] *ჭეჭელაშვილი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, (GCCC), ბოლო დამუშავება: 27.06.2016.

[695] ჯარიმის და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე იხ. სუსგ 2012 წლის 17 იანვრის საქმე №ბს-740-734 (2კ-11); შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

იყენებენ. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რა მიზნით იქნა პირგასამტეხლო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული.[696]

საურავის შესახებ შეთანხმებაში მხარეებმა ნათლად უნდა მიუთითონ, რომ საურავი შესრულების ვადის გადაცილებისთვისაა დადგენილი. ამგვარი მითითების არარსებობამ შეიძლება ჯარიმისა და საურავის გამიჯვნის სირთულეები წარმოშვას. პირგასამტეხლოს ამ ორი სახის გამიჯვნას კი პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.[697] ამ მხრივ, საინტერესოა ფრანგული სამართლის მოდელი, რომელიც ორი ტიპის საურავს გვთავაზობს, რომელთაც შეხედულებისამებრ ირჩევს სასამართლო. „დროებითი საურავის" ("Astreinte provisoire") ან „დამმუქრებელი საურავის" (Astreinte comminatoire) შემთხვევაში, რომელსაც ასე იმიტომ ეწოდება, რომ საბოლოო საფასურის განსაზღვრისას სასამართლო პირვანდელი გადაწყვეტილებით შეზღუდული არაა და შეუძლია მოვალეს გადასახდელად უფრო ნაკლები თანხა დააკისროს, ვიდრე თავდაპირველად უნდა გადაეხადა. მეორე სახის – „ფიქსირებული, ანუ საბოლოო საურავი" (Astreinte definitive) – საბოლოოდ სასამართლოს პირვანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესდება. განსაკუთრებით ეს ეხება ყოველდღიურ (ყოველკვირეულ, ყოველთვიურ) გადასახადს. შემდგომში საურავები იანგარიშება მარტივი არითმეტიკული ოპერაციით: სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა მრავლდება მოვალის მიერ გაცდენილი დღეების რაოდენობაზე. საურავის დარიცხვის საშიშროება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ. მაგრამ კრედიტორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს თხოვნით, ახალი საურავი დააწესოს შემდგომი პერიოდისთვის, თუ მოვალე კვლავ არ ასრულებს ხელშეკრულებას.[698] ერთი შეხედვით, შეიძლება შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს astreinte-ს ბევრი საერთო აქვს ფულად საჯარომო სანქციებთან, რომელიც შემოღებულია BGB-ის §888, §890 თანახმად.[699]

---

696 იხ. *რობაქიძე ი.,* სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, თბ., 2014, 597.

697 იქვე, 600.

698 *ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 1996, 165.

699 იქვე, 165-166.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია რაიმე განსაკუთრებული ნიშნების გამოყოფა, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში დგინდება, ანუ ის მოწოდებულია მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება უზრუნველყოს. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით.

თუმცა პირგასამტეხლოს მსგავსი კლასიფიკაცია, მისი იურიდიული დანიშნულების გაგებისა და გამოყენების კუთხით, არაფრისმთქმელია. მართალია პირგასამტეხლოს მსგავსი დაყოფა ეკონომიკური საქმიანობისას აქტიურად გამოიყენება, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მომავალში პირგასამტეხლოს დარიცხვის სხვაგვარი სქემა შეიქმნას, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს კანონმდებლის მიერ მოთხოვნილ წინაპირობებს და მისი იურიდიული კვალიფიკაციისთვისაც გამოყენებულ იქნება პირგასამტეხლოს ის ზოგადი ნორმები, რაც სსკ-ის 417-420-ე მუხლებშია მოცემული.

### 7.4.2.2. ჩასათვლელი პირგასამტეხლო

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება პირგასამტეხლოს განსხვავებული კლასიფიკაციაც, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევის გამო კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანთან. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში პირგასამტეხლო ყოველთვის „პირგასამტეხლოდ" არ არის სახელდებული. „ხშირად ხელშეკრულებაში ვალდებულების უზრუნველყოფის სახით მითითებული თანხა ჯარიმად, საურავად, გადასახდელად. იწოდება, რაც, როგორც წესი, პირგასამტეხლოს სინონიმებია. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანის არსის, ფუნქციისა და დანიშნულების გარკვევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მათ მიმართ პირგასამტეხლოს მარეგულირებელი ნორმების გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც დადგინდება გამოყენებული ტერმინების არსობრივი იდენტურობა პირგასამტეხლოსთან. პირგასამტეხლოს სახეების

დახასიათებისას აღსანიშნავია მისი დაყოფა ჩასათვლელ, საჯარიმო, ალტერნატიულ და ექსკლუზიურ პირგასამტეხლოდ“.[700]

პირგასამტეხლოს გადახდა მოვალეს არ ათავისუფლებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.[701] აღნიშნულს ადასტურებს სსკ-ის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“.[702] სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, გხვდება ჩასათვლელი პირგასამტეხლო, რა დროსაც მოვალის მიერ გადახდილი პირგასამტეხლოს ოდენობა, გამოაკლდება იმ ზიანს, რომელიც კრედიტორმა განიცადა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. პირგასამტეხლოს გამოყენება აღნიშნული ფუნქციით უცხო არ არის ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის, რომელიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ პირგასამტეხლოს ფუნქცია თავის თავში მოიცავს ზიანის ანაზღაურებასაც. *სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა,* რომ პირგასამტეხლოს გონივრულობაზე მსჯელობისას, სასამართლო სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ფუნქციას, თავის თავში ზიანის ანაზღაურება მოიცვას.

*სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.*[703] *ამასთან, „თანხის შემცირების დროს არ უნდა დაირღვეს მხარეთა თანასწორობისა და სახელშეკრულებო პირობათა სამართლიანობის პრინციპები“.*[704] საინტერესოა, როდესაც სასამართლოს განზოგადებული პრაქტიკით

---

[700] *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა. <http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf> [18.02.2022].
[701] *ბოიაკი ა. ჯ.*, სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა; III გამოცემა, თბ., 2014, 9.
[702] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 419, 24/07/1997.
[703] სუსგ 2015 წლის 04 დეკემბრის საქმე №ას-914-864-2015; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
[704] სუსგ 2011 წლის 26 დეკემბრის საქმე №ბს-1522-1501 (კ-11); შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

ათჯერ ხდება ფიქსირებული პირგასამტეხლოს შემცირება,[705] ეს რამდენად შეიძლება შეფასდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა თანაფარდობად და პროპორციის დაცვად და მსგავსი პრაქტიკის შედეგად, უფრო დაცულ პოზიციაში ხომ არ არის წარმოდგენილი ე.წ. სუსტი მხარე?[706] გადაწყვეტილებათა უმეტეს ნაწილში პირგა-სამტეხლო მხოლოდ სიმბოლურ ნიშნულამდეა დაყვანილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, 2019 წლის 28 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში (დასაბუთების ნაწილში) საინტერესო პოზიცია დააფიქსირა: სსკ-ის 625-ე მუხლით დაწესდა საკანონმდებლო შეზღუდვა... *„მიუხედავად ამისა, სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შინაარსი არ წარმოადგენს სასამართლოსთვის ამავე კოდექსის 420-ე მუხლით მინიჭებული პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილების ფარგლების განმსაზღვრელ ნორმას, რადგან 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო პირგასამტეხლოს შეამცირებს, თუ მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობას მიიჩნევს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად, აღნიშნული კი უნდა დადგინდეს განსახილველი დავის კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით”.*[707] *„ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ნების თავისუფლების ფარგლებში თავად განსაზღვრავენ პირგასამტეხლოს ოდენობას, სასამართლო კანონის საფუძველზე უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“.*[708] ზემოაღნიშნული სასამართლო პრეცედენტი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსში პირგასამტეხლოს ინსტიტუტის საჭიროება და მასშტაბი განუსაზღვრელად დიდია და მას ორმხრივად მავალდებულებელ ურთიერთობებში განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნია. ერთი მხრივ, ის დარღვეული უფლების ეფექტურად აღსრულების მარტივი საშუალებაა და მეორე

---

[705] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/833-17; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[706] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/21509-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №2/22885-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/20579-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[707] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/20579-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

[708] იქვე.

მხრივ, გამაფრთხილებელი გზავნილია, რომელიც ხელმომწერ მხარეს მოუწოდებს დაიცვას ძირითადი სახელშეკრულებო პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ტვირთი, თავდაპირველთან შედარებით, გაიზრდება.

#### 7.4.2.3. ალტერნატიული და ექსკლუზიური პირგასამტეხლო

ალტერნატიული პირგასამტეხლოს არსი მდგომარეობს ზიანის ანაზღაურებასა და პირგასამტეხლოს შორის არჩევანში. კრედიტორმა უნდა გადაწყვიტოს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მოვალისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება. „პირგასამტეხლოს ეს ფორმა ზედმეტად ზღუდავს კრედიტორის შესაძლებლობებს და ის პრაქტიკაში არც გამოიყენება“.[709] ექსკლუზიური პირგასამტეხლოს დროს, როცა სახეზეა ეს მოდელი, მისი გამოყენებით მთლიანად გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა და კრედიტორი იძულებულია მოვალისგან მხოლოდ პირგასამტეხლო მოითხოვოს.

### 7.5. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს განსაზღვრისას სასამართლოს დისკრეცია და კანონისმიერი პირგასამტეხლოს კრიტიკა

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.*[710] „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკმარის თავისუფლებას ანიჭებს მოსამართლეებს კანონის განმარტების პროცესში. მათ უნდა ისარგებლონ ამ თავისუფლებით და ეცადონ, რომ ყოველი კანონი თუ მხარეთა ნება კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის კუთხით, სოციალური და მორალური სტანდარტების გათვალისწინებით განმარტონ“.[711] სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, იმსჯელოს

---

[709] სუსგ 2011 წლის 21 ნოემბრის საქმე №ას-501-477-2013; შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.
[710] საქართველოს ორგანული კანონი, საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 41, 08/12/2009, 13/06/2023.
[711] *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, თბ., ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2007, 58.

პირგასამტეხლოს „შესაბამისობასა“ თუ „შეუსაბამობაზე“, რაც წმინდა სუბიექტური შეფასების საგანია.[712] მოსამართლეს შეუძლია სახელშეკრულებო ვალდებულებათა პაკეტის „გადასინჯვა“; სხვაგვარად რომ ითქვას, იმის შეფასება, კანონიერი და გონივრულია მხარეთა მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს მოცულობა, თუ უკანონო და შეუსაბამო. ამისთვის აუცილებელია მოვალის შესაგებლის არსებობა,[713] რომელშიც აპელირება მოხდება პირგასამტეხლოს გონივრულ მისადაგებაზე, რადგან არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო კრედიტორის მხრიდან დაწესებულ პირგასამტეხლოს სკალას მართლზომიერად მიიჩნევს.[714]/[715] თუმცა აქაც, კრიტიკას იმსახურებს „შეუსაბამობის კრიტერიუმი“,[716] რადგან არაფერია ნათქვამი, რასთან მიმართებითაა „შეუსაბამო“.

ნორმის სტრუქტურული აღწერილობით, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო (უმჯობესია დამატება ან მითითება, თუ რასთან შეუსაბამოა პირგასამტეხლო, საბაზრო-ეკონომიკურ პირობებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან თუ სხვა). ამიტომ მხარეთა ორმხრივი ინტერესების დასაცავად, აუცილებლად მიგვაჩნია ნორმის სრულყოფა, რათა კოდექსისეული ჩანაწერი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდეს.

შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა ავტონომიურ თავისუფლებაში, განსაზღვრონ პირგასამტეხლოს ოდენობა, სასამართლო ჩარევის უფლებამოსილებით სარგებლობს,

---

712 პირგასამტეხლოს მოცულობის შეუსაბამოდ მაღლად მიჩნევის შესახებ იხ., *ოსხელიანი ნ.,* შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში., „სამართლის ჟურნალი“ №1, 2016, 62-74.

713 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1187-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.

714 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2/29503-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში. (საქმეზე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების შედეგად ვლინდება, რომ ძირი თანხის 49,999.45 ლარზე დარიცხული პირგასამტეხლო 601.62 გონივრული სტანდარტის შესაბამისია და არ იძლევა შემცირების სამართლებრივ საფუძველს).

715 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1779-20; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში. (საქმეში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შემცირებული პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე (19090 ლარის 0.09%) საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს).

716 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს იმ გარემოებებს, რომელთა მხედველობაში მიღებით პირგასამტეხლო მიიჩნევა შეუსაბამოდ მაღლად. (*კობახიძე ა.,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 43).

თუმცა ასეთი გამონაკლისი მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც პირგასამტეხლო იქნება „შეუსაბამოდ მაღალი", ანუ როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულ ჩარჩოებს გასცდება.[717] ვინაიდან, სსკ-ის მიხედვით გაწერილი არაა, რომ შემცირების შესაძლებლობა სასამართლოს მხოლოდ მოპასუხის (მოვალის) მიერ ასეთი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში აქვს, ეს ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მხარეთა პოზიციის მიუხედავად, ამ ასპექტში თავისუფალია.[718] ეს ნორმა ყველაზე პრაქტიკული იყო ფულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით, კერძოდ, სესხის ხელშეკრულებებთან მიმართებით. მოსამართლეს ცალსახად შეეძლო ნებისმიერ შემთხვევაში დაედგინა პირგასამტეხლოს „კანონიერება" და დაეწესებინა სკალა, რომელსაც შინაგანი რწმენით გონივრულად და „სამართლიანად" მიიჩნევდა. თუმცა, ახალი ცვლილებების თანახმად, კანონმდებელმა მკაცრად განსაზღვრა ზედა ზღვარი; კერძოდ: პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის.[719] კანონისმიერი პირგასამტეხლოს ზედა ზღვარი მოსამართლეს ართმევს იმ დისკრეციას, რომელიც პირგასამტეხლოს თავშია გაწერილი. ამდენად, კრიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ თუკი კანონმდებელს სავალდებულოდ მიაჩნია ასეთი დანაწესის არსებობა და კანონისმიერი პირგასამტეხლოს ამოქმედება, მაშინ ცხადია, რომ მან „არაგონივრული" ზედა ზღვარი თავისთავად არ უნდა დაადგინოს. ასეთი დანაწესის არსებობით, მან შესაძლოა მხარე სამართალწარმოების ეტაპზე დაუცველი დატოვოს, ხოლო მოსამართლეს შესაძლოა უფრო გაუძნელდეს გადაწყვეტილებაში იმის დასაბუთება, რომ პირგასამტეხლოს ეს მოცულობა იმთავითვე არაგონივრულია.

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროცენტისა და პირგასამტეხლოს მსგავსი მოცულობა, რაც ახალმა სამოქალაქო კოდექსმა დაადგინა, არსად მოიძებნება. მიგვაჩნია, რომ შეუსაბამოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთსა და

---

[717] *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა. <http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf> [18.02.2022].

[718] *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 284.

[719] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 625(5), 24/07/1997.

პირგასამტეხლოს თვითონ კანონი საწყისშივე ადგენდა (მოცემულ შემთხვევაში სესხის ძირითადი თანხის 150%), რითაც საფინანსო სექტორის მეტ „სტიმულირებას“ და „წახალისებას“ ახდენდა. ისიც უდავოა, რომ ცვლილებები სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ეკონომიკური პროცესების სიჯანსაღისთვის. ბაზარზე კომპანიათა ისეთი სახეობები გამოჩნდა, რომლებიც გამარტივებულად გასცემდნენ სესხებს, შედეგად კი, მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაღარიბდა. სრული თავისუფლებით განსაკუთრებით ონლაინ-სესხის გამცემი კომპანიები გამოირჩეოდნენ და მომხმარებელს, საჭიროებიდან გამომდინარე, დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღებას „აიძულებდნენ“.

კანონმდებლის ჩარევა კაბალურ ხელშეკრულებებზე მონიტორინგსა და მომხმარებლისთვის მეტი თავდაცვითი ბერკეტის მინიჭებას ისახავდა მიზნად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბაზრო პირობებში ფარული გარიგებები მომრავლდა. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებით (ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით), როგორც თვალთმაქცური გარიგებით დაიფარა სესხის ხელშეკრულება, რაც სსკ-ის 56-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, ბათილად ცნობის საფუძველია.[720] *თვალთმაქცური გარიგებისას, როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, ნების გამოვლენა სამართლებრივი შედეგების დადგომისკენაა მიმართული, თუმცა გარიგების რეალური მიზანი ნამდვილი გარიგების დაფარვაა.*[721]

მოვალის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვისთვის, მართალია საჭირო იყო მკაცრი რეგულაციების დაწესება, თუმცა ისინი ეფექტური მაშინ გახდებოდა, თუ იმთავითვე გონივრული განაკვეთი დაწესდებოდა, როგორც სესხის საპროცენტო სარგებლის,[722] ისე პირგასამტეხლოს ნაწილში. აქედან გამომდინარე, კანონისმიერად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთისა და პირგასამტეხლოს ნაწილში, სასამართლოს ე.წ „გადასინჯვის შესაძლებლობა“ წაერთვა, რამდენადაც კანონმდებელმა თავად დააწესა

---

[720] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, მოსამართლე: *ე. ტუკვაძე;* ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში.
[721] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე., 2020, №7, 20.
[722] ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით წლიური საპროცენტო განაკვეთი 48% გონივრულ და სამართლიან ოდენობად ითვლება“. (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/624-2019; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

ახალი სტანდარტი, რომელიც სამომავლოდ ნორმის სრულყოფის ნაცვლად, მეტი პრობლემების მომტანი ხდება. ნორმის ცვლილება ახალია; მისი პოზიტიური და ნეგატიური შედეგების (ეფექტის) განსაზღვრა ახლო მომავალში გახდება შესაძლებელი.

ზემოხსენებული მუხლის ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელმა ხელშეკრულების მხარეებს გარიგების სასყიდლიანობის გადაწყვეტა მიანდო, თუმცა სასამართლო იცნობს არაერთ გადაწყვეტილებას, სადაც ის მხარეთა მიერ შეუსაბამოდ მაღალ საპროცენტო სარგებელს ამორალურად ცნობს და გონივრულ საპროცენტო სტანდარტებში აქცევს.[723]/[724]/[725] შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეთა ნაკისრ ვალდებულებებს შორის დისპროპორციისას, სასამართლოს შეუძლია ამორალურად[726] მიიჩნიოს მსგავსი შეთანხმება და ბათილად ცნოს.

შუალედური შეჯამების სახით, ქართული კანონმდებლობისთვის განსაკუთრებით უპრიანია გერმანული და ფრანგული სამართლის ზემოხსენებული მოდელ(ებ)ის სინთეზური გაზიარება, რაც მხარეთა „ურთიერთმოლოდინს" პროგნოზირებადს გახდის, ხოლო პირგასამტეხლო შეასრულოს იმ ფუნქციას, რისთვისაც არსებობს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

---

[723] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის საქმე №2ბ/4259-14; გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში ***(ამორალურად მიიჩნია სასამართლომ წელიწადში 120%-ად გაცემული სესხი).***

[724] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/20579-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში ***(ამორალურად მიიჩნია სასამართლომ წელიწადში 59,4%-ად გაცემული სესხი).***

[725] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/22036-19; ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში ***(ამორალურად მიიჩნია სასამართლომ წვრილად ნაბეჭდი ხელშეკრულება).***

[726] გარიგების ამორალურად მისაჩნევად აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად. (იხ., ვრცლად, ***ჭყოიძე გ., ჯაფარიძე ზ., ჯორბენაძე ს.,*** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2016 წელი), თბ., 2018., <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo-2016.pdf>> [18.02.2022].

# თავი VIII. მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები

## 8.1. ევროდირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შეთანხმებაზე და მისი იმპლემენტაციის პერსპექტივა ქართულ კანონმდებლობაში

2011 წლის ოქტომბერში ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ მომხმარებელთა დაცვის შესახებ ახალი დირექტივა მიიღეს,[727] რომელმაც ევროსაბჭოს 28 წევრ ქვეყანას, 2013 წლის დეკემბრამდე, დაავალა შიდა კანონმდებლობის ახალ დირექტივასთან შესაბამისობა.[728]

„სამომხმარებლო კრედიტი ძალიან მგრძნობიარე საკითხია საქართველოში, განსაკუთრებით სპეციალური დანაწესების არარსებობის პირობებში, რომლებიც მოვალეებს დაიცავდა (საპროცენტო განაკვეთები, **pactum commissorium**) რასაც მივყავართ სესხის კაბალურ პირობებამდე და არაუზრუნველყოფილ სწრაფ სესხებამდე, მაღალი განაკვეთით“.[729] იდენტურ პრობლემაზე საუბრობს რობერტ დობროვოდსკი, რომელიც მომხმარებლის (მესაკუთრის) სამართლებრივი დაცვის საკითხს განიხილავს სლოვაკეთის მაგალითზე დაყრდნობით.[730] როგორც სტატიაშია აღნიშნული, „საკრედიტო პროდუქციის უსაზღვრო სიმრავლისა და საფინანსო ზედამხედველობის მხრიდან სუსტი კონტროლის პირობებში მიმწოდებლებმა მიიღეს შანსი, ესარგებლათ მომხმარებლის გაუთვითცნობიერებლობით. მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად მიწოდებული ინფორმაცია ხშირად არ იყო სრულყოფილი. მიმწოდებლებმა მიმართეს ინფორმაციის თვალსაზრისით ასიმეტრიულად სტრუქტურირებული ბაზრის სელექციის მეთოდს. მომხმარებელს მიეწოდებოდა მხოლოდ პოზიტიური ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, ვინაიდან იგი მომხმარებლის გადახდისუნარიანობას ზრდიდა. ისეთი ინფორმაცია კი,

---

727 Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council.

728 იხ. *ფაჩუაშვილი ნ.*, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, „სამართლის ჟურნალი“ №2, თბ., 2017, 103.

729 *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 11.

730 *დობროვოდსკი რ.*, მომხმარებლის (მესაკუთრის) სამართლებრივი დაცვა ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის შედეგებისგან. გამოცდილების გაზიარება სლოვაკეთის მაგალითზე., ჟურნ. „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“., *ზარანდია თ., (რედ), კურზინსკი-სინგერი ე., (რედ), შატბერაშვილი ლ., (რედ)*, თბ., 2016, 150-158.

რომელიც შეეხებოდა პროცენტების სიდიდეს ან პირგასამტეხლოს, მომხმარებელს არ მიეწოდებოდა. მომხმარებლის უსუსურობა და უმწეობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა რეკლამებით მასმედიებში, რომლებიც მომხმარებლისთვის ინფორმაციის წყარო იყო. კრედიტის აღებისას მომხმარებელს სჯერა, რომ მიიღო რაციონალური გადაწყვეტილება, სინამდვილეში კი ხდება მისი „მართვა" მეტ-ნაკლებად არაკეთილსინდისიერი საგარიგებო პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად მათი თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების უნარი გათიშულია.[731]

„მომხმარებელთა დაცვა სინამდვილეში ეფექტიანი არ იქნება, თუ კომბინირებული არაა კოლიზიური და მატერიალური ნორმები".[732] აღსანიშნავია 2008 წლის 23 აპრილს ევროკავშირმა მიიღო 2009/48EC დირექტივა „სამომხმარებლო კრედიტის შესახებ", რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობის დარეგულირებას, რათა არ მომხდარიყო შედარებით სუსტი მხარის – მომხმარებლის უფლებ(ებ)ის შელახვა. „მომხმარებლის სუსტ მხარედ განხილვა კონსტიტუციურადაა აღიარებული და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საკანონმდებლო რეგულირების არსებობის აუცილებლობაც დადასტურებულია[733] მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების მიზნით".[734]

## 8.2. ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტები მომხმარებელთა უფლებების დაცვა-აღსრულებისას

„საქართველომ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა ევროპის სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირებისათვის. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს მიეცა საშუალება მიაღწიოს ევროკავშირის შიდა

---

[731] *დობროვოდსკი რ.*, მომხმარებლის (მესაკუთრის) სამართლებრივი დაცვა ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის შედეგებისგან. გამოცდილების გაზიარება სლოვაკეთის მაგალითზე., ჟურნ. „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია"., *ზარანდია თ., (რედ), კურზინსკი-სინგერი ე., (რედ), შატბერაშვილი ლ., (რედ)*, თბ., 2016, 154.

[732] იქვე.

[733] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის №1/3/136 გადაწყვეტილება, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1367934?publication=0> [14.03.2022].

[734] *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 94.

ბაზართან ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციითა და თავისუფალი, ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შექმნით. თავის მხრივ, ასეთი დაშვების წინაპირობაა მდგრადი და ყოვლისმომცველი რეგულაციური დაახლოება ევროპის სამართლებრივ მექანიზმებთან“,[735] რაც იმას გულისხმობს, რომ „ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს აწარმოოს მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის და დანერგოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპის სტანდარტი“.[736] საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების (PCA)[737] შეთანხმების ძალაში შესვლიდან 23 წლის შემდეგ, 2014 წელს ხელი მოეწერა მეორე ხელშეკრულებას – ასოცირების შეთანხმებას (AA), რომელმაც ჩაანაცვლა PCA და მხარეთა შორის დაამყარა ასოცირება. აღნიშნულ შეთანხმებაზე, ასოცირებაზე ხელმოწერით, საქართველოში, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესის ახალი ეტაპი დაიწყო.[738] ასოცირების შეთანხმება ევროპული კავშირის სამართლის წყაროა, რომელიც „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან დაკავშირებული ნორმების სრულყოფის აუცილებლობას განაპირობებს“.[739] ევროკავშირის სამართლის წყაროთა იერარქიის გათვალისწინებით ევროკავშირის ნებისმიერი სამართლებრივი აქტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ევროკავშირის ხელშეკრულებებთან ანუ პირველად კანონმდებლობასთან.[740] ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების TFEU-ს თანახმად, ასოცირების შეთანხმება საერთაშორისო ხელშეკრულებას

---

[735] *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი., დის., თბ., 2016, 9, 43.

[736] იქვე.

[737] ევროკავშირსა და საქართველოს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება, 22.04.1996, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს პარლამენტის დადგენილება №347-Iს, პარლამენტის უწყებანი 22-23, 04.09.1996, ძალაში შესვლის თარიღი 01.07.1999.

[738] *ტალიაშვილი თ., შამათავა ი.*, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში., თბ., „სამართლის ჟურნალი“ №2, 2019, 13.

[739] *ჭიაბრიშვილი ნ.*, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი და შედარება ევროპულ პრაქტიკასთან., კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტთა მე-11 კონფერენციის მოხსენებები, თბ., 2016, 113.

[740] *ქარდავა ე.*, საქართველოს შრომის სამართლის რეფორმა ევროპული ინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა ჭრილში., დის., თბ., 2018, 15.

წარმოადგენს,[741] რომელიც მეორადი სამართლის წყაროა. ევროკავშირის მიზანია ეროვნულ საკანონმდებლო სისტემებს შორის განსხვავებების მაქსიმალურად შემცირება და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება.[742] „ჰარმონიზაცია არის ნორმატიული მტკიცება, რა დროსაც განსხვავება ორ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას შორის მცირდება, თუმცა ეს პროცესი სულაც არაა მარტივი და ხავერდოვანი".[743] საბანკო კრედიტი მომხმარებლისთვის რისკის შემცველი პროდუქტია.[744] კრედიტის გაცემისას, „დიდია ხელშეკრულების „ძლიერი" მხარის მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ალბათობა, რაც ქმედითი მექანიზმებით მსესხებლის უფლებების დაცვის აუცილებლობას წარმოშობს". საკრედიტო დაწესებულებასა და კლიენტს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად, აუცილებელია კონტროლის ფუნქცია დაწესდეს, როგორც ეს ცნობილია გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიფიკაციაში,[745] რაც გულისხმობს ოფიციალური ორგანოების მიერ მონიტორინგს.[746]

„საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სესხის ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლად რეგულირებით, სამოქალაქო კოდექსის მიერ გაზიარებულია „სუსტი" და „ძლიერი" მხარეების სამართლებრივი კონსტრუქცია, რომლის მიზანია დაიცვას მომხმარებელი საბანკო ურთიერთობებში არსებული რისკებისაგან".[747] ანალოგიურად, „სუსტი მხარის" ინტერესების დაცვას ემსახურებოდა 623-628[1] მუხლის საკანონმდებლო ცვლილებები. ძალთა პროპორციისთვის, ინტერესთა თანაფარდობისთვის, ევროპული სამომხმარებლო ნორმების ნაწილობრივი იმპლემენტაცია მოხდა ქართულ სამართალში.

---

[741] Consolidated Versions of the Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union. Art., 217, title V – international agreements, Part five – the Union's External Action. Brussels, 30 January 2015, 6655/8/08 REV 8, <http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-6655-2008-REV-8/en/pdf> [14.03.2022].

[742] *Taliashvili T., Shamatava I.,* Recent Evolution of Intellectual Property Enforcement in Georgia TalTech Journal., TalTech Journal of European Studies, Tallinn University of Technology, Vol., 10, No. 2 (31), 2020, 43.

[743] *სამხარაძე ი.,* სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, „სამართლის ჟურნალი" №1, თბ., 2015, 315.

[744] *რამიშვილი ა.,* მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, „სამართლის ჟურნალი" №2, თბ., 2011, 174.

[745] იხ. *კიკაბიძე გ.,* ფორმის ფუნქცია შრომის სამართალში, უპირატესად ხელშეკრულების მაგალითზე., ჟურნ., „შრომის სამართალი" (სტატიათა კრებული), № III, თბ., 2014, 250.

[746] იქვე.

[747] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე №2/35760-18. ციტირ. ლიტ-რა მაისურაძე ს., მომხმარებლის უფლებების დაცვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში (სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ბიბლიოთეკაში)., თბ., 2019, 31.

## დასკვნა

